


FS67

1991

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი



თქვენი
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

ISSN 0136-2661

2. 1991



თეატრი და

ცხოვრება



F 567
1991
საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ია ბაჩრაძე,

ეთერ გუგუშვილი,

ნოდარ გურაბანიძე,

ოთარ ევაძე,

ვასილ კიკნაძე,

ლილი ლომთათიძე,

გიგა ლორთქიფანიძე,

როგობერტ სტურუა,

ერემია ქარელიშვილი,

ვახტანგ ქართველიშვილი,

ნინო შვანავირაძე,

თეიმურ ჩხეიძე,

გიორგი ციციშვილი,

გიორგი ცაგირიშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი),

თამაზ ბილაძე,

დირიჟორი ჯანელიძე.

2

1991

თებერვალი

1910—1926 „თეატრი და ცხოვრება“

1956—1990 „თეატრალური მოამბე“

შინაპარსი

ათი შეკითხვა საქართველოს კულტურის მინისტრს ნოდარ წულუისკის	3
კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაუ- რეატები, ყოველწლიური კონკურსის „თანა- მედროვეობა და თეატრი“ პრემიის ლაუ- რეატები (1989—90 წლების სეზონი)	8
ნაირა გელაშვილი: უსამშობლოების მრავალგვარი ფორმა არსებობს	9
ალექსანდრე პეტრიაშვილი — „შოთა რუსთაველი“ ფრანგულ სცენაზე	19
მაია დათუნაშვილი — „ვიარსკვლავად დაბადებუ- ლი“	23
სამეცნიერო	
გიორგი ცქიტიშვილი — ნაცარქექია, წითელი დე- ვი, ტყლიპიანი მეფე და სხვები	27
გუბაზ მეგრელიძე — მესხეთის თეატრის გასული სეზონი	34
1921 წლის სუსხიანი თეატრული	
მიხეილ დადიანი — რაც მახსოვს	42
არქივიდან	
ვასილ კიკნაძე — თეატრის ბედი „სუქ“-ის არ- ქივებში	47
გუბაზ მეგრელიძე — ალექსანდრე დუდუჩიას და- კითხვის ოქმები	53
დიმიტრი შალიაშვილი — საქართველოს წარმო- მადგენლობა 1921 წელს თურქეთში (დასა- სრული)	61
შადიმან ბიწაძე, გიორგი ცქიტიშვილი — მოკრძა- ლებული მსახურნი	78
დრამატურგია	
ოსკარ უაილდი — სალომე	82

საქართველოს საპარტოველოს კულტურის მინისტრის ნოდარ წულეისპირის

ნოემბერში საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დაინიშნა პარტიული ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ წევრი მწერალი ნოდარ წულეისპირი. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „თუთარჩელა“, „ზენახესა და ბუჭგურიას სიყვარულის ამბავი“, „აფთარი“, მოთხრობები: „სისხატურა“, „დავით აღმაშენებლის ქვა“ და მრავალი სხვა. მისი ნაწარმოებების მიხედვით შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა სპექტაკლები: „თუთარჩელა“ (რეჟ. ნ. ხატისკაცი), „ქალი სამრეკლო“ (რეჟ. გ. გეგეჭკორი).

1. მართალია, კულტურის მინისტრი ახლახან გახდით და ქართული თეატრი დღეს არის თქვენი საზრუნავი, მაგრამ ეს არ გახლავთ უცხო კაცის მოსვლა თეატრის სამყაროში — ადრე, როცა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თქვენი პიესები დაიდგა, ასე თუ ისე, გაეცანით თეატრის თავისებურებებს, პრობლემებს.

როგორ შეფასებებს მისცემდით დღევანდელ ქართულ თეატრს?

— ქართული თეატრი დიდი ხანია შეფასებული და აღიარებულია საქართველოსა თუ უცხოეთის მიერ. ახლახან ჩემთან იტალიის დილიგაციის წარმომადგენლები გახლდნენ. უნდა გენახათ, როგორი აღფრთოვანებით საუბრობდნენ რობერტ სტურუასა და თემურ ჩხიძის სპექტაკლების თაობაზე. ქართული თეატრი რომ მსოფლიო მნიშვნელობის თეატრი გახდა, ეს სწორედ დღევანდელი თეატრის მოღვაწეთა დამსახურებია. ახლა ჩვენი ამოცანაა ეს კარგი თეატრი არ დავღუპოთ. შენაძლოა, საქართველოს მატერიალურად გაუჭირდეს, მაგრამ ამ გასაჭირს არამც და არამც არ უნდა შეეწიროს ქართული თეატრი. ამისათვის ჩვენმა უზენაესმა საბჭომ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა: სახელმწიფო ბიუჯეტში გაიზარდა თეატრების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ თეატრს და, საერთოდ, ჩვენს ეროვნულ კულტურას ახლადარჩეული ხელისუფლება კარგი თვლით უყურებს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა: დღის ხელისუფლების სათავეში „საქართველოს კულტურული მისიის“ ავტორი, მწერალი და მეცნიერი ზვიად გამსახურდია გახლავთ. უზენაესი საბჭოს წევრთაგან ბევრია ლიტერატორი, ხელოვნების მუშაი. ამდენად, კულტურის სამინისტროს მომავალი საქმიანობა ერთგვარად გაადვილდება.

2. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით საქართველოში გაცილებით მეტი თეატრია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მაგრამ ჩვენ თეატრების ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალო დონესაც კი ვერ ამოყოფილებს. ეს ქმნის დარბი თეატრის სტერეოტიპს. ქართველი მსახიობი ეკონომიურად არასახარბილო მდგომარეობაშია. აი, მ. უოსზე, ნაცვლად იმისა, რომ ვაეპლერის



არსებული თეატრები. მივცეთ მათ შემოქმედებითი ცხოვრების მეტი საშუალება, ვქმნით ახალ თეატრებს და კიდევ უფრო ვქსაქსავთ, ვანაწევრებთ ჩვენს ხელთ არსებულ თანხებს.

— აბსოლუტურად გეთანხმებით. სამინისტროში ჩემს მოხვლამდე რამდენიმე თვით ადრე ორი თეატრი გაიხსნა საქართველოში. რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. არავინ არ იცოდა, ისე შეიქმნა ორი თეატრი (ზესტაფონის და სენაკის). ახლა უკვე შექმნილ თეატრებს, ბუნებრივია, კულტურის სამინისტროს მხრივ დახმარება ესაქიროება. მათ ვეღარ გააუქმებ. იმედი მაქვს, ასე აღარ გაგვრძიდება. ყოველ შემთხვევაში, ახალი თეატრის შესაქმნელად, მე ნებართვას ვერავის მივცემ, თუ ეს აუცილებლობით არ იქნება განპირობებული. ხომ არ შეიძლება, ვისაც მოესურვება და სადაც მოესურვება, გახსნას ახალი თეატრი და სახელმწიფო დოტაცია ითხოვოს. ამას საქართველოს ბიუჯეტი ვერაფრით ვერ გაუძლებს.

დღეს, სამწუხაროდ, თეატრის დაარსება შემოქმედებითს ინტერესებთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ იმასთან, რომ ვიღაცას დირექტორობა უნდა, ხოლო ვიღაცას მთავარი რეჟისორობა და ყოველთვის ხელფასის მიღება. ე. ი. თეატრი შემოსავლის წყაროდ გადაიქცა. ამასთან, შეიძლება ქალაქის პრესტიჟისათვის შეიქმნას საგანგებო თეატრი? დაფუძვით თუ თელავს კარგი თეატრი აქვს, აუცილებლად უნდა გაიხსნას თეატრი მაგალითად, გურჯაანში? ასეთი თეატრები, რასაკვირველია, ხელს უშლიან ნამდვილ შემოქმედებითს თეატრალურ ცხოვრებას. მათზე ინარჩუნება ის თანხა, რაც უპრიანია უკვე არსებულ თეატრებს მოხმარდეს.

3. რესპუბლიკის ბევრ ქალაქში თეატრი ვერ ასრულებს თავის ამოცანას — იგი ვერ იქცა კულტურის ცენტრად, მის ირგვლივ ვერ შემოიკრიბა ქალაქის ინტელიგენცია, ფართო მაყურებელი. ამაში, ალბათ, ბრალეულია არა მხოლოდ თეატრის დაბალი ეკონომიკური ბაზა, ტექნიკური საშუალებები. არამედ ისიც, რომ ქალაქში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ახალი თეატრალური კადრებისათვის — ამგვარ ქალაქებს თავს არიდებენ კვალიფიცირებული რეჟისორები. ახალგაზრდა მსახიობები, რადგან ქალაქს არა აქვს ბინები მსახიობებისათვის, დაბალია ხელფასი.

როგორ ვუშველოთ ამ საქმეს?

— მსახიობები, რეჟისორები და, საერთოდ, თეატრის მოღვაწენი უნდა გაერთიანდნენ და იზრუნონ იმისათვის, რომ რაიონებში თეატრი კულტურის ცენტრად გადააქციონ. მაშინ მოვა ამ თეატრებში მაყურებელი და აღარ იქნებიან ისინი უფუნქციონი. ქალაქმა, რაიონმა თუ სოფელმა თავად უნდა განსაზღვროს სჭირდება თუ არა მას თეატრი, არის თუ არა საამისო საფუძველი, პირობები როგორც მატერიალური ბაზის, ასევე შემოქმედებითი პოტენციალის თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ეშველება იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც დღესდღეობით მრავალი რაიონული თეატრი აღმოჩნდა.

4. მიგაჩნიათ თუ არა საქიროდ შეიქმნას კანონი თეატრების შესახებ.

— ამგვარი კანონი უსათუოდ საქიროა. ჩვენ უკვე ვმუშაობთ ასეთ კანონზე. მაგრამ ეს იქნება კანონი არა მხოლოდ თეატრის, არამედ საერთოდ კულტურის შესახებ. ამ კანონებში დაფიქსირდება რა სახის (სტრუქტურული თვალსაზრისით) თეატრები უნდა არსებობდნენ, თეატრების გახსნისათვის აუცილებელი წინაპირობანი, რამდენი თეატრი უნდა იყოს საქართველოში სახელმწიფო დოტაციაზე და ა. შ.

5. ვის დაქვემდებარებაში იქნებიან თეატრები, ექნებათ მათ სრული სახელმწიფო დოტაცია თუ მოსალოდნელია მათი კერძო პირების ან მუნიციპალიტეტის განმგებლობაში გადასვლა?

— ეს საკითხი თითქმის უკვე გადაწყვეტილია და, ამდენად, შემოძლია განვაცხადო, რომ თეატრები ძირითადად მუნიციპალიტეტების განმგებლობაში იქნებიან, გარდა აკადემიური თეატრებისა, რომლებიც სახელმწიფო დოტაციას მიიღებენ. დანარჩენი კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსდება. ეს ძალზე კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან, საქართველოში ბევრი მდიდარი რაიონია, რომლებიც გაცილებით უკეთ დააფინანსებენ თეატრს (თუ, რასაკვირველია ეს მათ ესაქიროებათ), ვიდრე კულტურის სამინისტრო ან სახელმწიფო. შემოქმედებითი კოლექტივების თანამშრომლებს გაეზრდებათ ხელფასი. ქალაქს შესაძლებლობა ექნება ხელშეკრულება დაუდოს ნებისმიერ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ მსახიობს, მიიწვიოს იგი და მისცეს საკმაოდ დიდი ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში დედაქალაქის ბევრი მსახიობი თუ რეჟისორი სიამოვნებით დათანხმდება მონაწილეობა მიიღოს პერიფერიული თეატრების წარმოდგენებში. ეს კი ხელს შეუწყობს ამ თეატრების შემოქმედებითი ცხოვრების წინსვლას. მაყურებელთა სპექტაკლებზე დასწრებაც ერთი-ორად ამაღლდება.

კერძო პირებისადმი თეატრების გადაცემაც არ არის გამორიცხული. მაგრამ ეს, ალბათ, მომავლის საქმეა. დღეს არა მგონია აღმოჩნდეს პიროვნება, რომელიც შეძლებს თეატრის დაფინანსებას. მაგრამ მომავალში თუ ასეთი პიროვნებები გამოჩნდებიან, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით.

6. რამდენად მისაღებად თვლით ქართულ თეატრში შემოქმედებითი თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულების სისტემას.

ხელშეკრულება არა თუ მისაღები, აუცილებელიც კია ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში. არა მხოლოდ შემოქმედებითი კოლექტივები, სახელმწიფო დაწესებულებანი და უწყებანიც ამგვარ სისტემაზე უნდა გადავიდნენ. ეს ხელს შეუწყობს მუშაობის სისტემატურ გადახალისებას. დიდი პერსპექტივა ჩანს სახელშეკრულებო სისტემაში და იმედი მაქვს, იგი კანონით იქნება გათვალისწინებული.

7. ქართული ეროვნული კულტურის პროპაგანდის, და არა მარტო კულტურის, არამედ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი

სახელმწიფოს მსოფლიოს ხალხებისათვის გაცნობის საქმეში თეატრს დიდი ადგილი უკავია. როგორი იქნება ქართული თეატრების თუ ცალკეული პირების საგასტროლო სისტემა?

— აქ დიდი ქაოსია. ძნელია გაარკვიო, ვინ სად და რა გზით მიდის. მაგალითად, ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე საზღვარგარეთ სარეკლამო გაერთიანება „ბენეფისს“ გაუგზავნია. რატომ, როდესაც რესპუბლიკაში არსებობს კულტურის სამინისტრო, რომელსაც ხელწიფება საზღვარგარეთ ცნობილ ხელოვანთა წარგზავნა? ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული მექანიზმის შემუშავება.

თუ ადრე ვისწრაფოდით მაღალმხატვრული კოლექტივების, ან ცალკეულ შემოქმედთა საზღვარგარეთ წარგზავნისაკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ მსოფლიოს გაეცნო საქართველო, მისი კულტურა, დღეს ჩვენი პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა. და ეს ჩვენმა სიღუბეებმა განაპირობა. თუ ჩვენი კოლექტივების საზღვარგარეთ გასვლა მხოლოდ მატერიალურ ზარალს მოგვიტანს, ასეთ გასტროლებზე უარი უნდა ვთქვათ. დღესდღეობით მთელი ყურადღება მიპყრობილია საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადების გააქტიურებისაკენ. თუ საქართველოს უცხოეთში „გასაყიდი“ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი, ეს არის ჩვენი კულტურა, რომელსაც, სამწუხაროდ, მცირე წვლილი შემოაქვს რესპუბლიკის ბიუჯეტში. არადა, ყოველი ჩვენი კოლექტივი თუ ცალკეული შემოქმედი ვალუტის შემომტანია. ყოველი გასტროლიდან საქართველომ მოგება უნდა ნახოს.

რასაკვირველია, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით პრესტიჟულ მსოფლიო ფესტივალებში მონაწილეობაზე, მაგრამ ამგვარი ფესტივალები, უცილობლად, მომავალი კომერციული გასტროლების წინაპირობად უნდა იქცნენ.

გურამ გეგეშიძემ ჩემთან კამათის დროს თქვა: საქართველო, ეს არის ქართული კულტურა. ეს არის ჩვენი სიამაყე. მინდა გავიმეორო, რომ საქართველო არის ქართული კულტურა და ეს კულტურა ძვირად ფასობს უცხოეთში. ჩვენი კულტურის ექსპორტმა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე უნდა მოუტანოს საქართველოს.

8. არის თუ არა შესაძლებელი ქართველი მაყურებელი გაეცნოს მსოფლიოს წამყვან ხელოვანთა შემოქმედებას, რამეთუ, ამ ხელოვანთა მოსაწვევად და მათი გასტროლების ასანაზღაურებლად საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ კონვენტირებული ვალუტა.

— სამწუხაროდ, მოწვევაზე ყველა კოლექტივი არ დაგვთანხმდება, რადგან დიდ საფასურს მოითხოვენ. ჩვენ კი ასანაზღაურებელი თანხები თითქმის არ გავაჩნია. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა დავხარჯოთ ის მცირეოდენი თანხა, რომელიც კულტურის სამინისტრომ გამოყო უცხოელი გასტროლების ასანაზღაურებლად. ვიმეორებ, დღეს ქვეყანას ძალიან უჭირს და ამიტომ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ.

9. სახელმწიფო ბიუჯეტის რამდენი პროცენტი სმარდება კულტურას და კერძოდ თეატრს?

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების დასაფინანსებლად, შარშანდღლთან შედარებით, გაცილებით მეტი თანხა გამოყო. თუ 1989 წელს თბილისის თეატრებისათვის იხარჯებოდა 6 მილიონ 464000 მანეთი, 1990 წელს 6 მილიონ 602 ათასი მანეთი. 1991 წლისათვის დაგეგმილია ამ კოლექტივებს მოხმარდეს 11 მილიონ 95 ათასი მანეთი.

10. დრომ დაგვანახა, რომ მთავრობას არ შესწევს ძალა მოუაროს თეატრების გასაჭირს, ხომ არ იქნებოდა უპრიანი თეატრებისათვის დოტაცია ეძლია სთმ კავშირს და კულტურის სამინისტროს. საამისო თახხა კი კავშირმა და სამინისტრომ „მოიპოვოს“ ასეთი გზით — გადაეცეს მას ერთ-ერთი დიდი ქარხანა ან ფაბრიკა. საილუსტრაციოდ მინდა მოგიყვანოთ ერთი ფაქტი. როგორც კი სთმკ განთავისუფლდა სახელმწიფო ბეგარისაგან და დაუგროვდა თანხა, მან თავის თავზე აიღო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტების სადილის ხარჯები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. პენსიები დაუნიშნა კავშირის წევრებს, თელავში მსახიობთათვის წამოიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ა. შ. იქნებ, კულტურის სამინისტრომ და თმ კავშირმა ქალაქების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით უკეთ დაგეგმონ რომელ ქალაქში გაიხსნას თეატრი და რომელ ქალაქში დაიხუროს?

— ამ მხრივ უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. მაგალითად, სთმ კავშირის თავმჯდომარე ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე ითხოვს კავშირს გადაეცეს პარფიუმერიის ფირმა „ივერია“, რომელიც ადრე საკავშირო დაქვემდებარებისა გახლდათ. მე და ბ-ნი გიგა ერთად გახლდით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ თენგიზ სიგუასთან. იგი დაგვაპირდა საკითხის დადებითად გადაწყვეტას. ეს კი ხელს შეუწყობს თეატრის მოღვაწეთა შემოსავლის გაზრდას.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა დაამტკიცა კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის გადაწყვეტილება და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, 1500 მანეთის ოდენობით, მიენიჭათ:

ღავით ანდლულაძეს — რეჟისორს, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“ დადგმისათვის.

გიორგი ბურჯანაძეს — მსახიობს, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „გრაალის მცველნი“ ოსტეის როლის შესრულებისათვის.

რევაზ ჩხიკვიანი — მსახიობს, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „გრაალის მცველნი“ ველსკის როლის შესრულებისათვის.

ყოველწლიური კონკურსის

„თანამედროვეობა და თეატრი“

პრემიის ლაურეატები

(1989—90 წლების სეზონი)

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნომ დაამტკიცა ყოველწლიური კონკურსის ქიურის დადგენილება და სეზონის საუკეთესო ნამუშევრებისათვის, თითოეულს 400 მანეთის ოდენობით, პრემია მიენიჭათ:

ზურაბ სამადაშვილს — დრამატურგს, პიესისათვის „კარს იქით“.

ალექსანდრე ქანთარიას — რეჟისორს, ზ. სამადაშვილის „კარს იქით“ დადგმისათვის ს. ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

ლია ხულუაშვილს — მსახიობს, მესხეთის (ახალციხე) სახელმწიფო თეატრის სპექტაკლში „ლია შუშაბანდი“, დედის როლის შესრულებისათვის.

ნუგზარ ყურაშვილს — მსახიობს, ს. ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „კარს იქით“, გიგას როლის შესრულებისათვის.

ნინო ნაყარაძეს — მხატვარს, ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახ. თოჯინების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „საით ილტვი, კვიციო?!“ სცენოგრაფიისათვის.

ფიქრია ყუშიტაშვილს — ახალგაზრდა თეატრმცოდნეს, ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ (1990 წ. № 2, № 6) გამოქვეყნებული რეცენზიებისათვის: „ცოდვილთა კუნძული“ და „ალსარება“.

ამასთანავე, მესხეთის (ახალციხე) სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის, პრემია მიენიჭათ გალინა ხვიჩიას და ვაჟა ნიკოლაიშვილს.

გამომცემლობა „საქართველომ“ გასულ წელს დასტამბა ნაირა გელაშვილის მოთხოვნების კრებული „მთვარი თ განათებული ბაღი“. წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია: „წარმოდგენილ მოთხოვნებში ძირითადად ნაჩვენებია ადამიანის სვლა საკუთარი თავისაკენ, რაც ზშირად მეორე ადამიანის სულში ჩადრმავებას ემთხვევა. ამდენად, მწერლის უურადლება არსებითად მახვილდება არა გარტვანი ცხოვრების ამბებზე, არამედ ადამიანის სულში მიწდინარე რთულ და ტრაგიკულ პროცესებზე“. თეატრისა და ცხოვრების ურთიერთმიმართებაში ეს პრობლემა, ვფიქრობ, ორივე მწარისათვის თანაბრად საშურია, ბუნებრივია, არც ჩვენი მკითხველია მისდამი გულგრილი. სწორედ ამიტომაც მოვიწვიეთ სასაუბროდ ნაირა გელაშვილი:

ნაირა

გელაშვილი:

უსამშობლობის

მრავალგვარი

ფორმა

კრსეპობს

— ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ქართული თეატრის ყველაზე დიდი მოვლენა, ალბათ, მინც გრიგოლ რობაქიძის დაბრუნებაა ჩვენს სცენაზე. დიახ, გრიგოლ რობაქიძე დაუბრუნდა ქართულ თეატრს. თავისთავად, სიმბოლურია, რომ დაუბრუნდა გრაალის ლეგენდის საოცრად ლამაზი, პოეტური, ტრაგიკული სიმბოლიკით. ბუნებრივია, არის გარკვეული ნიშანდობლობა ამ სიმბოლიკაში, ესოდენ რომ დაემთხვა ერის ამჟამინდელ სატკივარს. პირადად თქვენ, როგორ გაშიფრავდით ამ ნიშანდობლობას.

— მწერლის დაბრუნება მის სწორად წაკითხვას, აღქმას, გაგებას ნიშნავს და არა მხოლოდ ამა თუ იმ თხზულების გამოცემას ან სცენაზე დადგმას. ეს კი არც ისე ადვილია, რადგან გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობა შეტად განსხვავებულია და ძალზე დაშორებული დღევანდელი კაცობრიობის მსოფლგანცდას. საქმე ის გახლავთ, რომ იგივე გრაალი არ არის სიმბოლო და უკვე აქედან იწყება მწერლის სწორად გაგების მცდელობა.

გრაალი რობაქიძისათვის სავსებით რეალური, ობიექტურად არსებული, საიდუმლოებით მოცული საგანია, რომელსაც ასევე რეალური, მაგიური ძალა აქვს. ისეთივე საგანი, როგორც სასწაულმოქმედი ხატი, რომელზედაც ვერ იტყვი, რომ სიმბოლოა.

გრაალის მოტივს ძალზე ღრმად მიმავალი ლიტერატურული ფესვები აქვს. პირველად გრაალის თემა XII საუკუნეში დაამუშავა ფრანგმა პოეტმა რობერ დე ბორონმა. მის პოემაში გრაალი წარმოადგენს საიდუმლო სერობის თასს, რომელიც ქრისტეს ერთ-ერთმა უახლოესმა მოწაფემ, იოსებ არიმათიელმა, აავსო ჭვარცმული მაცხოვრის სისხლით, როდესაც მას რომაელმა ლეგიონერმა ფერდი ვანუგშირა. ამის შემდეგ, გრაალის თასი იქცევა სასწაულთმოქმედ სიწმინდედ, რომელსაც თავად მაცხოვარი მფარველობს. მისი წყალობით გადარჩება საპყრობილეში ჩაგდებული იოსებ არიმათიელი. იგი შემოიკრებს თანამოაზრეთ, მიემგზავრება ბრიტანეთში და აარსებს გრაალის მცველთა საიდუმლო ორდენს. შუა საუკუნეებში ამ თემის უმნიშვნელოვანესი გადამმუშავებელნი არიან ფრანგი ტრუვერი კრეტენ დე ტრუა და გერმანელი პოეტი ვოლფრამ ფონ ეშენბახი. აი, აქ უკვე ქრისტიანული რაინდული იდეალები და ეპოთერიკში უკავშირდება ძველი კელტური თქმულებებიდან მომდინარე მეფე არტურს, მისი მრგვალი მაგიდისა და რაინდების (რომელთა რიცხვი, ჩვეულებრივ, თორმეტია) მოტივს. სწორედ ეს მოდელი მეორდება გრაგოლ რობაქიძისთანაც. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ ცნობილი თ. მის ბრწყინვალე მუსიკალური გააზრება ხდება ვანერთან („პარციფალი“, „ლოლენგრინი“. მისი „პარციფალის“ ლიბრეტო ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემის მიხედვითაა დაწერილი). გრაგოლ რობაქიძის რომანში თავად გიორგი (არგვეთის ერისთავთა შთამომავალი) მეფე არტურს გვაგონებს, ღოღო ლევან ორბელი, ვინც მთელი ვსოვრება დაქვს გრაალის თასს — რაინდ პარციფალს. მთავარი აქ ისაა, რომ გ. რობაქიძე უაღრესად თამამ აზრს ავითარებს: საქართველოს აქვს თავისი გრაალი. ეს არის ტაბუირებული, საქრალური, სასწაულთმოქმედი საგანი: ბროლის თასი, რომელიც სავსეა არა მაცხოვრის სისხლით, არამედ უურძნის წვენიით: ოღესღაც, ესაა წილში, დიდი განსაცდელის ესა, საქართველოში მოზდა უდიდესი სასწაული, მისტერია: წმინდა რაინდთა წრეში, ვაჟის ჭვარს გამოება სამი ოქროს მტევანი. რაინდებმა ის დაწურეს და ჩაასხეს თასში. თავად შეიქნენ ამ თასის მცველნი. ამის შემდეგ თასი რჩეულთა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ჭერ ერთი, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მაცხოვრის სისხლი შეცვლილია უურძნის წვენით, ე. ი. ღვინით. ისევე როგორც ვაჟთან, ე. ი. ღვინის მცენარესთან შეუღლებული ჭვარი გამოხატავს სინთეზისა და მარმონისაკენ მიდრეკილ მსოფლგანცდას (მიწიერისა და ზეციერის, ბუნებისა და ღმერთის, ქრისტესა და დიონისეს სინთეზს), ასევე საქართველოს გრაალიც შეიცავს ბუნების (უურძნის) წვენს, როგორც ქრისტეს სისხლს, და არა ქრისტეს სისხლს, როგორც ღვინის (სამყაროს წვენის) სიმბოლოს. ამით სამყაროს, ბუნების განსაკუთრებულად განსულიერებულ აღქმაზე მახვილდება უურადლება.

შემდეგ: არსებითია ის, რომ გრაალი, ისევე როგორც ნებისმიერი ღვთაებრივი ძალა, მოქმედუნარიანია იქ, სადაც არსებობს შესაბამისი ზნეობრივი ველი, ამ შემთხვევაში, გრაალის მცველ რაინდთა სახით. ეს არის მარადი ურთიერთმიმართება ღვთაებრივი ძალისა და ადამიანთა სულიერი ველისა. სადაც ზნეობრივი საფუძველი წაშლილია, იქ ღვთის ძალა აღარ მოქმედებს, და მთელი ტრაგედია, გ. რობაქიძის აზრით, სწორედ ის არის, რომ ეს სულიერი ველი საქართველოში

დასრუტულია, რის შედეგადაც გვევლინება ის ფაქტი, რომ ვრძალის თასი აღარ არის ღვთის სასწაულებრივი ენერჯის გამომსხვივებელი, სასწაულთმოქმედი საგანი. ის სამუზეუმო რელიქვიად ქცეულა და უბრალოდ, ფიზიკურად ინახება სულიერი საქართველოს უკანასკნელი მომჯანის — თავად გიორგის სახლშიც. აღარც თავადი გიორგია ვრძალის ნამდვილი რაინდი. მთელი მისი გამორჩეულობის მიუხედავად, ის აღარ არის მწესთან წილნაყარი, სამყაროს გულისგულს უშუალოდ ზიარებული კაცი, აღარ არის ღვთის შვილი, ის უბრალოდ, უღრმესად განათლებული ადამიანია, რომელსაც გარკვეულად გავარჩიებული აქვს სული და სწული.

მთავარი ის არის, რომ ვრძალის თემის მოხმობა რობაქიძისათვის ესევე არ არის ე. წ. „ლიტერატურული სერხი“, როგორც ვრძალი არ გახლავთ სინდოლო. ვრძალის ისტორია ავტობიოგრაფიული პერსონაჟის — ლევან ორბელის მიერ ნათელსიღვით რეალურადაა განცდილი, როგორც საქართველოს სულის რეალურ ისტორია. თქვენ ან უნდა დაუჯეროთ, ან — არა. მაგრამ თქმა იმისა, თითქოს ეს თავად რობაქიძისთან სიმბოლო და „სერხია“ — სრული გაყალბება იქნება მწერლის მსოფლგანცდილსა.

მწერლის აზრით, ერის სულიერი დასრუტა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო, რასაც შედეგად მოჰყვა ის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დაღმასვლა, დაქვეითება თუ მარჯხი, საქართველომ რომ განთავდა დროსა ვითარებაში, გრ. რობაქიძის მსოფლშეგნებით, უძლეველობის წყარო პიროვნებისთვისაც და ერისთვისაც წმინდად შინაგანი ფაქტორია. თუ ადამიანი — პიროვნება, ერი ჩართულია კოსმიურ პულსაციაში, როგორი გარეშე მტერიც არ უნდა ჰყავდეს, ის უძლეველია, როგორც კი მოსწყდება ამ კოსმიურ პულსაციას, ანუ იმას, საიდანაც ძალას იღებს, იწყება დაქვეითება, რასაც აუცილებლად მარცხი მოსდევს.

საიდან იღებს ძალას ადამიანი ან ერი? ენერჯის წყარო ორგვარია: კეთილი და ბოროტი. თუ ადამიანი, ერი, ღმერთისაგან არ იღებს ძალას, სიკეთის გზას არ ადგას და მანც „ძლიერია“, ასეთი ძლიერება ეშმაკივულია. სწორედ ეს გახლავთ ამ რომანის შინაგანი პათოსი. პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფორმაციას რობაქიძე მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. მისთვის მთავარია, რომ ერმა, პიროვნებამ გუი ენერჯის იმგვარი სათავისაკენ აიღოს, რომელთან კავშირის გარეშეც საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია. ე. ი. საფუძველი უთუოდ წნეობრივ სიღრმეში უნდა იქნას მოძიებული. სხვაგვარად მივაღწევთ მხოლოდ გარეგან ცვალებადობას, გარეგან სიანლეს, რაც, თავისთავად, დროებითია, სრულიად უპერსპექტივო და არამყარი.

ამიტომ, ერთი შეხედვით, თანამედროვეობისაგან რაოდენ გაუცხოებულადაც არ უნდა გვეჩვენოს მწერლის მსოფლმხედველობა, ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, დღესდღეობით ძალზე აქტუალურია ლტოლვა ძალაუფლებისაკენ, რომელიც გამოხატულია დღეს ყველგან, სადაც კი პოლიტიკური ტრანსფორმაციები მიმდინარეობს, თუ დიდი წნეობითა და სიკეთით არაა ნასაზრდოები, თუკი ძლიერება პიროვნების სულიერი სიღრმიდან არ მომდინარეობს, არ არის ქვეშარტი. დაკვირდით: ცნება „ძალაუფლება“ ძალას უფალთან აკავშირებს. ამდენად, ყოველგვარი ძალა, თუ ის უფალთან არ არის დაკავშირებული, აუცილებლად სატანისეულია. აი, სწორედ ეს არის „ვრძალის“ ერთ-ერთი აზრობრივი ლაიტმოტივი.

— რომელიც, არსებითად, მარადიულია და ზოგადკაცობრიული. დროსა და სივრცეში შემოუსაზღვრელი. უქვევლია, მწერლის ამგვარმა პოზიციამ, მხატვრულ ხარისხთან ერთად, ბევრად განაპირობა მისი შემოქმედების აღიარება უცხოეთში.

ისიც საგულისხმოა, რომ გერმანელებმა მძაფრი ინტერესი გამოიჩინეს რობქიძის მოღვაწეობისადმი.

— აქ ერთი მომენტიც, უთუოდ, ვასთვალისწინებელი. როდესაც იგი 1931 წელს ემიგრაციაში წავიდა, ბოლშევიკური დიქტატურიდან შიტლერულ დიქტატურაში აღმოჩნდა. ბუნებრივია, მისი მსოფლმხედველობა უციადურებად უპირისპირდებოდა მატრიალისტურ, სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელიც სავსებით უარყოფს სულს, სულიერებას, ეროვნულს და იმ საიდუმლოებას, რაც ეროვნულში იგულისხმება. ამიტომ, რობაქიძის ინტერესი მთლიანად სულს, ერის, რასის, ჯიშისაკენ იყო მიმართული. შიტლერულ დიქტატურაში მერე უციადურებას მძინვარება — რასიზმი. ამდენად, მწერლის მსოფლმხედველობა იქ, ნაწილობრივ, ამ თვალსაზრისით იქნა გამოჩენილი და ატაცებული. ფაქტობრივად, ცალმხრივად გაგებული (იმ პერიოდის ბევრი ისეთი უფრნალი თუ განეთი განადიდებდა რობაქიძის შემოქმედებას, რომელიც ფაშისმის იდეოლოგიური ორგანო იყო).

აქ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. არ ვაძი, რით იყო გაპირობებული, — ფაშისტურ გერმანიაში ძლიერ პოპულატად ქვეყნული ზეკაცის კულტით (ნიუშეს ნააზრევის ცალმხრივი ინტერპრეტაციის შედეგი) თუ სხვა რამ მიუხედავად, მაგრამ ამ რომანის („გარაღის მცველნი“) შემდეგ რობაქიძემ გამოაქვეყნა ესეებები ლენინზე, შიტლერზე და მუსოლინიზე. მე ეს ესეებები არ წამივითხავს, მაგრამ ისინი კრიტიკულადაა შეფასებული მსოფლიო ლიტერატურის ფუნდამენტურ, გერმანულ ლექსიკონში (მარენბერგის ლექსიკონი), სადაც ნათქვამია, რომ აქ: „რობაქიძემ გამოხატა თავისი აღფრთოვანება „ძლიერი პიროვნებებით“. „ძლიერა პიროვნებები“ — ბრქვალეზშია ჩასმული.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე დასავლეთის აზროვნებასთვის „ძლიერი ადამიანის“ კულტი, თუგინდ საქმე ესებოდეს არა ტირანს, არა „ფაურერს“, არამედ სულიერ პიროვნებას, — ყოველნაირად მიუღებელია. ითვლება, რომ წინამძღოლების, ქურულების, წინასწარმეტყველების, ლიდერების დრო წავიდა. დრო, როცა მხოლოდ ერთი ხედავდა, ერთი აზროვნებდა და სხვები მორჩილად მიჰყვებოდნენ, დღეს ინდივიდუალური ცნობიერების გაღვიძების, ინდივიდუალური აზროვნების ამოქმედების დროა. ეს პროცესი კი შეიძლება დაამუხრუჭოს, როგორც პოლიტიკური ლიდერის, ისე, დავუშვათ, რომელიმე მწერლის კულტმა. კულტი კულტია, გამოირიცხავს ანალიტიკურ, კრიტიკულ მიდგომას და დიდი ხნით აქვეითებს ამა თუ იმ საზოგადოების გონებრივ, სულიერ განვითარებას.

— სხვათაშორის, იმავე გერმანიაში, ფიურერის კულტის მომძლავრებისას, ბრეტანს თეატრალური ესთეტიკის ფორმირებაც ხომ არსებულ სინამდვილეზე რეაქტია გახლდათ და ამ სინამდვილის თავისებური ანტითეზის სახით წარმოიშვა. ბრეტანს აზრით, ლიდერის კარიერას, უფრო სწორად, კულტად ქცევას, ზეჰრად განაპირობებს ინდივიდუალური სახიობის, პიროვნული არტისტიზმის მომენტი, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს და მთლიანად იპყრობს მასების გრძნობიერ, ემოციურ სფეროს. იმ ეტაპზე ფაურერი, მართლაც რომ სავსებით „ფლობდა“ გერმანელი ხალხის გულს. სწორედ ამიტომაც, რეალურად შეეფასა რა არსებული სინამდვილე, ბრეტანმა გეზა, ძირითადად, ადამიანის ინტელექტუალური, გონებრივი შესაძლებლობებისაკენ აიღო და მთელი ძალისხმევა პიროვნების ანალიტიკური აზროვნების, კრიტიკული გულისყურის გაფხიზლებისკენ მიმართა. აქ ერთ ცატატას მოვუხმობ მისსავე „გალილიდან“:

„ანდრეა: — უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები არ ჰყავს.“

გალილი: — უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირება სჭირდება, რამეთუ, ტის ასრით, კვარცხლბეკზე შემომდგარი მისაბამი ეტალონები ყველაფერთან ერთად „ჩრეულ რასის“ ილუზიასაც უქმნის ერს.

— საერთოდ, განუწყვეტელი აპელირება საყუთარი გიშის, სისხლის, რასის, მოღვაწის, შესიანობისა ერისათვის, განსაკუთრებით კი მცირერიცხოვანი ერისათვის, ერთობ საშიში, მეტიც — დამღუპველია, რადგან ხანგრძლივად ჩერებს აზროვნებასა და ზნეობას. მეტადრე, ეს ტენდენცია ჩამორჩენილი ხალხებისათვის უფროა ნიშნული, აწმყოში რომ აღარაფერი აქვთ სამაყო, მოკლებულნი არიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ დანოუკიდებლობას, მოწყვეტილნი საკაცობრიო ცივილიზაციისა და პროგრესს. ამით დაკომპლექსებულნი, არსებობის გასამართლებლად, ნიადაგ საყუთარ წარსულსა და გარდასულ დიდებას უშობენ. სხვათაშორის, ამ მიმართებით, თუ კვლავაც მცდარი, არასწორი აქცენტირება გამძაფრდა, შესაძლოა, საქართველოც დაახლოებით ამგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. სისტემატურია უტრირება იგივე „ქართული გენის“, გენოფონდის, გენეტიკური თვისებების (რაც სწორად არასწორი ვაგებოთა და მნიშვნელობითაც კი იხმარება), ჩემის ფიქრით, სრულიად ზედმეტია. ისევე როგორც ნებრსმიერ ადამიანს თავისი განუმეორებელი თითის ანბეჭდი აქვს, ყველა ხალხი, ყოველი ერა ამქვეყნად თავისი განუმეორებელი მისიით მოდის. მაგრამ არსებობს ისტორიული ბედისწერა თუ ვითარება, რომელმაც შეიძლება ჩაახშოს, ან სრულიად სხვა გზით წარმართოს ნიქა, ტალანტი, შინაგანა მოტენციალი და თავისი განუმეორებელი მისია სულის ისტორიაში ერმა, ისევე როგორც ადამიანმა, შესაძლოა, ვეღარ აღასრულოს ამდენად, ზემოაღნიშნულ საკითხს გრ. რომაქიძის ინტერესი სრულიად სხვა ასპექტით მოიცავს. ხაგნებისა და მოყენების მწერლისეული ჰედვა ამდენად სერაოზული, პირველადი, უადრესად ღრმა ხასიათისაა, რომ მისი წველმა იოლად არ მიიღწევა. ამისათვის ადამიანს სისხლბორცეულად უნდა ჰქონდეს გამჭვარი ქრისტიანული აზროვნება, ხსარება, ძალზე ვანეთარებული თეოსოლოგია, მისტიკური სედვა.

— ეს მათ უფრო რთულია ჩვენთვის, რამდენადაც ღმერთთან გაუცხოების ესოდენ ხანგრძლივი ვაუქუმის პროცესში გვაწყობებდნენ.

— რა თქმა უნდა. ბოლო საუკუნეები, საერთოდ, ღმერთისგან, ბუნებისგან და, ამდენად, საყუთარი თავისაგან გაუცხოების ნიშნით წარმართა, რაც თავისთავად, ერთობ ზოგადი, გლობალური პროცესია. ჩვენთან ის მეტანეკურად, ავტომატურად, ძალისმიერად იქნა გამოწვეული. მაგრამ იქაც კი, სადაც არ ყოფილა მსგავსი დიქტატორული, სავალდებულო ათეიზმი, დაახლოებით იგივე მოხდა. ყოველივე ამას ძალზე სერიოზული, ღრმა ფესვები აქვს. პარადოქსია, მაგრამ ჩვენთან ხელისუფლების მიერ სარწმუნოების აკრძალვამ, მისი გარკვეული მერმეტიზაცია მოახდინა, იდეა შეინახა. ბოლშევიკურ ხელისუფლებას, პროპაგანდის გზით, თავის სამსახურში რომ ჩაუყენებინა ქრისტიანობა, მისგან აღარაფერი დარჩებოდა. ის გაიგივებულა ოფიციალურ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასთან, პოლიტიკასთან. ადამიანები სრულიად გაუცხოებულად ილტვოდნენ ეკლესიისაკენ და ეს გახლდათ გამოხატულება პროტესტისა არსებული სინამდვილისადმი. ეს გაუცხოებულობა ბუნებრივია, მაგრამ ეს ბუნებრიობა, მეორეს მხრივ, საშიშაცაა. საშიშია იმიტომ, რომ დღესდღეობით ხალხმა სტიქიურად აიტაცა, როგორც რაღაც დაპირისპირებული ლოზუნგი. ეს, ეტყობა, გარდამავალი პროცესია, რომელიც აუცილებლად უნდა გავიაროთ. თავისთავად, გზა ღმერთისაკენ, საყუ-

თარი თავისაკენ ძალიან წყნარი, ჩუმი, იდუმალი, მარტოობაში მიმღინვარეობის ცესია. ეს არის თანდათანობითი ზრდა სულისა, იგი იმდენად მტანჯველია და სწორედ წაწველია, მისი საქაროდ გამოტანა მხოლოდ ღრმა შინაგან ურწმუნობაზე მიუთითებს. საკუთრივ რწმენა ისეთ ინტიმურ რანგშია აყვანილი, იმდენად ინტიმური სფეროა, რომ მაცხოვარს ჰქვია სიძე, ნეფე სულისა. ქეშმარიტი მორწმუნე ამაზე, საერთოდ, ღაპარაკსაც კი ერიდება, არათუ მის სამიტინგო ღოწუნებად ან თემებად ქტევას. ეს იმდენად შინაგანი რელიგიაა, რომ ყოველგვარ გარეგნულ ფორმალბაზას და დემონსტრირებას სავსებით გამოირიცხავს, პირდაპირ კრძალავს.

— როგორ ფაქრობთ, რამდენად შეძლო რობაქიძის თზულებას გასცენიურებულია ვარიანტმა ამ შინაგანი ტონალობის შენარჩუნება.

— როგორც მწერალი, მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ რომანის გასცენიურებისა. როდესაც ბატონმა აკაკი ბაქრაძემ შემომთავაზა „გრაალის“ გასცენიურება, მართალი ვიქართ, თავსარი დამცვა. ჩემთვის ეს ნიშნავდა ხელყოფას ნაწარმოებისა, რომელიც ძალზე ეზოთერული და რელიგიურ-ინტიმური შინაარსის გამო, სწორედ რომ არ არის ჩათვარებული სცენისათვის. თავისთავად, სცენა, თეატრალური ხელწეება ის სფეროა, რომელსაც ერთობლივი, კოლექტიური აღქმა უკავშირდება. ეს რომანი კი, თავისი ბუნებით, სრულიად არ არის სცენური. როგორადაც არ უნდა ეცადო, ასეთი ნაწარმოები აუცილებლად მარტივდება და, გარკვეულად, ზედაპირული ხდება. სწორედ ამიტომაც ვარ წინააღმდეგი მისი გასცენიურებისა, მაგრამ იმდენად დადი იყო გრ. რობაქიძის მონატრება და სურვილი მისი თზულების სცენაზე ხილვისა, რომ წავედი ასეთ დათმობაზე. ჩემს მიერ შეთავაზებულ ვარიანტში სწორედ სულიერების მომენტს, სულიერ დიალოგებს ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ბუნებრივია, ამ მოცულობის პიესა ვერ გადავიდოდა სცენაზე. სცენას თავისი კანონები აქვს, კომპაქტურობას მოითხოვს. ეს კომპაქტურობა პიესამ სწორედ სიღრმის ხარჯზე შეიძინა. მეორეს მხრივ, ეს გარდაუვალი იყო, რადგანაც იქ სანახაობრივი მომენტი და საკუთრივ ქმედება ნაკლებმნიშვნელოვანია. მთელი ყურადღება კონვენტარირებულია შინაგანი პროცესების გახილვადებასა და საიდუმლოებასთან თანდათანობით მიახლოებაზე. მაგრამ, ვიმეორებ, ამგვარი კომპრომისის საჭიროება თეატრს, დღესდღეობით, აუცილებლობად მიანჩნდა. მსახიობებმაც ძალზე შეიყვარეს ნაწარმოები და მთელი არსებით შეეცადნენ მის გადმოცემას. რობაქიძის „გრაალი“ კი, თავისთავად, იმდენად განსხვავებული მოვლენაა რომ, ბუნებრივია, სექტაკლი, ამ ეტაპზე, შორს არის ნაწარმოების ნამდვილი არსისაგან.

— თეატრისებულა აქცია მართლაც პრინციპული კომპრომისი ვაზლად, რასაც, თავისთავად, ასევე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე სწორედ რობაქიძის სახელმა და ავტორიტეტმა გადაარჩინა ქართული თეატრი მავუტრებლას მთლიანად დაკარგვას. დღეს თეატრს მავუტრებული დაკარგა. გარდა იმ მთელი რივი ზოგადი ფაქტორებისა (ყოფილი, ეკონომიკური, ვიქტორი, იგივე ვადლო-ტილე თუ საგაზეთო ბემი და ა. შ.), რომელნიც, არსებობდა, დროის დეფიციტს ქმნიან, თეატრს მავუტრებული ჩამოაცილა იმ მოკლენებმაც, რაც დღეს ჩვენს სანამდევლოში მიმდინარეობს: მიტანებები, გადიცევა, საპროტესტო აქციები, მანიფესტაციური მსვლელობები. არის გარკვეული თეატრალური ელიმენტაც ამ პროცესებში: სპეციფიკური დრამატურგია, სანახაობრივი ფაქტორი, იმპროვიზაციულობის მომენტი. დღესდღეობით, ხალხი, ძირითადად, ამ

ახალი ტიპის, თვისებრივად განსხვავებულ „მოედნის თეატრს“ უფრო ეძალეება და ნაკლებად ეშურება აკადემიურ თეატრებში შესვლას.



შეორეს მხრივ, მაყურებელსაც აქვს გარკვეული ალიბი, რომ თეატრი მისდევს კვადრატულ დროს. დღეს იმგვარი კალენდრისკოპური ქრონომეტრული ფიქსირდება მოვლენათა ცვალებადობა, თეატრი, მართლაც, ვეღარ ასწრებს კვალში მიყოლას. ამასთანავე, მოვლენების საფუძვლიანი ანალიზისა და განზოგადებისათვის თეატრს დრო სჭირდება, გარკვეული დისტანციაც. რა ქნას ამ შემთხვევაში თეატრმა, როგორ შემოიბრუნოს მაყურებელი. არადა, უკვე „უქარაობის“ ეპოქაში ქართული თეატრი ყველაზე თამამი და გაბედული, პოლიტიკურად ყველაზე აქტიუალური გახლდათ მთელს კავშირში. მეტაფორა, სიმბოლო, ალეგორია, ქვეტექსტი — მთელი თავისი არსენალით, ქართული თეატრი სწორედ რომ არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიგონი იყო.

— პირადად მე არა მგონია, რომ ჩვენი თეატრი მაყურებელით მაინცადამაინც განებივრებული იყოს. მაყურებლის დიდი რაოდენობით მიზიდვა, ძირითადად, სანახაობრიობის ხარჯზე ხერხდებოდა. ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რ. სტურუას შემოქმედებაში, რომელმაც შეძლო მაყურებელიც მიეზიდა და მალე პროფესიულ დონეზეც დარჩენილიყო. სანახაობრიობას საერთოდ, მაინც გარკვეულ ეფექტურ მომენტებზე გადააქვს აქცენტი და წმინდა შინაგანობა უყურადღებოდ რჩება. მაყურებელი სხვადასხვაგვარია. პირადად ჩემთვის, სუბიექტურად, უფრო მისაღებია გარეგნულად უბრალო და სადა სექტაკალი, სადაც მთელი აქცენტი გადატანილია შინაგან — ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ პროცესებზე. ჩვენს სცენაზე მენატრება საუბარი — საინტერესო, დრამა საუბარი. განა ყოველდღიურ ცხოვრებაში კი არ ენატრება ადამიანს საინტერესო თანამოსაუბრე, რომელთანაც ის შინაგანად გაიზრდება. რაღაც ახალ საიდუმლოებას მიაღწევა, ახალ აღმოჩენებთან მივა? ჩემნაირ მაყურებელს სწორედ ასეთი საუბარი ენატრება სცენაზეც.

რაც შეეხება იმას, რომ თეატრი ვერ ასწრებს მოვლენების მიდევნებას, ვფიქრობ, გარდამავალი პერიოდაა. ეს საზოგადოებრივი პროცესები და პოლიტიკური აუიოტაჟიც მოსწყინდება ხალხს და ადამიანი ისევ დაუბრუნდება იმ თავის ყოველდღიურ სევდასა და ყოველდღიურ ადამიანურ იღუმალებას, რითაც გარემოცულია. ის, რომ დიდი კატაკლიზმების პერიოდში თეატრმა ნაყურებელი დაკარგა, რადგან ხალხის ინტერესი პოლიტიკური რეჟიმისკენაა მიმართული, მე, პირადად, ნაკლებ საფრთხედ მიმჩნია. აბა, როგორ გაზარდოს თეატრმა სულიერად ადამიანი, როგორ წაიყვანოს სულიერი სიღრმეებისაკენ, თუკი თავად გამოედევნა, ყოველთვის თვითონ გაჰყვა იმ პროცესებს, რაც ცხოვრებაში ხდება და რაც გარდამავალია. თეატრალური ცხოვრება ყოველთვის ვერ აეწყობა, ვერ გაითვლის აუცილებლად ბევრ მაყურებელზე. ამ პრინციპით მოქმედება მთლიანობაში, ალბათ, არ არის სწორი. მან „ცოტა“ მაყურებელზედაც უნდა იფიქროს უსათუოდ. უკეთ რომ ვთქვა, ისეთ თეატრს, ზემოთ რომ მოვახსენებდით, დარწმუნებული ვარ, არ ეუოლება ბევრი მაყურებელი, მაგრამ იმ მცირე ნაწილის ინტერესიც ხომ უნდა იქნას გათვალისწინებული. ვისაც, დავუშვათ, სხვაგვარი რეალობა — ადამიანის სულში მიმდინარე პროცესები უფრო იზიდავს. ესეც ხომ უზარმაზარი რეალობაა. საიდუსტრაციოდ, გენბავთ, შექსპირისა და მეტერლინიკის დრამა შეადარეთ. პოლარული სხვაობაა, მაგრამ ხომ ორივეს აქვს არსებობის უფლება.



— მეტიც — თანაარსებობისა. თეატრის მთელი მომხიბვლელური მის მრავალფეროვან ბუნებაშია. თქვენი ინტერესიც, ძირითადად, ამ საყოველთაო პრობლემას უტრიალებს, რასაც ადამიანის გაუცხოება ეთქმის. გაუცხოება, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ღმერთისაგან, ბუნებისაგან, ამდენად — საკუთარი თავისაგან, ე. ო. — ტოტალური გაუცხოება. ამ უკიდვანო მარტოობაში სცენაზე თანამოსაუბრის მონატრება, უბრალოდ, შენსავე მოყვასთან ურთიერთობას სურველი, ჩვეუ და ისევ სიმარტოვისაგან თავს დაღწევს, გახსლტომის მცდელობაა. არადა, ლამაზ დაკარგვო ურთიერთობის კულტურა, საკუთრავ, სპექტაკლაც ხომ სხვა არა არის რა, თუ არ ადამიანთა ურთიერთობას სასტემა, პერსონაჟთა ურთიერთობის ჯამი.

— მოგეხსენებათ, რაც უფრო უბრალო და ყოველდღიურია საგანი, მით უფრო რთულია მასში საიდუმლოდ აღმოჩენა. ურთიერთობის კულტურა დაკარგვით, ამზობთ. მერედა, რატომ? რა ხდება, რატომ ვერ უგებს ორი ადამიანი ერთმანეთს. თვით უახლოესი ადამიანებიც კი: დედა-შვილი, ცოლ-ქმარი, და-ძმა და ა. შ. ხომ გვერდ-გვერდ ცხოვრობენ. მარტო იმიტომ ხომ არა, რომ პოლიტიკურად დაშორებული ან ეკონომიურად ჩამორჩენილნი ვართ. რატომ ვერ ახერხებს ადამიანი ამ დედამიწის ზურგზე სიმშვიდე და შინაგანი სიხარული იპოვოს. გაიხსენეთ, თუ გინებათ, თუნდაც იგივე „ოვით კეთილ მეფეც როდი არი მოსვენებული“... რატომ? ისეთი რა ჯადო აქვს შეყრილი ადამიანს, რომ არ შეუძლია ბედნიერი იყოს?

— ოთარ ჭალაძის არ იყოს, მართლაც „მინც რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა“ („ყოველმან ჩემმან მოკნელმან“)? ამაზე დაფიქრება, უბრალოდ, ჩვენს ადამიანურ მოვალეობაა. რადგან მოვალეობა ვახსენეთ, მოგეხსენებათ, კანტი ამბობდა, ორი რამ მოიცებსო ქვეყნად — ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა და ზნეობრივი პასუხისმგებლობის კანონი ადამიანში. დიახ, მარადიულა, ბიბლიური „შენ უნდა“ იმავე ათი მცნებიდან, იშვავითვე, პიროვნების ზნეობრივ ორიენტირად თაისახა. მოვალეობის გრძნობა არ არის ორთა და სიერკეში განსაზღვრული. მარამ ესოენ მათურა პროცესებს ფონზე, როდესაც მთლია აქცენტი გადატანილია გარეგან ფაქტორებზე და სულიერი ცხოვრებისათვის დრო აღარ რჩება, როცა ადამიანი საოცრად დაბნეული და უმწყეოა, არის საშორებება, ზნეობრივი ორიენტირის ბელოდან გახსლტომისა.

— ადამიანის ზნეობრივი გეზი, მისი ამქვეყნიური მოვალეობა, დანიშნულება თუ პასუხისმგებლობა ობიექტურად, ზოგადად, იშვავითვე დადგენილი და განსაზღვრულია რელიგიის, ფილოსოფიის, ზელოვნების მიერ. თუ რამუნდად აცნობიერებს იგი სუბიექტურად ყოველივე ამას, უკვე თავად ადამიანის შინაგან კულტურასა და სულიერ ღონეზეა დამოკიდებული მთლიანად. ადამიანი, პიროვნება მოვალე და პასუხისმგებელია ყოველივე იმის წინაშე. რაც შექმნა ღმერთმა და მათლის სახით უძღვნა მას: ადამიანი, ბუნება, მთელი სამყარო. მოძღვნილი რომ გაქეს, არ შეგიქმნია და არ მოგიპოვებია, მოვალე ხარ, გაუფრთხილდე, დაიცვა, დაიცვა სიცოცხლე, სული, ზელოვნება — ყოველივე ის, რაც მოდის ღვთისაგან, ნიჭისაგან, სიკეთისაგან. ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობა თუ დანიშნულება უწინარეს ყოვლისა, არის ზრუნვა. როცა დიდი ილია გემოდურავს ყოველ ცისმარე დღეს დაფიქრდი, აბა დღეს მე ვის რა ვარგეო. ეს უკვე ზნეობის კონკრეტული აქსიომაა. ახლა ყველა განუწყვეტლივ ქრისტიანობაზე ლაპარაკობს. ქრისტიანობა ძალიან ძნელი რელიგიაა. ძნელია იმიტომაც, რომ ის, უწინარეს ყოვე-



ლისა, ფეხთა განბანვის მისტერიაა, მსახურება. უნდა ემსახურო მოყვასს, ცო-
ცხალ არსებას, ყოველივე იმას, რაც დასაცავი, მოსავლელი და გასაფრთხილებელი
ლია. აი, სწორედ ეს მსახურების მომენტი არ აწყობს ბევრს და გაურბის, რადგან
მგონიათ, რიტუალების დაცვა მთავარი! საეკლესიო რიტუალური სისტემის დაცვა
(წირვა, ლოცვანთა მოსმენა ან აღვლენა, ეკლესიაში სიარული, მარხვა, სანთლის
დანთება და ა. შ.) თუ არ ეფუძნება ზნეობრივ ცხოვრებას, ინდულგენციის ხა-
სიათს იღებს, წმინდა სპეკულაციად იქცევა, რადგან მორწმუნე, თავისი ჭკუით,
ღმერთის კეთილგანწყობას ეიდულობს. სწორედ ამიტომ, ილიასეული შეგონება
მთელი ცხოვრების გზაა — ძალზე ყოველდღიური და კონკრეტული.

მეორეს მხრივ, პირველი პასუხისმგებელია აგრეთვე საკუთარი თავის, სულის
წინაშეც. ყველა ადამიანში ღმერთმა რაღაც მონაცემი, უნარი, ნიჭი დააბანდა და
ამ ღვთიურ მადლსაც მოვლა, გამოვლენა, ამოგება სჭირდება. ღირებულებათა გა-
დაფასების გამო, ჩვენთან იმდენად გაუფასურებელია ჩვეულებრივი ადამიანური
სწრობა, ადამიანი, ხშირად, სრულიად სხვა, უფრო პრესტიჟულ და მომგებიან
საქმიანობას მიეღობს, ნაცვლად იმისა, საკუთარი ნიჭი თუ უნარი სრულყოფს და
ნებისმიერი ხელობა მაღალი ხელოვნების რანგში აზიდოს.

— სხვა დანარჩენთან ერთად, ახლა ღირებულებათა გადაფასების მძაფრი,
მტკივნეული პროცესიც მძლავრობს, როგორც ინდივიდუალურად, ისე საზოგადო-
ებრივი მასშტაბით. იგივე მოვალეობის გრძნობაც დღე განსაკუთრებულ, კი-
დეე უფრო მეტად აღმატებულ ხარისხში იაზრება. ასე რომ არ იყოს, ალბათ, არც
თქვენ ჩაებმებოდით მწვანეთა მოძრაობაში. პირადად ჩემთვის, ნებისმიერი საზო-
გადოებრივი ფორმაციის პირობებში, ამაზე სუფთა, პატიოსანი და საშური საქმე
ძნელად წარმოსადგენია. ერთი რამ მაფიქრება მხოლოდ — რამდენად საჭიროებ-
და მწვანეთა მოძრაობა დამოუკიდებელ პარტიად ფორმირებას.

— საერთოდ, საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ არანაირი მიდრეკილება არა
მაქვს. პირადად ჩემს არჩევანზე რომ მიდგეს ჭერი, სახლში დავჭდებოდი და მხო-
ლოდ ლიტერატურული საქმიანობით შემოვიფარგლებოდი. მაგრამ რაზე წერს
მწერალი? იგი წერს ფასეულობებზე და მისი ზოგადი მისია ფასეულობების გა-
დარჩენაა, როცა ჩვენ თვალწინ ცოცხალი სამყარო ბარბაროსულად ნადგურდება
და იღუპება, ამაზე შე მწერლისეული კი არა, ჭერი ჩვეულებრივი, ადამიანური რე-
აქცია მაქვს და საერთოდაც, ყოველგვარ უსამართლობაზე სპონტანური, აღქვა-
ტური რეაქცია გამაჩნია. სხვა მწერალს, ალბათ, შეუძლია (რამდენადაც ვიცი,
მწვანეთა მოძრაობაში მწერლები არ არიან ჩაბმულნი), მე კი არ შემიძლია, გულ-
აზრებით, ფიზიკურად არ დავდგე ამ საქმესთან. მწვანეთა მოძრაობა, აცნობიე-
რებს რა ვალდებულებას სამყაროსა და სიცოცხლის წინაშე, ჩვეულებრივი ნორ-
მალური ადამიანის მსოფლმხედველობას: და განწყობას გამოხატავს. მაგრამ თუკი
ეს ცნობიერება ვერ იქცა საყოველთაო-სახალხო შეგნებად და არ გავრცელდა
მთელს ერზე, იგი დასაღუბადაა განწირული. ვერანაირი მოძრაობა, ვერც ერთი
ორგანიზაცია მართო ვერ აუვა ამ საქმეს. სიცოცხლის გადარჩენაზეა ლაპარაკი!
რადიკალურად შეიცვალა სამყაროს მდგომარეობა, ეკოკატასტროფის სიახლოვემ
ყველაფერს უცვალა სახე, მაგრამ ვერ შეიცვალა ადამიანის ცნობიერება. სრული-
ად აშკარაა აღსასრულის კონტურები. ხვალ ეს პროცესი უკვე შეუქცევადი გახ-
დება. უახლოეს ხანში ეკოლოგია იქნება ის ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკა,

რომელსაც დაექვემდებარება ყველანაირი ნაციონალური, ეკონომიკური, ტერიტორიული თუ სხვა ვნებათაღელვანი. აი, ნახავთ.

— მე ისევ რომაელებს მინდა მივუბრუნდე. მწერლასა და მისი მშობლიური ერის ამქაშანდელი შესვედრა უფროდ ხასკრძლევა ნოსტალგიის ტვიფრითა აღბეჭდილი. იგი, ერთგვარად, ორივე მხრივ სამშობლოდაკარგულთა შეხვედრაც ვახლდათ — სულიერ ემიგრაციაში მყოფი ქართველი ხალხისა და ფიზიური ემიგრანტის, გრიგოლ რომაელებისა. დამეთანხმებით, არის ტრაგიკული ან უფრო ტრაგიკომიკური პარადოქსი ამ ფაქტში; რომ მწერლის თხზულების მოტანას მის მშობლიურ ხალხთან მეგზური დასკირდა, „გრაალი“ თქვენ მერს სათარგმნა შეიქნა. ასეა თუ ისე, რომაელების დაბრუნებას თან მოჰყვა თქვენი მოსვლა ქართულ თეატრში. ხომ არ აპირებთ ქართულ თეატრთან შემდგომ თანამშრომლობას?

— თვდაპირველად, დაკარგული სამშობლოს თაობაზე: სამშობლო, ისევე როგორც ღმერთი, არ არის მსაშინაო რელიგიური ცნება. მას შინაგანად უნდა მოჰოვება. შეიძლება, სამშობლოში ცხოვრობდე და მაინც არ გკონდეს იგი. მხოლოდ იმით არა, რომ ხელოვანი საერთოდ ასკეტია, იწოდებულა ან საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მავალი. საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირება გაცილებით საშიშია, ვიდრე მთავრობასთან და ხელისუფლებასთან. ჭეშმარიტი შემოქმედი საზოგადოებრივი აზრის შტამებს, გაქვავებულ სტერეოტიპებს უპირისპირდება და მის წინააღმდეგ ცხოვრობს. ამდენად, შინაგან ემიგრაციაში ხელოვანი ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში შეიძლება მოექცეს. სამშობლო მართო ბუნება ხომ არ არის. სამშობლო კულტურული და სულიერი პროცესების ვარკვეული უწყვეტობაა, რომელიც სათავიდან მოდის. თუ მისი მემკვიდრე, გამგრძელებელი არა ხარ, შინაგანად არა გაქვს ათვისებული რა სულიერი გზებით იარა შენმა სამშობლომ, რა ფასეულობა შექმნა, რითი ცხოვრობდა შენი წინაპარი და რაგვარი სულიერი ტანჯვით გალია წუთისოფელი, რომელ სამშობლოზეა ლაპარაკი. სამშობლოს დაკარგვის მრავალგვარი ფორმა არსებობს, უსამშობლობას ბევრნაირი სახე აქვს. ამ თვალსაზრისით, ხშირად, შესაძლოა, ფიზიკური ემიგრაცია ნაკლები ტრაგედია იყოს, ვიდრე ტერიტორიულად სამშობლოში ცხოვრობდე და მაინც შინაგან, სულიერ ემიგრაციაში ამოჰყო თავი, რაც სხვათა შორის, დღეს ძალიან ადვილი შესაძლებელია ჩვენთან, საქართველოში.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო კავშირს თეატრთან, ამაზე არასოდეს მიფიქრია. ვერ მოვიცალე. თანაც, შინაგანადაც მიჭირს გადართვა და პარადელურად მუშაობა. ზოგს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება. ასეა, ერთი რომანი მაქვს დაწყებული, დიდი ნაწილი უკვე დაწერილია, მაგრამ ამ ორი-სამი წლის მანძილზე შემოქმედებისათვის ხომ არავის გვეცალა. ყველანი საზოგადოებრივ პროცესებში ვიყავით ჩართულნი. შინაგანი ცხოვრების სიტუაცია არ იყო საერთოდაც, უპირავე სამუშაო მაქვს. სხვათაშორის, ადრე, ერთხანს, გატაცებული ვიყავი საკუთარად რადიოდანდგმებით (რადიო ძალიან მიყვარს), რომელთაც ჩემი მანკიტოცონის მეშვეობით ვთხოვავდი. ბუნებრივია, ტექსტიც ჩემი იყო, „დადგამაც და შესრულებაც“. მინტერესებს მონო-თეატრის თანრიც. ვნახოთ, თუ როგორმე გამოვნახე დრო, შეიძლება, ვცადო კიდევ...

ესაუბრა მარინე ბუზუკაშვილი

„შოთა რუსთაველი“ ფრანგულ სენაზე

ჯერ კიდევ ბერლინში შევიტყვე, რომ პარიზში ქორეოგრაფ სერჟ ლიფარს „შოთა რუსთაველის“ დადგმის იდეა დაეებადა და სუფსიცილიას ეძებდა.

ბალეტმაისტერის ჩანაფიქრი ხელოვნების ერთ მოყვარულს მოსწონებია და დადგმისათვის საჭირო თანხის გაღებაზე დასტური მიუცია.

ლიფარი მოხიბლული იყო შოთას გენით. „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის სიმდიდრითა და ორიგინალობით, მოქმედ პირთა გმირობითა და კეთილშობილებით. თუ ამას ლიფარის დიდ ქორეოგრაფიულ ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებასა და მდიდარ ფანტაზიას მივუმატებთ. ადვილი წარმოსადგენია, ქორეოგრაფიის რა მშვენიერი ნიმუში გამოვიდოდა. ფინანსების გარდა, იყო სხვა დაბრკოლებაც: ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი კოსტიუმები, დეკორაციის მაკეტის უჭირლობა და ჩვენი ეროვნული ციკვების უცოდინარობა (აღრე მას ბევრი „ქართული“ ციკვა უნახავს პარიზისა და მონტეკარლოს კაბარეებში. მაგრამ ქართულისა მათ არაფერი ეცხოთ. ეს იყო ადგილზე ხტუნვა, გულშემზარავი სტვენა-კივილი და პირიდან იატაკზე ხანჯლების სროლა).

მუსიკის დარგში საკმაოდ აღიარებული კომპოზიტორი არტურ ონეგერი. ალექსანდრე ჩერებანი (ცნობილ კომპოზიტორ ნიკოლა ჩერებნინის შვილი, თავადაც კარგი კომპოზიტორი), არსანი, ნიკოლა შტიინი და სხვები გამოჩნდნენ დეკორაციებისა და ეპოქის დამახასიათებელი კოსტიუმების ესკიზების შესაქმნელად — ცოლ-ქმარი გონჩაროვები (შემდეგში მათი ესკიზები ალექსანდრე შერვაშიძისა და ნეპოკოჩიციკის ნამუშევრებმა შეცვალა).

ქორეოგრაფის პირველ ასისტენტად და დაეით სოსლანის როლის შემსრულებლად მე დამნიშნეს.

ერთ მშვენიერ დღეს, ლიფარი, მუსიკოსები და მე ერთმანეთს შევხვდით. მრგვალ მაგიდაზე ბევრი ქართული ხალხური სიმღერის ფირფიტა და ჩვენი ეროვნული მუსიკის ნოტი ეწყო.

პიანინოზე დიდხანს უკრავდნენ ქართულ ნაწარმოებებს. მეც დოღზე ბრასუნით თითები დავიმტკირე. ყველას მოეწონა ქართული საცეკვაო მუსიკის მეტათ ორიგინალური. განსაკუთრებით კი „ხორუმის“ რიტმი. გურულმა კრიმანულმა მსიენელი ალაფროთიანა.

„კახურმა მრავალჯამიერმა“ ონეგერი ისე მოხიბლა, რომ ეს მელოდია ბალეტისათვის შექმნილ მუსიკას დაუღო საფუძვლად.



შეგადგინეთ მუშაობის მოკლე გეგმა და რეპეტიციის დღეები დაენიშნეთ.

ასე ჩაეყარა საფუძველი „შოთა რუსთაველის“ დადგმის იდეას.

რეპეტიციები დიდი მონდომებით დაიწყო. ქორეოგრაფის სამოცდაათამდე არტისტს ჯერ ჩართული ცეკვის ილეთები უნდა შეესწავლა. თავდაპირველად საქმე არც ისე კარგად მიდიოდა. რადგან კლასიკური და ჩვენი ხალხური ცეკვის ტექნიკა საკმაოდ განსხვავდება.

მრავალი ილეთის ათვისების შემდეგ დაიწყო ცალკე ეპიზოდების ნახაზების შედგენა.

მოცეკვავეთა შორის გამოირჩეოდნენ ივანე შოვირე, იული ალგაროვი, ვალოდია სკურატოვი (რომილიც შემდეგ სხვადასხვა თეატრში „ქართულსა“ და „მთიულურს“ ცეკვავდა), ოლგა ადაბაში, ეანინ ჟერარი, ივანოვა და სხვები.

ბალეტი ღრმად და ორიგინალურად იყო გააზრებული: ფარდის ახდისას (ხუთივე აქტში) სცენაზე სამეფო სასახლე ჩანდა. თამარი სკიპტრით ხელში ტახტზე იჯდა. შოთა კი — მაგიდასთან ბატის გრძელი ფრთით თავის უკვდავ ქმნილებას თხზავდა (არ მისმის, რატომ შეიკვალა ლიფარმა ბალეტის დაწყების პირველი ვარიანტი — ძლიერი პროექტორით გასხივოსნებული მგოსანი. სცენის შუაგულ კვარცხლბეკზე დიდებულად აღმართულიყო გრძელი ეტრატით ხელში და თავისი ნაწარმოების შესავალს კითხულობდა. ეს იყო რაღაც ზღაპრული ჩვენება. ზებუნებრივი ადამიანის დიდებული სილუეტი).

სასახლის ხილვისა და ხელახლა ფარდის გახსნის შემდეგ სცენაზე საოცარი სილამაზე იშლებოდა. ნაწარმოების ორიგინალური, მდიდარი შინაარსით, შესანიშნავი მუსიკის, მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტური დეკორაციებისა და კლასიკურ-ხალხური ილეთების საოცარი გამოყენებით.

მოქმედების დროს სცენაზე მკრთალად მოჩანდა თამარისა და შოთას სილუეტები, რომლებიც მაყურებელზე ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდა.

იული ალგაროვი კარგი ტარიელი იყო. ვაჟაკური შესახედაობითა და ათლეტური აღნაგობით. მაგრამ ისე ილოებოდა, რომ ღონიზე მოსაყვანად ნიშნებს უკეთებდნენ. ყოველზე მეტად მას აიფხვთან ბრძოლა და მესამე აქტის თავბრუდამხვევი რიტმი სპობდა.

ივანე შოვირე კარგად ასრულებდა ნესტან-დარეჯანის როლს. მაგრამ იგი არ მომწონდა. მართალია, შოვირე დიდი ტექნიკის მფლობელი და სახელგანთქმული მოცეკვავე იყო. მაგრამ მისი გარეგნობისათვის ეს როლი შეუფერებელი (არც გრიმი შეელოდა) გახლდათ.

არანაყოფობრივი ფიზიკური სილამაზისა და საშემსრულებლო ტექნიკის მქონე სკურატოვი თავისი მეტად მდიდარი ქორეოგრაფიული ენით ავთოდილის ნამდვილი განსახიერება იყო. წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ოლგა ადაბაში — ასმათი.

ბალეტის ყველა მონაწილემ კარგად იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა და ცდილობდა მაყურებლისათვის სწორად, დაზარალებულად წარედგინა ცნობილ გმირთა სახეები. ამიტომ, ჯერ არ მინახავს ასეთი მგზნებარე და მონდომებული ცეკვა.

ბალეტი „შოთა რუსთაველი“ არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ უბრალოდ იხსენიება, ქორეოგრაფიული გრამატიკა, უსუსური პანტომიმა და ძხოლოდ საცეკვაო ტექნიკის ჩვენება. ეს იყო შოთას ქმნილების ორიგინალური სახე, კინემატოგრაფიის ტერძინს თუ მოვიშველიებთ, ეს იყო ე. წ. „წაფენა“. მოვიყვან ერთ მაგალითს: თავისი საყვარელი არსების ძებნისას, ტარიელს, მოულოდნელად ვეფხვი შეანტება მხრებზე. სოფლის უკულმართობით გატანჯულ ტარიელში ძთელი ძალით იფეთქებს გმირული სული. მხეცს გაშმაგებით შეებრძოლება და სისხლში მოსვრილს მიწაზე დაანარცხებს. ძალზე ეფექტური, ამადლევებელი, საშინელი და, ამასთან, მიმზიდველიც იყო ეს სურათი, მაგრამ არანაკლებ ეფექტური და მიმზიდველი აღმოჩნდა ვეფხვის სიკვდილის სცენა (მიწის ბღღვნა ტორებიც და გულშემხარავი ბღღვილი).

ამ უკანასკნელი სცენისათვის ორკესტრის თიჩქმის ყველა ინსტრუმენტი უძლური გამოდგა. მაგრამ გამოსავალი მაინც ვიპოვეთ. უცებ თავში მომივიდა: დოლზე ოთხი თითის ვერტიკალურად ხახუნის შედეგად შესაფერისი ეფექტი მივიღეთ. ამგვარი ხმა ზუსტად გამოხატავდა მომაკვდავი და გაათორებული ვეფხვის ბღღვინვას, რომლის მისუსტებასთან ერთად, ეს ხმა პიანოში გადადიოდა.

ადრე ლიფარი სიმბოლურ-მისტერიული, იდეალისტური და ნეოკლასიკური ხელოვნებისაკენ იჩენდა მიდრეკილებას, და მეშინოდა „შოთა რუსთაველი“ მისტიკური ელემენტებით არ გადაეტვირთა, ისე როგორც ადანის ცნობილი „ჟიზელი“. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა და ლიფარი ნამდვილ რეალისტ ქორეოგრაფად მოგვევლინა. მთავარი გმირების გვერდით მასაც ამოქმედა და ამით მეტად საინტერესო, ექსპრესიით სავსე მასობრივი ცეკვები შექმნა. ლიფარს, სხვა მონაწილეებთან ერთად, მეტად რთული ქორეოგრაფიული სიძნელეების გადალახვა მოუხდა და, საბოლოოდ, თავისი დიდი პრაქტიკის, ნიჭის, ფანტაზიის წყალობით გამარჯვებული გამოვიდა.

ამ ბალეტში მშვენიერად იყო გამოყენებული შოთას ნაწარმოების ღრმა შინაარსი, მისი მთავარი მოტივები: სიყვარული, გმირობა, მეგობრობა. სწორედ ამ მოტივებს არ უღალატა ლიფარმა (როგორც კლასიკური ნაწარმოების პირველწყაროს) და სიუჟეტის თანდათანობით აღმავლობით ქორეოგრაფიის ზენიტს მიიღწია. დიდი დამაჯერებლობით დაგვიხატა „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირი სულიერი განცდებით, ფსიქოლოგიური კონტრასტებით.

შერვაშიძემ და ნეპოკოჩინცკიმ მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტური დეკორაციებით წარმოაჩინეს მდიდარი ეროვნული ნიშნები, რითაც ხელი შეუწყვეს მოქმედების სრულყოფილ გაშლას.

უსაზღვრო სიხარული განმაცდევინა მხატვარ ალექსანდრე შერ-

ვაშიძის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენებამ. მით უფრო, რომ შერვაშიძეს კარგად ვიცნობდი და ბევრჯერ მისაუბრია მასთან.

როცა ლიფარმა და მე ცოლ-კმარ გონჩაროვების მაკეტები დავიწუნეთ, საქმე ისე გართულდა, რომ ეს მშვენიერი წამოწყება კინალამ ჩაიშალა.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მოულოდნელად მოვიდა ალექსანდრე შერვაშიძე. რომელიღაც ქართველს მიეწერა მისთვის: არიქა, გვიშველეთ, „შოთა რუსთაველის“ დადგმა იფუშება, რადგან დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზების საქმე ვერ მოაგვარესო.

ლიფარს შერვაშიძის უანახვანე სახე გაეზადრა და ასე მიმართა: — სატონო ალექსანდრე, იცნობდეთ თქვენს თანამემამულეს, ჩემს პირველ ასისტენტსა და მასწავლებელს. მხატვარმა მოწიწებით ჩამომართვა ხელი, ბევრი რამ მკითხა საქართველოზე და ბოლოს, როცა შევატყე, თვალემა ეცრემლებოდა, გავყუნდი... შემეცოდა წუთისოფლისაგან გაწამებული კაცი, რომელსაც ალაღი შრომით მოზოვებულ ლუქმასაც კი აყვედრიდნენ უცხოეთში. წარმოსადგვი კაცი გახლდათ ბატონი ალექსანდრე. მაშინ 77 წლისა იყო, მაგრამ ასაკი სულ არ ეტყობოდა, მხნედ გამოიყურებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას გემოვნებით ჩაცმული ინტელიგენტი. თავი მდაბლად, მაგრამ ამაყად ეჭირა. გვითხრა ორ კვირაში ესკიზებს წარმოგიდგენთო. დაპირება შეასრულა. ლიფარმა და მე თვალემა დავაჭყიტეთ: რა კოსტუმები, რა ფერები! თავი ზღაპარში გვეგონა. გაფორმდა კონტრაქტი. ლიფარმა მითხრა: როცა სერგეი დიაგილევის რუსულ ბალეტში ჯერ კიდევ უბრალო მოცეკვე ვიყავი, დეკორაციებსა და კოსტუმების ესკიზებს ბატონი შერვაშიძე გვიკეთებდა და როგორ ვერ გავისხენე ეს ბრწყინვალე მხატვარიო. მიკვირს, საიდან გამოძებნა ამ კაცმა ეპოქის დამახასიათებელი სამოსი.

პარიზში ბალეტის დადგმა მეტად გაგვიჭირდა. პოლიციამ კატეგორიულად აკრძალა მისი წარმოდგენა „გრანდ-ოპერაში“, „სალ-პლეილის“ თეატრშიც, თუმცა ქუჩებში ორი სპექტაკლის აფიშები დიდი ხნის გამოკრული იყო. იძულებული ვავხდით ეს ბრწყინვალე ბალეტი სამხრეთ საფრანგეთში, მონტე-კარლოს თეატრში დავგვედგა, შემდეგ კი — ლონდონის თეატრებში.

აი, ასე დაიღვა ბალეტი „შოთა რუსთაველი“ უცხოეთში.

თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი, რომ მცირე წვლილი მეც მიმიძღვის დიდი შოთას ნაწარმოების პირველი საბალეტო სპექტაკლის შექმნაში.





„პარსკვლავად დაბადებული“

1985 წლის ივნისში კოვენტ გარდენში დაიდგა ბრწყინვალე „ვარსკვლავებით მოჭედნილი“ ახალი სპექტაკლი „აიდა“, რომელსაც დირიჟორობდა ზუბინ მეთა (რეჟისორი — ჯან პიერ პონელი). რადამენის პარტიას ასრულებდა ლუჩიანო პავაროტი, მთავარ როლში იყო კატია რიჩარელი. პავაროტს სიცხიანს მოუხდა პრემიერაზე გამოსვლა. რიჩარელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, პროდიუსერის ჩანაფიქრს კი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ პუბლიკა ერთსულოვანი აღმოჩნდა რამფისის მიმართ. დიან, ახალგაზრდა, უცნობი ბანი, კლასიკური შემთხვევა „ვარსკვლავად დაბადებულისა“, პრემიერის სენსაციად იქცა. „ოპერის“ რედაქტორი, პაროლდ როზენტალი წერდა, „სალამოს საუკეთესო მომღერალი იყო პაატა ბურჭულაძე, რომლის დებიუტი კოვენტ გარდენში რამფისის პარტიით შედგა. იგი დომინირებდა ყველა სცენაში, სადაც გამოჩნდებოდა და საუკეთესო რამფი იყო მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს ეზო პინზას შემდეგ“. „გარდინი“ მიესალმა პაატას სენსაციურად საიმედო მომაჯალს.

პაატას პირველმა დიდმა წარმატებამ თავის დროზე სიხარულითა და სიამაყით აღავსო ქართველი თავყვანისმცემლები. იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის ნებისმიერი რესპუბლიკის წარმომადგენელი, ეროვნების მიუხედავად, საზღვარგარეთ მაინც „საბჭოთად“

იწერებოდა, ინგლისური მუსიკის-მცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰელენა მათეოპოლსკი თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „ბრაუო“, პაატას შესახებ წერდა: „31 წლის ბურჭულაძე დაბადებულია თბილისში. იგი შესანიშნავი განსახიერებაა საქართველოსი და ყოველივე ქართულის — მისი ულამაზესი ენის, მომხიბლავი ბუნებრივი და მდიდარი საოპერო ტრადიციებისა... ამჟამად პაატა ბურჭულაძე თბილისის საოპერო თეატრის სოლისტია. კი ნტრაქტის თანხმად, იგი თვეში ოთხ სხვადასხვა ოპერას მღერის. მას ნებადართული აქვს, სურვილისა და საჭიროებისამებრ, იმოგზაუროს საზღვარგარეთ. სიმღერისაგან თავისუფალ დროს იგი (წარსულში კარგი რაგბისტი) ნაღირობით ერთობა საქართველოს ულამაზეს მთებში“.

უცნობელი ყურნალისტიბის ინტერესი პაატას შემოქმედების მიმართ, თითქმის ყველა შემთხვევაში, თანხვედრია საქართველოსადმი დიდ ინტერესთან.

ამგვარი ინტერესი ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც პაატა ქართული გოკალური სკოლის აღზრდილია. ეს ფაქტორი მრავალწილად განაპირობებს მის მიერ იტალიური მანერის ესოდენ ორგანულ შეთვისებას. მომღერლის მიერ განსახიერებულ არაქართველ პერსონაჟთა გალერეა — მდიდარი და მრავალფეროვანი — თითქმის ყოველთვის აღბეჭდილია ქართული ტემპერამენტიითა და ენერგიით, გა-



მომსახველი ხერხების სწორედ რომ ქართული „სიუხვიით“. არსებობენ დიდი მომღერლები ნაკლები არტისტული მონაცემებით. პაატას ფენომენი ამ მხრივაც განსაკუთრებულია. 1984 წელს, 29 წლის პაატა ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ ოთხ-ხუთ მიმღერალს შორის, რომლებიც, გაცვლის სახით მიავირეს „ლა სკალაში“ სტაჟირებისათვის. მილანის პერიოდი მომღერლისათვის პროფესიული ზრდისა და დაოსტატების წლებად იქცა. მას მოუხდა ფიზიკური და შემოქმედებითი ძალების სრული კონცენტრირება, რათა სრულყოფილად აეთვისებინა იტალიური სასიმღერო ხელოვნება. მილანში პაატა სწავლობდა ვერდის ბანის პარტიებს ჯულიეტა სიმონატოსა და პროფესორების: ბელტამისა და მიულერის კლასში, რომლებიც მოითხოვდნენ ვერდის ბანისა და ბარიტონის პარტიების შესრულებას მსუბუქი, თავისუფალი მანერით, ხმის მთელი სიძლიერით (მაგრამ არა მასზე ძალდატანებით). მათვე აზიარეს მომღერალი გრძელი მელოდიური ხაზის შესრულების საიდუმლოებას, ბეჯის მუშაობდნენ ინტერპრეტაციაზე.

პაატამ მოკლე დროში შეისწავლა ბანის პარტიები ვერდის რამდენიმე ოპერიდან: სილვა („ერნანი“), ფიესკო („ნაბუქოდონოსორი“), ბანქო („მაკბეტი“), ფილიპ II („დონ კარლოსი“). თავად მომღერლის აზრით, სიმღერის იტალიური მანერა ძალზე მელოდიურია და პოლარულად განსხვავდება ნებისმიერი სხვა სკოლისაგან. საოპერო როლების გარდა, პაატა ასრულებდა მუსორგსკის, რახმანინოვისა და ჩაიკოვსკის ვოკალურ-



კამერული ჟანრის ნაწარმოებებს. 1985 წელს ლონდონში, უიგმოურ ჰოლში გამართულ კონცერტზე შესრულდა მუსორგსკისა და რახმანინოვის სიმღერები, აგრეთვე საათის სცენა და ბორისის სიკუდილის ეპიზოდი „ბორის გოდუნოვიდან“. მომღერალი სამი წლის მანძილზე ამზადებდა ამ პროგრამას და, როგორც თავად აღნიშნავს, გაცილებით უფრო ეადვილება საოპერო როლის შესრულება, ვიდრე ამ რეპერტუარის ერთხელ სიმღერა, რადგან იგი მოითხოვს ხმის უმკაცრეს კონტროლს, დიდ შინაგან ძალას და ღრმა ფსიქოლოგიზმით აღსავსე დრამატულ გამომსახველობას. ლონდონის პრესამ ერთსულოვნად აღნიშნა კონცერტის დიდი წარმატება: „ახალგაზრდა ქართველმა ბანმა ალაგსო და დაატკბო მთელი დარბაზი. ჩვენ გავგავიწყებინა მისი შესაძლებლობების გიგანტურმა მასშტაბმა, მისი ხმის გამომსახველობამ და არაჩვეულებრივად მდიდარმა ტემბრმა, მაგრამ ყველაზე დიდი ნეტა-

რება თურმე კონცერტის დასასრულს გველოდა. ბურჭულაძემ ხელის ერთი მოსმით ჩამოიშორა პირქუში ნიღაბი და საოცარი სისწრაფით გარდასახულმა, კომიკური ჟესტით შეასრულა მუსორგსკის „თხა“ — წერდა „ტაიმსი“.

დღეს პაატა ბურჭულაძე მსოფლიო საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია. თუ ვოკალური სტილის სრულყოფისათვის მას რამდენიმე წლის შესვენებელი მუშაობა დასჭირდა, სრული დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ გარდასახვისა და მხატვრული სახის შექმნის ნიჭი და უნარი მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, ძალუბან ჰქონდა გამოვლენილი. ამასთან დაკავშირებით, მინდა ერთი ასეთი შემთხვევა გავიხსენო: პაატა და მე ერთ სამუსიკო სკოლაში ვსწავლობდით. ტელევიზიის საბავშვო პროგრამებს რედაქციამ ამ სკოლის მოსწავლეთა კონცერტი მოამზადა. პაატა მაშინ პროფესორ დიზი ხელაშვილის მოსწავლე იყო და მე-10 კლასში გახლდათ. კონცერტზე მას მეფისტოფელის კუბლეტები უნდა შესრულებინა. იმ პერიოდში ტელევიზია გადაცემების უმრავლესობას პირდაპირ გადასცემდა ეთერში. ამიტომ კონცერტის დაწყებამდე 1 საათით ადრე, სარეპეტიციო სტუდიაში შეგვიყვანეს. დიქტორმა მთელი რიგი მუსიკალური ნომრების შემდეგ, პაატას ნომერიც გამოაცხადა: როიალთან დადგა გამხდარი, ბავშვური სახის თვალბგანათებული ყმაწვილი. აკომპანიატორს შესაჯალი ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყველას თვალწინ ეს ყმაწვილი პირქუშ მეფისტოფელად

იქცა და არაჩვეულებრივი სიძლიერის ხმით დაიწყო სიმღერა.

ასეთი გარდასახვით გაოგნებულმა დიქტორმა ღიმილი ვერ შეიკავა. პაატამ შეამჩნია თუ არა ეს, შეწყვიტა სიმღერა, გაიქცა სტუდიიდან და კონცერტის ტრანსლაციის დროსაც აღარ გამოჩენილა. მოგვიანებით, სწორედ მეფისტოფელი იყო მის მიერ კონსერვატორიის სასწავლო სპექტაკლში შესრულებული პირველი დიდი როლი, 22 წლის მომღერლისათვის — მეტად ნაადრევი. აქი პაატა თავად შენიშნავს კიდევ: „სპექტაკლის ჩანაწერის მოსმენა დღემდე სიცილს მეგვრის. ჩემი ახალგაზრდობის მიუხედავად, მე ეს პარტია კორექტულად ვიმღერე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ბოლომდე შესრულებას ვერ შევძლებდი. ეს არის შესანიშნავი სახე, საესე ირონიითა და შემპარავი, ემპაქური ხასიათით. ბუნებრივია, რომ 22 წლის ასაკში, ჩემს წინ ბევრი პრობლემა იდგა ვოკალის თვალსაზრისით; მაგალითად, ბაღის სცენა მოითხოვდა მაღალ პროფესიონალიზმს, რომელიც მე იმ დროისათვის არ გამაჩნდა. მეორე პრობლემა გახლდათ „სერენადის“ ბოლო მონაკვეთის შესრულება, რომელიც მეფისტოფელის ირონიულ ხარხარში გადაიზრდება. ჩემი აზრით, მხოლოდ ბორის ქრისტოფი ასრულებდა მას სწორად: არა როგორც ჩვეულებრივ, ბუნებრივ სიცილს, არამედ — მის ნოტებით ნამღერ ვარიანტს“.

დღესდღეობით, პაატას მიერ შექმნილ უამრავ ბრწყინვალე სახეთა შორის, სრულიად გამორჩეულია მისი ბორისი. 1990 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერას“

სეზონის გახსნის დღიდან 2 თვის მანძილზე, თეატრის რეპერტუარის ყველაზე დიდი მოვლენა გახლდათ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ პაატა ბურჭულაძის მონაწილეობით. ამ პარტიას პაატა განსაკუთრებულად ღრმა, მასიური ხმით ასრულებს, „როდესაც იგი რამპისაკენ მოემართება, გეჩვენება, რომ ეს გიგანტური ხმა ზღვის მოვარდნილ ტალღასავით შთანთქავს მთელ დარბაზს“. ბორისის სახე საოცრად „ხელსაყრელია“ ყველანაირი ვოკალური დამახინჯებებისათვის. ბურჭულაძე უარს ამბობს ამგვარ ხერხებზე: ხმის კანკალზე, ხმით ოხვრასა და კლასიკური ინტერპრეტაციის იმ ეფექტებზე, რომელსაც იყენებდა შალიაპინი. იგი მღერის საოცარი პირდაპირობითა და სიმართლით, ყოველგვარი აფექტაციის გარეშე. ბევრი ცნობილი ბანისავა განსხვავებით, პაატა არ მიმართავს გაშმაგებულ ჟესტიკულაციასა და თეატრალურ პოზიორობას. იგი ბორისით ბევრად უფრო ადამიანურ პორტრეტს ქმნის. კორონაციის სცენის პრველივე ფრაზებიდან ნათელია, რომ პაატას მიერ შექმნილი სახე ერთ-ერთი საუკეთესოა ალექსანდრე კიბისის, მარკ რიიზენის, ეზიო პინზას და ნიკოლაი გიაუროვის „ბორისთან“ ერთად. „ოპერა რევიუს“ კრიტიკოსი პიტერ გუნმანი, შენიშნავს: „ბურჭულაძე მომავალი ათწლეულის საუკეთესო „ბორისია“ საოპერო ხელოვნების ისტორიაში“.

დღეს პაატა ახალი შემოქმედებითი წარმატებების მოლოდინით აღგვავეებს მისი პიროვნებისა და

ხელოვნების მიმართ, სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიოს მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა ინტერესი. პაატასთან მგობრობს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი ლუჩიანო პავაროტი. გასული ზაფხულის რამდენიმე თვე პაატამ სწორედ პავაროტის სახლში გაატარა. ლუჩიანოს ინტერესმა ქართველებს მიმართ განაპირობა ის ფაქტი, რომ ერთ მშვენიერ დღეს თბილისში, ბურჭულაძეების ბინაში, გაისმა ტელეფონის ზარი და პაატას დედას — ქალბატონ ნუნუს განუმეორებელი სილამაზის ხმის მქონე მამაკაცი ათი წუთის მანძილზე ესაუბრებოდა თავისი ინტერესისა და სიყვარულის შესახებ საქართველოსადმი, მისი კულტურისა და ხელოვნებისადმი, პირადად ქართველებისადმი. ეს კაცი ლუჩიანო პავაროტი გახლდათ. მოგვიანებით, ნიუ-იორკში, პაატას აპარტამენტში, ქალბატონმა ნუნუმ და პაატას მეუღლემ ქართულ სადილზე დაპატიყცეს ლუჩიანო, რომელიც მხოლოდ შესანიშნავი მომღერალი კი არა, საოცარი გურმანიცაა.

ამავე საღამოს დაისახა მეტად საინტერესო და, ვფიქრობ, საოპერო ხელოვნების მოყვარულთათვის მეტად სასიხარულო პერსპექტივა: 1992 წლის 21 ივნისს ლუჩიანო პავაროტი 3 დღით ეწვევა თბილისს და გამართავს ერთ კონცერტს ჩვენს ქალაქში. მანამდე კი, ვფიქრობ, ორი დიდი მომღერლის ურთიერთმეგობრობა კიდევ ბევრ შედეგს შექმნის საოპერო ხელოვნების ისტორიაში.

ვიოგგი ცქიტიშვილი

ნაჯარქეჟია, წითელი დევი,

ტყლიკიანი მუფე დკ სხვები

გიორგი ნახუცრიშვილი, ბორის გამრეკელი — „ნაცარქეჟია“. სცენური რე-
დაქცია გიორგი თოღაძისა. დამდგმელი რეჟისორი — გიორგი თოღაძე. მხატვარი —
უშანგი იმერლიშვილი. კომპოზიტორი — დავით ტურიაშვილი. ქორეოგრაფი —
ბესიკ სვანიძე. სასცენო მოძრაობა შოთა გეგიაძისა. თბილისი. კოტე მარჯანიშვილის
სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი. 1990 წ.

არბან დრამატურგები, რომელ-
თა ნაწარმოებები გარკვეულ ეპო-
ქაში, ვითარებაში, ევრეთ წოდებ-
ულ აქტუალურ პიესებად აღიქ-
მება. გაღის დრო, ისინი სცენიდან
ჩამოღიან, მივიწყებას ეძლევიან.
ამგვარი მოჩვენებით მძაფრი პიე-
სების სცენური სიცოცხლე საკმა-
ოდ ხანმოკლეა. ისინი კონკრეტუ-
ლი ეპოქის, მოვლენისა თუ ხელი-
სუფლების ინტერესების გათვა-
ლისწინებით იქმნება, ამიტომაც
ხანმოკლე მათი არსებობა. ისტო-
რია მათ, დროთა განმავლობაში,
დამსახურებულ ადგილს მიაკუთვ-
ნებს, სამუდამოდ ამოშლის თეატ-
რების რეპერტუარიდან. მხოლოდ
ჭეშმარიტად მაღალმხატვრული,
ნამდვილი დრამატურგიაა უკვდა-
ვი. განსაკვირვებელია გ. ნახუც-
რიშვილის პიესების სიცოცხლის-
უნარიანობა. დრამატურგის მიერ
ქართული ხალხური ზღაპრების
მოტივებზე ადრეულ წლებში შე-
ქმნილი ზღაპრულ-იგავური პიესე-
ბი დღესაც იწვევენ რეჟისორების
ინტერესს და მაყურებელს თეატ-
რისაკენ იზიდავენ, განსაკუთრებით
კი ბავშვებს. ქართული სცენიდან

წლების განმავლობაში არ ჩამო-
დიან: „ჭიშკრაქა“, „ნაცარქეჟია“,
„კომბლე“, „შაითან ხიხო“ და
სხვები.

ამ სეზონში გ. ნახუცრიშვილის
„ნაცარქეჟია“ ორ — კოტე მარ-
ჯანიშვილის და სანდრო ახმეტე-
ლას სახ. თეატრებში დაიდვა.
დრამატურგის მიერ ძრავალი წლის
წინათ შექმნილი პიესა, როგორც
ჩანს, იმდენად პრობლემატური,
იმდენად ცოცხალი სახეებია, რომ
დროთა მდინარებას არ ემორჩი-
ლება. ამ ნაწარმოებში არსებული
მარადიული თემა მუდამ ცოცხა-
ლია და აქტუალური. გიორგი ნა-
ხუცრიშვილის ზღაპრებში მიმო-
ფანტულია სიბრძნე, იუმორი, ენა-
მახვილობა, ბოროტებაზე სიკეთის
უცილობელი გამარჯვების რწმენა.
სწორედ ესაა ამ პიესების უკვდა-
ვების მიზეზი. ამის გამო, მისი ნა-
წარმოებები კვლავაც თეატრის
ინტერესს იწვევენ, არ ზღუდავენ
რეჟისორის ფანტაზიას, გამოგო-
ნებლობას, მკვიდრ საფუძველს
ქმნიან სისხლსაკსე სცენური პერ-
სონაჟების შექმნისათვის. ამ მხრივ
გ. ნახუცრიშვილს შეიძლება, ქარ-

თველი ევგენი შვარცი ვუწოდოთ. მისი პიესები იმის საშუალებასაც იძლევა, რომ თეატრმა ერთი სპექტაკლის მეშვეობით, ერთდროულად, სხვადასხვა ასაკისა და ინტელექტის მაცურებელს მიმართოს. მიხეილ თუმანიშვილის „ქინკრაქა“ ამის დადასტურებაა. მაღალმხატვრული საბაჟშვო პიესების ნაკლებობისას, ეს ნაწარმოებები ულევ საგანძურს წარმოადგენენ. წმინდა საბაჟშვო სპექტაკლებით ხომ არც ისე განებივრებულია ჩვენი ნორჩი მაცურებელი. რატომღაც, ამ სახის წარმოდგენების შექმნა ნაკლებ პრესტიჟულად ითვლება, ხშირად თაკილობენ კიდევ არაა, მოზრდილთათვის განკუთვნილ სპექტაკლებთან შედარებით, ამგვარი წარმოდგენები მეტ თუ არა, ნაკლებ ფანტაზიას, გამომგონებლობას, ისტატობას არ მოითხოვენ რეჟისორისა თუ მსახიობებისაგან, რადგან ბავშვის გრძნობათა სამყარო გაცილებით ფაქიზია — გულწრფელად განიცდის, მძაფრად აღიქვამს და რეაგირებს, ვიდრე უფროსი ასაკის მაცურებელი. მოზრდილების მიერ სპექტაკლის აღქმა გონებისეული უფროა, ვიდრე განცდითი. რატომ უნდა, არც ეს უკანასკნელია ხავსებით გამორიცხული, ამგვარი მაცურებელიც არსებობს, მაგრამ ბავშვებთან შედარებით, ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. ამიტომ, საბაჟშვო სპექტაკლი მეტ გულწრფელობას ითხოვს, რადგან პატარა მაცურებლის ჯერ სუფთა, ალალი გრძნობათა ბუნება, აღქმის უნარი, უმალ აფიქსირებს, აკლენს სიყალბეს, ხელოვნურობას. ამგვარ დადგმებში ხშირად სწორედ ეს უმთავრესი პირობა არ არის ხოლმე გათვალისწინებული, ან რეჟი-

სორის თვითმისწერაში ხშირად იჩენს თავს, როდესაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, წარმოდგენაში აქცენტირდება იმგვარი პრობლემები, რომლებიც დამდგმელის აზრით, უფროსი ასაკის მაცურებელს დაინტერესებს და აღელვებს, თუნდაც სპექტაკლისათვის ძალით თავს მოხვეული და ხელოვნური იყოს, ამას თან ერთვის პიესის ყალბად გათანამედროვობის მცდელობა. რაც მხოლოდ გარეგნულ ატრიბუტებში, უფრო ხშირად, ჩაცმულობასა თუ ქარგონით მეტყველებაში გამოიხატება. ამგვარი სახის გათანამედროვება ერთობ სარისკოა, თითქმის ბეწვის ხიდზე გავლის ტოლფასი, რადგან დახეწილ გემოვნებასა და ზომიერების გრძნობას მოითხოვს, რათა უგემოვნო, დაბალი დონის ანეკდოტურ ოხუნჯობამდე არ დაეღვს. ისიც უდაოდ თვალშისაცე-



გიო — ე. გუნცაძე,
ნაცარქექია — დ. დვალიშვილი,
თამრო — ც. ქოთილაძე.

მია, როდესაც დამდგმელი რეჟისორი თავად მეტად მოწადინებულია და მსახიობებსაც იქითკენ მოუწოდებს, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ყოველი ხერხითა თუ საშუალებით გააციონონ მაყურებელი. დამერწმუნებით, ამგვარი რამ ძალზე შორს დგას თეატრის მცნებისაგან და თუ არ აკნინებს, არაფერს მატებს მას. ქართულ თეატრს ვერც კომედიის დადგმის ტრადიციის არქონას დაჟაბრალვებთ. ამ ქანრის მაღალი რანგის ოსტატებითაც ყოველთვის ვიყავით და ახლაც ვართ განებზიერებული.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. „ნაცარქექია“.

გადაჩვეულ თვალს ახარებს დილის სპექტაკლზე საჩესე დარბაზის ხილვა. „მუსიკით, სიმღერით, კეკვითა და მოულოდნელობებით აღსავსე ორმოქმედებიანი კომედია“ — გვპირდება პროგრამა. უჩვეულო სანახაობის მოლოდინში ახმაურებულ მაყურებელს, ფარდის ახდისთანავე. ზღაპრული, ფერადოვანი სამყარო გადაეშალა თვალწინ. დამდგმელ რეჟისორ გიორგი თოდაძესა და მხატვარ უშანგი იმერლიშვილს, მართლაც, უცდიდათ სცენოგრაფიის მეშვეობით ამგვარი სამყაროს შექმნა. სცენაზე მოზრდილი, გადაშლილი ზღაპრების წიგნი აღმართულა. მის ზემოთ გეება ბაყ-ბაყ დევის დიდრონი თავი მოჩანს. უზარმაზარი ხელები წიგნისათვის შემოუხვევია. თითქოს ეს ზღაპრული სამყარო საკუთარ ხელში მოუქცევია და მასზე გაბატონებულა. აკი ზემოდან, მბრძანებლურად დაჰყურებს მის წინ გათამაშებულ ყოველ სცენასა თუ ეპიზოდს. ბაყ-ბაყ დევი (თოჯინა) მართლაც ჩინებულადაა

დამზადებული. გეება თავისა და უზარმაზარ ხელებს ამოძრავებს, მგრგვინავი (ფონოგრამს) ხმობსაც მეტყველებს, თვალებსაც ელვარედ აკეებს და პირიდან ცეცხლსაც აფრქევს. სწორედ ისაა ბავშვების ინტერესისა და ცნობისწადილის სავანი. სანახაობრიობას, ფერადოვნებას, ეფექტურ გამომსახველობითობას ხომ დიდი როლი ეკისრება საბავშვო სპექტაკლებში.

წარმოდგენას მოხუცი (დომიტრი ხეთისიაშვილი) და ბავშვი (თამარ ნიკოლაძე) სიმღერით (ფონოგრამა) იწყებენ. ისინი ეპიზოდებიდან ეპიზოდზე გადასვლას, სცენების მონაცვლეობას ასევე სიმღერით (კვლავ ფონოგრამა) უკეთებენ კომენტარს: კომპოზიტორ დავით ტურიაშვილის მუსიკა სათანადოდ ერწყმის მოქმედების მსვლელობას, ხელს უწყობს საერთო განწყობილების შექმნას, მაგრამ ფონოგრამა ცოცხალი კონტაქტბ უშუალობას სპობს. თუმც, სხვა შემთხვევაში, დანარჩენი მსახიობების მიერ ფონოგრამის გარეშე შესრულებულმა სიმღერებმა, სავალალო შთაბეჭდილება მოახდინეს ეს სიმღერა კი არა, მხოლოდ მინიშნება იყო იმისა, რომ ესა თუ ის მსახიობი ვალს იხდიდა, ანუ მღეროდა, რადგან, თავად სიმღერა, ტექსტი, მუსიკის გარდა, მაყურებელთა დარბაზამდე არ აღწევდა. მართლაც, სასაცილო სიტუაცია იქმნებოდა, ვხედავდით, როგორ აღებდა პირს მსახიობი, შლიდა ხელებს, გვესმოდა მუსიკა, მაგრამ სიმღერა არსად იყო.

სპექტაკლის ცენტრალური გმირი, ბუნებრივია, დავით დვალისშვილის ნაცარქექიაა. ეს ზღაპრული, ყველასათვის ბავშვობიდან კარგად ცნობილი პერსონაჟი, მსა-

ხიობის შესრულებით, საკმაოდ ჩვეიანი, მოხერხებული, ხალხური სიბრძნით აღჭურვილი ადამიანია. ამასთან, უქნარაცაა, ტრაბახა, ზარმაცი და მშაშარა. დ. დვალიშვილის ნაცარქექია ცოცხალი სახეა, ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისების მქონე. მასში თანაბრად თავსდება კარგი და ცუდი თვისებები, თუმც, დადებითი უცილობლად ჭარბობს უარყოფითს. მსახიობი კეთილი იუმორითაა განწყობილი საკუთარი პერსონაჟისადმი, ოდნავ დასცინის კიდევ მას, მაგრამ მისი საშემსრულებლო მანერა, გამომსახველობითი ხერხები მოკლებულია ყოველგვარ გადაჭარბებას. ზომიერების გრძნობა არასოდეს დალატობს და სარისკო ეპიზოდებსაც პირნათლად აღწევს თავს. დ. დვალიშვილის ნაცარქექია უდაოდ ნიჭიერი კაცია, ყოველ შემთხვევაში, მსახიობი ასეთად წარმოგვიდგენს მას, რაც გარდა მოხერხებისა, გონიერებისა, მის მიერ რაიმე ამბის მეტად არტისტულ, გაზვიადებულ თხრობაში ნათლად გამოსჭვივის. ამგვარ მთხრობელს და განმსახიერებელს, როგორც არ უნდა ტყუოდეს და აზვიადებდეს იგი, უიჭველია, თავისი „მრევლი“ ეყოლება. ასეთი, ერთგული მსმენელები არიან ბავშვური სიწრფელით, გულუბრყვილობითა და უშუალობით აღბეჭდილი თამრო (ვისანა ქოთლიძე) და გიო (ელენე გუნცაძე). ნაცარქექიას სახეში, ისევე როგორც მსახიობის მიერ ამავე თეატრში ადრე შესრულებულ როლებში, თავს იჩენს მისთვის ნიშანდობლივი თვისება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის მიერ განსახიერებული გმირის სცენური ცხოვრების ხანგრძლივობის მანძილზე, იგი

უმინოდ, უფუნქციოდ არასოდესაა სცენაზე. მსახიობის ყოველ წუთს ჩართულია ქმედებაში, არ წყვეტს კონტაქტს პარტნიორთან, რეაგირებს მის ყოველ რეპლიკაზე თუ ქმედებაზე. ამიტომ, დ. დვალიშვილის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ყოველთვის ცოცხალი, რეალური ადამიანია. მსახიობს შესწევს უნარი, ყოველ მოცემულ პირობებში, რაც არ უნდა პირობითი იყოს ვითარება, გაამართლოს გმირის არსებობა, ქცევა, მოქმედება, სიტყვა. მისი ნაცარქექია ბაყ-ბაყ დევთან ერთად, ამ სპექტაკლის უდაო ღირსება და მონაპოვარია.

რაც შეეხება წარმოდგენის დანარჩენ მონაწილეებს, ისინი ერთგული დარჩნენ რეჟისორის მოთხოვნისა. მათი (ისევე როგორც რეჟისორის) ძირითადი ამოცანაა ყველანაირი საშუალებით მაყურებლის გაცინება, ამასთან ერთად, გ. თოდაძე არ დაკმაყოფილებულა ნორჩი მაყურებლისათვის სათქმელით და გადაუწყვიტა, „ნაცარქექიას“ მიშვეობით, დიდებისთვისაც მიემართა. სწორედ ამიტომ გაჩნდა წარმოდგენაში ასე უხედა სოციალურ-პოლიტიკური მოტივები, რაც თანამედროვეობასთან გამომხაურების პრეტენზიას აცხადებს. შემოქმედი, რა თქმა უნდა, თავისუფალია არჩევანში, მთავარია, ჩანაფიქრს როგორ განახორციელებს. თუკი ესა თუ ის მოტივი, გაძლიერებული აქცენტით სპექტაკლისათვის ორგანულია, მაშინ საკამათოც არაფერია, მაგრამ, როცა ეს ყველაფერი ძალით თავსმონხვეული და ხელოვნურია, იაფფასიან გამომსახველობით ხერხებზე დამყარებული, მას არაკითარი ღირებულება არ გააჩნია.



თანამედროვე საქმოსნის, უსინდისო, ხარბი მომხვეჭელის სახით წარმოდგენილი ყაფლანი (თენგიზ მაისურაძე) „აღიდასის“ სპორტულ მარკალსა და ქრელ ჟილეტშია გამოწყობილი. ასევე, თანამედროვე პროვინციელი „მეშინა მისი მეუღლე იბრუხტი (გულიკო ემხვარი), ბრჭყვიალა სამკაულებსაძმული და ძვირფას ხალათში გამოკვართული. ოჯახურ „იდილიას“ აკვირგვინებს მათი მოღებოლო, განუვითარებელი, გაღოკებული ესეი ვახუშტი (ზურაბ სტურუა). ეს არაბუნებრივად გაბერილი, უფორმო მასაა, ასევე თანამედროვე კოსტუმში გამოწყობილი. მსახიობები ყოველ ღონეს; უკიდურეს უტრირებას მიმართავენ, რათა დარბაზი ვააციონონ, რასაც ზომიერების გრამონის დაკარგვამდე და იაფფასიანი ტრიუკებამდე მივყავართ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ზ. სტურუას ვახუშტი. მათ არც I ყაჩალი (ამირან ბუაძე), II ყაჩალი (თენგიზ ჰაპიძე), მეფე (ვახტანგ თანდილაშვილი) და ვეზირი (იოსებ გოგიჩაიშვილი) ჩამორჩებიან. თანამედროვე კოსტუმებში გამოწყობილი დღევანდელი ატრიბუტებით (სპორტული ჩანთა, დილაკიანი დანა, რეკოლვერი) აღჭურვილი ყაჩაღები ეგრეთ წოდებული „ძიკლიბოჭური“ ჟარგონით საუბრობენ. ორივე მსახიობი კუთხურ დიალექტზე ამახვილებს ყურადღებას. ამირან ბუაძის პირველი ყაჩალი, გაფხორილი მანერით, ქესტიკულაციითა და აქცენტით, ქუთაისური „შავი სამყაროს“ თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამას მსახიობი საკმაოდ ოსტატურად ახერხებს, მაგრამ რეჟისორის მიერ ამგვარი, ზედმეტი პედალირე-

ბით მიღწეული ეფექტი, ისევ იაფფასიანი ტრიუკის დონეზე რჩება; სამწუხაროდ, ხშირად მიწვევს სიტყვის გამეორება, მაგრამ სხვა რა უნდა უწოდო ამგვარ, მხოლოდ გარეგნულ, ზერეღე „ვათანამედროვეობას“ თუ „გააქტუალოურებას“. ალბათ, საქართველოში ბოლო დროს გაზრდილ დანაშაულებათა რიცხვის წარმოჩენა და ეროვნულ მოძრაობას მიტმასნოილი, მისი სახელით მოქმედი მძარცველების მხილება სურდა რეჟისორს, როდესაც ნაძარცვი ნივთებით სავსე სპორტულ ჩანთათან შემოკრებილმა ყაჩაღებმა უეცრად სადღეგრძელო წარმოთქვეს: „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!“ ალბათ, რეჟისორს მიაჩნია, რომ ამაზე, მოზრდილი მაყურებელი მწარედ ჩაიცინებს. ბავშვი კი უღაოღ მიხვდება, ეს ორი „ცუდი ძია“, ამგვარი ქმედებით, უთუოდ ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას რომ ახდენს. ვახტანგ თანდილაშვილის თანამედროვე კოსტუმში, ჰალსტუხიანი, ორღენებით გულდამშვეინებული მეფე, დიდი თანამდებობის მქონე პარტიული ჩინოვნიკის გამოხატულება რომაა, ამაში ეჭვი არ გეპარება. მაგრამ, უეცრად, შელოცვის შემდეგ, მილოტ თავზე წითელი ტყლიბი რომ გაუჩინდება და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვად იქცევა, ამას კი აღარ მოელი. მაშინ, იოსებ გოგიჩაიშვილს გენერლის ფორმით მოსილი ვეზირი, სულ ცოტა, იაზოვი მაინც უნდა იყოს. არ ვიცი, რამდენად ლაღობენ ამ საესტრადო ნომრებით უფროსები. ბავშვები რომ არ არიან აღფრთოვანებული, ეს კი ფაქტია. რა არის ეს? თანამედროვეობის სულისკვე-

თებით გამსჭვალული, აქტუალ-
ბით აღბეჭდილი, გაბედული სპექ-
ტაკლი თუ... იაფფასიანი (კვლავ
ეს სიტყვა!), გაცვეთილ-გაცრეცი-
ლი, მდარე კონიუნქტურა? ჩემი
აზრით — უკანასკნელი. ან რა
არის აქ გაბედული? გაბედულება,
სითამამე, თუნდაც შემოქმედები-
თი გმირობა, ის იყო, იმ უძრობის
წლებში მოღვაწე ჩვენი რეჟისო-
რები, სასტიკი ცენზურის პირო-
ბებში, თავიანთ მოქალაქეობრივ
პოზიციას რომ არ დალატობდნენ
და, შეფარვით თუ აშკარად, იმ
დროისათვის, მართლაც, აკრძა-
ლულ სიმართლეს თამამად ამბობ-
დნენ. ამას ნამდვილად ჰქონდა ფა-
სი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს
ბაყ-ბაყ დევის პოლიტიზაცია აგ-
ვირგვინებს. მაყურებელს ინფორ-
მაციის სახით ატყობინებენ, რომ
თურმე, ეს უბრალო დევი კი არა,
წითელი დევი ყოფილა. უდაოდ
აუცილებელი ინფორმაციაა, რა-
დგან, თუ არ დავაზუსტებ, ბავშ-
ვები, უთუოდ, სიმპათიით განე-
წყობოდნენ დევიზადმი. წითელმა
ფერმა, რეჟისორის აზრით, მის
აფაზაკობას, ბოროტებას მეტად გა-
უსვია ხაზი, რადგან იმ საშინელი,
ტოტალიტარული სახელმწიფო
სისტემის განსხეულებად, სწორედ
ეს ბაყ-ბაყ დევი იქცა. მაგრამ რა
აუცილებლობა იყო, დევის გაწით-
ლება? ბოროტისა და კეთილის
ჭიდილს, თავისუფლებისათვის მა-
რადიულ ბრძოლას კლასიკურ, ან
მეტ-ნაკლებად, ღირებულ ნაწარ-
მოებში განა განზოგადოებული,
ზოგადსაკაცობრიო, გლობალური
მნიშვნელობა არ ენიჭება? განა უი-
ლიამ შექსპირის „რიჩარდ III“-ში
ან ევგენი შვარცის დრაკონში, კა-
ცობრიობის ყველა დროისა თუ



ნაცარქექია — დ. დვალიშვილი,
ვახუშტი — ზ. სტურუა.

ეპოქის სისხლიანი დიქტატორის
სახე არ იკითხება? იქნება ეს სტა-
ლინი, პიტლერი, პინოჩეტი, ფი-
დელ კასტრო თუ სადამ ჰუსეინი.
განა ამისათვის აუცილებელია რი-
ჩარდს ან დრაკონს ულვაშები გა-
ვუკეთოთ ან ჩიბუხი დავაჭერინოთ
ხელში? ან თუნდაც სხვა ატრიბუ-
ტით მაყურებელს ერთნიშნად შე-
ვახსენოთ კონკრეტული სახე თუ
პიროვნება, მით უფრო, ბავშვე-
ბისათვის განკუთვნილ სპექტაკლ-
ში. რიჩარდი და დრაკონი, კაცობ-
რიობის არსებობის ისტორიაში
აქამდე არსებული თუ მომავალში
მოვლენილი ყველა ქვეყნის დიქ-
ტატორის კლასიკური, ადვილად
ამოსაცნობი, ზოგადსაკაცობრიო
ნიღაბია. ხოლო ამ ორ ნაწარმოებ-
ში წარმოჩენილი სახელმწიფო,

ტოტალიტარული დიქტატურის, პიროვნების სრული ნიველირების, მასად ქვევის კლასიკური მოდელია შექმნილი, აღწერილი. მამ, რალა საქიროა წითელი დევი, ტყლიპიანი მეფე, მოძველებიპო ყაჩაღი, „ქუთაისურად“ რომ უქვეს — ჩემი დედას გეფიცებო, ან მათ მიერვე წარმოთქმული სადღეგრძელო: „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!“

ალბათ, არც არის საქირო, რომ არა დამდგმელი რეჟისორის თვითმიზნური ახირება და მაყურებელზე იოლი ზემოქმედების მოხდენის სურვილი. ამ მიზნის მისაღწევად, პოლიტიკისაგან განსხვავებით, ხელოვნებაში ყველა ხერხი თუ საშუალება არ არის გამართლებული. ასეთ დროს, უფრო მეტად, მსახიობები ზარალდებიან, რადგან იძულებული არიან დაჰყვნენ რეჟისორის ნებას და მაყურებელთა თვალწინ, სცენაზე, ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ სპექტაკლში მონაწილე კიდევ სამი მსახიობი: ასმათ ტყაბლაძე (მართა), გურამ ჯაში (თომა) და კოტე თოლორაია (მოსამართლე), მეტ-ნაკლებად ახერხებენ ზომიერების ვრძნობის შენარჩუნებას, არ მიმართავენ გადამეტებულ უტრირებას.

სპექტაკლს ფინალში, თანამედროვე კოსტუმებით მოსილი გრინმა მოცლილი მსახიობები, თელი ბაყ-ბაყ დეისაგან განთავისუფლებულ, ჩვენ წინ გადაშლილ მოზრდილ ზღაპრის წიგნს ხატებითა და ჯვრით რთავენ. ყველაფერი ნათელია. წითელი დევის დიქტატურა დაეცა, ზღაპრული სამყარო მონობისაგან განთავისუფლდა და აკრძალულ-მივიწყებული რწმენა აღდგა. ფინალში სპექტაკლის მონაწილენი სანთლებით ხელში წივრიან.

საბავშვო წარმოდგენის შეთხზვა მეტად საქირო და აუცილებელია. დამდგმელისაგან დიდ ფანტაზიას, გამომგონებლობას, ოსტატობას მოითხოვს. თუ ყველა ასაკისა და სხვადასხვა ინტელექტის მაყურებლისათვის იდგმება სპექტაკლე, მაშინ მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება რეჟისორს. მას ზომიერების გრძნობამ, გემოვნებამ არ უნდა უღალატოს. იგი არ უნდა დაჰყვის ცდუნებას და არ უნდა ეცადოს მაყურებელთა დარბაზის გაცინება-გაკვირვებას იაფფასიანი, გაცვეთილი საექტრადო ხერხებით. თეატრს მაღალი მისია აქირია და სხვა რანგის გამომსახველობითი ხერხები გააჩნია.



მესხეთის თეატრის გასული სეზონი

გასულ სეზონში მესხეთის თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თემის, ქანრისა და სტილის თვალსაზრისით, რაც უწინარეს, იმიტომ განპირობებული, რომ კოლექტივი ცდილობს არსებული სოციალ-პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემები მრავალმხრივად წარმოგვიდგინოს.

მესხეთის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება, ძირითადად, ქართული დრამატურგიით განისაზღვრება. თუ ადრეულ წლებში ჰეროიკულ-რომანტიკული სტილი ჭარბობდა, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ფსიქოლოგიური დრამის განხორციელების ცდები (მ. ბაჩვიცის „დუელი“, თ. გოდერძიშვილის „რკინის კარს უკან“). ამ მხრივ წაყურადღებოა ჟან ანუის „ანტიგონე“, რეჟისორმა ზ. სიხარულიძემ საინტერესო აზრობრივი პარალელი გაავლო სოფოკლეს ამავე სახელწოდების ტრაგედიასთან.

დღევანდელი ეროვნული სატყეაროდან გამომდინარე, სპექტაკლის დედააზრი მიმართულია იმისკენ, რომ გვიტხრას — თუ სახელმწიფო არ ითვალისწინებს პიროვნების ზნეობრივ კანონებს, ტრადიციებს და მას ძალმომრეობით შლის, ასეთი მმართველობა, თავისი არსით, უზენოა. ამასთანავე, მოქმედების მკვლელობაში წამყვანი ადგილი დაიკავა სოფოკლეს ფრაზამ, რომელსაც ანტიგონე ხშირად იმეო-

რებს: „მე დავიზადე, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს“. რეჟისორული გადაწყვეტით, წინაპართა ტრადიციებს, ბუნების კანონებს თავიდანვე ჩამოშორებული ანტიგონე ამ ტრადიციებისაკენ მობრუნებას ცდილობს და ისტორიული წარსულიდან მორალურ ძალას იკრებს. სპექტაკლს აკლია მრავალპლანიანობა, რაც ხელს უშლის პიესის აზრობრივი დატვირთვის გადმოცემას. ანტიკურისა და თანამედროვე გმირთა შერწყმა თანმიმდევრულად არ მიმდინარეობს, მსახიობები უფრო თანაგანცდით, ემოციურად წარმოსახვენ გმირებს და არ იგრძნობა ინტელექტუალური დრამისათვის დამახასიათებელი თანაგანსჯის პრინციპი.

საინტერესოაა ჩაფიქრებული სცენის უკან სარკის გათამაშება. გმირები ცდილობენ მასში საკუთარი მოქმედება დაინახონ, საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდნენ. სარკეში დატოვებული გასასვლელით ის პერსონაჟები სარგებლობენ, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს, გრძნობებს ეწირებიან. ასეთი სცენები გმირთა ზნეობრივი სიწმინდის ჩვენებას ემსახურება.

მ. ბერიძის ანტიგონეში შერწყმულია სოფოკლესა და ჟან ანუის გმირთა ძირითადი თვისებები. ანტიგონე ჯიუტად არ ეწირება საკუთარ პრინციპებს, იგი თავისი საქციელის მართებულობაში გულწრფელადაა დაჯერებული. ამიტომ, მისი მოქმედების ამოსავალ წერ-

ტილად იქცა ფრანზის ძმა ჩემი, რომელშიც გარე სამყაროსადმი ზნეობრივი დამოკიდებულება გამოიკვეთა. ამან განაპირობა ანტიგონის ზავშეური ბუნებზე გაქრობა. მის მიერ პოლინიკის გვამისათვის სიმბოლურად მიწის მიყრა და დაფარვა ბავშვობის მოგონებებთან, როდესაც თორიანი სილაში თამაშობდნენ. მ. ბერიძის გმირისათვის განვლილი წლები ჯერ არ გამოქრალა. მასში განსჯას ემოცია ჭარბობს.

მ. ბერიძე, მართალია, კარგად გადმოსცემს ანტიგონეს ბუნებას, მაგრამ კრეონტთან დიალოგში მისი სახე გერ აღწევს ისეთ განზოგადებას, რომ პირაჯნულად სახელმწიფო მმართველობას დაუპირისპირდეს.

სპექტაკლში მკრთალია კრეონტის სახე. მსახიობმა გ. ნიკოლაიშვილმა მმართველის ნიღაბი შექმნა. პიესაში კრეონტი სულიერად დაცვილი. თავისსავე შექმნილი კანონების შემსრულებელი მმართველია. იძულებითმა მოვალეობამ მასში აზამბრანური ღირსება ჩაქალა. ამ მოტივითაა განპირობებული ღინალიც, სადაც, ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად, კრეონტი სულიერ წონასწორობას ინარჩუნებს და სახელმწიფოს მართვას ჩვეულებისამებრ განაგრძობს. სპექტაკლში ეს თვისებები სათანადოდ უნდა წარმოჩენილიყო, რაც მიკეთრად გამოხატავდა კრეონტის პოზიციას, მაგრამ ჩემი აზრით, ვერ გამოჩნდა ხელისუფლების სათავეში მდებარი პიროვნების პოლიტიკური წინდაუხედაობა, მოკლენათა წინასწარ განჭვრეტის უნარი, რამაც იგი მიიყვანა ტრაგედიაში.

მსახიობი თ. ჭაბუაძის იმინის

როლში გადმოსცემს, ერთი მხრივ კრეონტისადმი პატივისცემასა და შიშს. ხოლო მეორე მხრივ, ანტიგონისადმი მხარდაჭერას. როგორც და, ისმინე ვალდებულია ანტიგონის გვერდით დადგეს, მაგრამ უჭირს კანონის დარღვევა — ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას გრძნობს. მას არ სურს ქალორი ბედნიერება სახელმწიფო პრინციპებს დაუპირისპიროს. ამიტომაც ცდილობს ანტიგონეს სულიერ სამყაროზე ზემოქმედება მოახდინოს. მომავალ ბედნიერ ცხოვრებაზე ფიქრი შთაუნიერგოს. მაგრამ სპექტაკლში, დებს შორის არსებული კონფლიქტი ბოლომდე გაუხსნელი რჩება. აქ ერთმანეთს ვერ უპირისპირდება სიცოცხლისა და ბედნიერების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა. რაც მათი შეუთანხმებლობის ძირითადი საფუძველია. რამენეს კომპრომისული პოზიცია ანტიგონეში უარყოფით ემოციასა და სიბრალულს იწვევს, რის გამოც მას უჭირება დის ფიზიკური სილამაზისადმი ერთგვარი შური. ანტიგონე ხედავს: მხოლოდ სილამაზი-აპრიგნობა არ შეიძლება მისაბამ მავალითად იქცეს. ამ მომენტში ანტიგონე მთლიანად გრძნობს თავის მორალურ უპირატესობას, რადგან რწმუნდება, ისმინე უზრუნველ ცხოვრებას ვერ დათმობს. ამ სცენასაც სწორედ შინაგანად ეს მამხილებელი პათოსი დააკლდა.

პიესის მიხედვით, კრეონტის მცველები არსებული დიქტატურის საუკეთესო გამომხატველი არიან. ისინი მხოლოდ უპრინციპო, წამგლეჯი ბუნებით გამოირჩევიან და ყველანაირად ცდილობენ დაწინაურებას. მათ არ შესწევთ ვითარების აღქმის უნარი, მხოლოდ



ლებულ ბრძანებებს ასრულებენ. ამიტომაც, ასეთი აღამიანებისათვის უცხო ანტიგონეს ტრაგედია, მისი მოწინააღმდეგე სიკვდილი. მაგრამ სპექტაკლში მცველთა სახეებმა ასეთი ღრმავარჯიშის მნიშვნელობა ვერ შეიძინეს. პიროვნულ იდეალებს შვეწრული ანტიგონე უკანასკნელად მცველთა უფროსს: ჟონას ესაუბრება. ეს ხომ წმინდა სულიერი საწყისისა და უხეში ძალის სიმბოლური დაპირისპირებაა. სამწუხაროდ, ვერც ეს სცენა აღწევს დასახულ მიზანს.

მსახიობი ი. სულაძე გმირის მართოდენ გარეგნულ სახეს წარმოაჩენს. მასში არ იკვეთება ჟონას დრამატიზმი — კრეონტის მმართველობასთან შეგუებული კაცის უზნეობა — უფროსისადმი მონური მორჩილება და ქვეშევრდომის ჩაწიხლვა.

პიესაში საუკეთესოა ჟონას მიერ ანტიგონეს უკანასკნელი წერილის ჩაწერის სცენა. ეს არის გროტესკული ჩვენება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სამყაროსი. სადაც უხეში ძალა თრგუნავს მასზე უფრო ინტელიქტუალური, ფაქიზი გრძნობების აღამიანს. ანტიგონე ხედავს ჟონა მის წერილს აზრობრივად თუ როგორ ამახინჯებს. ჰემონისადმი გამოსამშვიდობებელ, სულიერი სწმინდის მქონე მიმართვაში — „ნემო საყვარელი“ — ამ კაცმა ნაოლოდ ავბორცი, ბილწი ზრახვე ი დაინახა, ამიტომ შეძრწუნებული ამბობს: „კრეონტი მართალი იყო. საშინელია. ახლა, ამ კაცის გვერდით აღარ ვიცი რისთვის ვკვდები. შეშინია“. სამწუხაროდ სპექტაკლში ამ სცენის მნიშვნელობაც გაფერპკრთალებულია.

აღ. ყაზბეგის შემოქმედება

იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი საშუალებას იძლევა ვიფიქროს საქართველოს რუსეთთან შეხვედრისათვის შეერთების შიშით, რომელმაც იმდღეა გეორგიკის ტრაქატიის 200 წლის იუბილის აღნიშვნისას. ამ საკითხებს იროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების ხანაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მათი სცენაზე გადატანისას, თანდროული რეჟისორული გადაწყვეტაა საჭირო.

მისასაღმებელია რეჟისორ თ. პატაშვირის მიერ „მამის მკვლელის“ ინსცენირების განხორციელება, თუმც სპექტაკლის დაბალი მხატვრული დონე უკმაყოფილების გრძნობას ტოვებს.

სპექტაკლი უფრო თბრობით თუნქციას ასრულებს და მოკლებულია მოვლინების პოლიტიკურ ანალიზს. „მამის მკვლელი“ კი მწვალით აკრიტიკებს რუსეთის ძალმომრიობას. ამ საკითხის უფროაოლად ჩვენებამ დადგმას აქტიულობა დაუარგა. რა თქმა უნდა. საუკუნისწინანდელი სოციალური საკითხები თანამედროვე მაყურებელში ინტირესს ვერ გააღვივებდა, მაგრამ სპექტაკლში რომ განზოგადებულად ასახულიყო ძალმომრეობისადმი შეურიგებლობა, რუსთა ჯარის მიერ თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ზნეობრივი იდეალთა შელახვა, დადგმას უფრო მეტი ქმედითი ძალა ექნებოდა.

ნაწარმოების მთავარი სიუჟეტური ხაზია ნუნუს ტრაგიკული ცხოვრება, მწარე ბავშვობიდან გირგოლას ცილისწამებამდე. მიუხედავად ასეთი ხვედრისა, იგი მტკიცე, გაუტეხელი ხასიათისაა და ღირსების დამაცავად საბრძოლო შემართებასაც ამჟღავნებს,

მაგრამ დ. ბერიძის გმირი მსგავსი თვისებებით არ გამოირჩევა. მსახიობს ძირითადი ყურადღება ნუნუს ქალურ საწყისზე გადააქვს, მაგრამ იაკობთან (გ. გოგოლაძე) გათამაშებული სიყვარულის სცენებით იმდენად სუსტია, რომ იკარგება ზნემაღალი სიყვარულისათვის წამებული ქალის სახე. ფერმკრთალია ნუნუს სიკვდილის სცენაც.

საქეტაკლის მთავარი გმირის გირგოლას ფსიქოლოგიურად რთულ სახეს მსახიობი თ. ჩერქეზიშვილი ყველაზე უფრო სრულყოფილად გადმოსცემს. გირგოლა გამჭრიახი, ალლოიანი ადამიანია. იგი ხედავს, რომ პატიოსნება გაუფასურებულია და მხოლოდ ძალმომრეობით შეიძლება არსებობა. მსახიობი კარგად გვაჩვენებს ამ პრინციპით მცხოვრები ადამიანის სულიერ განწყობას.

ინსცენირებაში ჩამატებული ახალი პერსონაჟი ადგილის დედაა. იგი, ალბათ, დრამატულ მოვლენათა შემფასებელი, გმირთა საქციელის განმსჯელი და პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველ სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო, მაგრამ უფუნქციოდ დარჩენამ ლ. სულუაშვილის გმირს დასახული მიზნის განხორციელების საშუალება არ მისცა.

მ. შამანაძის პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“, საქართველოს თითქმის ყველა თეატრში განხორციელდა. ამიტომ, კოლექტივისათვის ძნელი იყო ახალი ინტერპრეტაციის მოძებნა. ამის თაობაზე რეჟისორმა თ. პატაშურმა გვითხრა: „თითოეული გმირის სახით მოტანილია დიდი ადამიანური სევდა, ოცნება დედობასა და სიყვარულზე. როდესაც ადამიანე-

ბი ბუნებრივ სულიერ მოთხოვნებს ვერ იკმაყოფილებენ. ზოგში ცინიზმი იმარჯვებს, ზოგში — გულგრილობა, ზოგი კი რეალურ სამყაროს ემიგრება და წარმოსანვრებით სულდგმულობს. ეს მაყურებელს იმაზე მიანიშნებს, რომ უბედურებამ პიროვნება არ უნდა გააბოროტოს“. რეჟისორმა ამ მიზნით, მოქმედების შუაგულში თიკა მოაქცია.

ც. ტაბატაძის გმირი გარშემომყოფთაგან განსაკუთრებული პოეტური სამყაროთი გამოირჩევა. სულიერად მძიმე წუთებში, საყვარელ ლექსთა ხშირი კითხვა, მეგობრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის განეიტრალების ერთგვარი საშუალებაა. თიკა ამაღლებული სამყაროთა გაურბის მის წინაშე არსებულ პრობლემებს და ჭეშმარიტი სიყვარულის გამარჯვებაში ბოლომდე ეარწმუნებულია. თიკასათვის უცხოა ბოროტების მცნება, ვინაიდან ადამიანის კეთილშობილურ მოვალეობას თანაგრძნობის გაწევაში ხედავს. ამიტომ, დარეჯანის საქციელზე მას გული კი არ მოსდის, არამედ, ცდილობს გაიგოს მეგობრის გულისტკივილი, იპოვოს ასეთი ღვარძლიანობის გამომწვევი მიზეზი და მეგობართა შორის არსებული აგრესიული დამოკიდებულება სითბოთი შეცვალოს. სწორედ ამ მიზანს ისახავს ფინალში ავანსცენაზე გამოსული ცრემლნარევი თიკას სიტყვები: „ხალხო, გიყვარდეთ ერთმანეთი“.

მ. ბერიძის დარეჯანი ფეთქებადი ხასიათით გამოირჩევა. ცხოვრების რეალურად, შეუღლამაზებლად აღქმამ იგი გააღიზიანა. ამიტომაც მეგობრებისათვის სიმართლის თქმით, მათში რომანტიკული

გრძნობების ჩანშობას ცდილობს. ამითაა განპირობებული ქეთისთან კონფლიქტიც. ამ შეათხვევაში დარეჯანი, მის გრძნობებს ებრძვის; რათა გურამისადმი სიყვარულზე როგორღე უარი ათქმევინოს, ამისთვის იგი ყოველგვარ ხერხს მიმართავს და ფიზიკურ ზემოქმედებასაც არ ეჯილობს. წ. ბერიძე გმირის დრამატის შესტრასენისა ერთმანა მოსკლს პაროდირების სცენასი ამქლავებს. გათამაშებული ეპიზოდის ირონიული დამოკიდებულება მის სულიერ სიმართლავზე მიუთითებს, რასაც იგი ძველად განიცდის.

წ. გაჩლავაშვილის ქეთი ემოციურია. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურამის სიყვარული. იგი ანგარიშს არ უწევს იმ გარემობას, რომ ამ აღამიანმა მისი მეგობრები მოატყუა. წ. გაჩლავაშვილის გმირს არსებული დამოკიდებულების გულწრფელობის იმდენად სჯერა, რომ გულისთქმას ყოველგვარი დაფიქრების გარეშე მიჰყვება. ამიტომაც, გურამის დარეკვა მისთვის მოძალის სიყვარულის გადაარჩენის იმედია, რისთვისაც თავგამოდებით იბრძვის.

მსახიობი კარგად გადმოსცემს ქეთის გულგატეხილობას. გურამთან პაექსის შემდეგ იგი სცენაზე უხმოდ შემოდის. მცირე პაუზაში ჩანს დამცირების გრძნობის გადალახვის სურვილი, რომლის დამალვასაც საუბრის სხვა თემაზე გადატანით ახერხებს. ასეთმა გარემოცვამ ქეთი ფიზიკურად დაღალა და სულიერად გამოფიტა. მან სიყვარულის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ მაინც იმედგაცრუებული დარჩა. აღარ იცის როგორ მოიქცეს, ვის ენდოს. მასში იღვიძებს თავმოყვარეობა, რაც

მისი სხვა, აქამდე გაუჟღავნებულა პიროვნული თვისების გამოვლანების საუბნდრად უნდა იქცეს.

ლ. ნარიშკინის თამარი გარეგნულად თავდაპირილია და მოკლენებისადმი ციკ, ოდაც ცინიკურ დამოკიდებულებას ავლენს, მაგრამ ეს თვისებები შემდგომში აღარ ერთადდება. მსახიობმა ვერ გამოკვეთა ვარის ხასიათი. ბიუსის მიხედვით, თამარი მოკლენებს ყველაზე უკეთ აფასებს, გრძობას, დისა და გურამის ურთიერთობის ხანმოკლეობას და მათი შეხვედრის ჩაშლას იმატომ უწყობს ხელს, რომ ქეთის ფაქტის გრძობა არ გაუხეძდეს, რასაც შეიძლება, დრამატული ძედეგი მოჰყვებს. თამარს დროებითი მისკრაფედაც აქვს, რაც დისეორტაციის დაცვის შემდეგ ქრება და მასში თავდათან ცხოვრებნა უაზრობა, ფუჭი სულდამულობის შიში ჩნდება, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, ინსტიქტურად მიჰყვება. სამყუხაროდ, ეს თვისებები სცენურ სახეში არ შეინიშნება.

დღეს ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“ დადგმა შემოქმედისაგან პოზიციის მკვეთრად გამოხატვას მოითხოვს. ამიტომაც იყო საინტერესო ამ თხუთმეტოდე წლის წინ რობერტ სტურუას მიერ რუსთაყელის თეატრში განხორციელებული სპექტაკლი, რომელიც დაპყრობილი და დამპყრობელი ერების ტრაგედიაზე, მრგან გამომდინარე მორალურ-ზნობრივ ასპექტებზე მოგვითხრობდა.

მესხეთის თეატრში განხორციელებულ „ლალატი“ ინტერესით ველოდით. სამწუხაროდ, სპექტაკლში მთავარი ყურადღება სიუჟეტის თხრობას დაეთმო და არა

იმ ურთიერთობებს, რომელთაც აზრობრივი დატვირთვა უნდა გამოეხატათ. ამ გარემოებამ სპექტაკლს რომანტიკული სტილითაღვის დამახასიათებელი თავისებურებანი. არსებული საზოგადოებრივი ცხოვრებით უკმაყოფილების მოტივი და უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა დაუკარგა. აქედან გამომდინარე, რეჟისორული პოზიციის, მხატვრული ფორმისა და სტილის უქონლობამ პიესის ფილოსოფიური არსი მთლიანად გამოორიცხა.

პიესა მდიდარია მეტაფორებით. სპექტაკლში კი მეტაფორული აზროვნება ვერ განვითარდა, ვინაიდან ვერ გამოიხატა მთავარი სათქმელი. რეჟისორ გიორგი შალუტაშვილს ისტორიული მოვლენებისადმი საკუთარი ესთეტიკური პოზიცია კონკრეტული გადაწყვეტით უნდა გამოეხატა. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მხატვარ აივენგო ჭელიძის საინტერესო სცენოგრაფიით შემოიფარგლა. ცარიელ სცენაზე დგას ურემი, რომლის გარშემო ვითარდება მოქმედება. იგი აღიქმება, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლო, რომელიც იმ იმედის ნაპერწკალს ტოვებს, გმირთა ზნეობრივი ამალღება რომ უნდა განაპირობოს. ფინალში ურემს შლიან და მისგან დარჩენილი ორი ფიცარი უკვე ჯვრის ფორმით წამოიშართება სცენაზე და ადამიანებში რწმენის დაბრუნებაზე მიუთითებს.

პიესაში გმირები უშუალო კავშირში არიან გარე სამყაროსთან. სპექტაკლში კი ისინი ცალ-ცალკე არსებობენ, ვინაიდან ერთმანეთთან ფსიქოლოგიურ კავშირს ვერ ამყარებენ. დადგმის მონოტონურობამ, უემოციობამ მოქმედებას



გაიანე — მ. ბერიძე,
ოთარ-ბევი — ვ. ნიკოლაიშვილი.

რიტმი დაუკარგა. გაუგებარია კომპოზიციური წყობაც — სადაც კულმინაცია, კვანძის გახსნა, გმირთა მოქმედების განვითარება აღმაჯალი ხაზით არ მიმდინარეობს, ამიტომაც არ იგრძნობა ურთიერთობათა ის დაძაბულობა, რომელიც გმირებისაგან მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას ითხოვს.

ვ. ნიკოლაიშვილს ოთარ-ბევიში არ ჩანს გაორებული ხასიათი, არ ჩანს ამ გამაჰმადიანებულ კარისკაცში თუ როგორ იღვიძებს პატრიოტიზმი. უფერულად მიმდინარეობს სოლეიმანის ერთგულების დამამტკიცებელი სცენა, სადაც უნდა ასახულიყო იმ ქართველის ტრაგედია, რომელმაც სამშობლო

გათელა და ჭეშმარიტ მამული-
ძვილთ სიკოცხლე მოუსწრაფა.
ვ. ნიკოლაიშვილი ვერ ამჟღავნებს
საკუთარ დამოკიდებულებას იმ
ადამიანისადმი, რომელმაც ასეთ
მდგომარეობაში ჩააყენა. ოთარ-
ბეგის გრძნობები ვერც ზეინაბთან
დიალოგში ჰპოვეს გამოვლინებას.
მასში არ იხატება მებრძოლი სუ-
ლისკვეთება. პატრიოტული სიტუ-
ციები შორს დგას ოთარ-ბეგში აღ-
მოცენებული ღირიკულა განწყო-
ბილებიდან, რომელთა შერწყნა
მსახიობმა ვერ შეძლო.

ო. რეხვიაშვილის სოლიემან-
ხანს აქვს მპყრობელის გარეგნუ-
ლი თვისებები, მაგრამ აკლია გამ-
ჭირიანობა, ცბიერება და უნდობ-
ლობა. გმირში უნდა ჩანდეს ფარი-
სეგლობით შენიღბული ზრახვები
ზეინაბისა და ოთარ-ბეგის მიმართ.
როლის სწორხაზოვნად გადმოცე-
მა კი ამის საშუალებას არ იძლე-
ვა. არ იქმნება გარემო, სადაც სო-
ლიემანის შინაგანი უძლიერება,
მისი პოლიტიკის კრაზი მოქმედ-
ების მსვლელობამ უნდა მოამზა-
დოს. ამიტომ იოლად ხდება სო-
ლიემანის მოტყუება და დამარ-
ცხება.

ლ. სულუაშვილის ზეინაბში
ასევე ზედაპირულად არის მოცე-
მული სამშობლოს განთავისუფ-
ლების, შებღაღული ღირსების
დაბრუნების სურვილი. მსახიობი
ვერ აღწევს ტრაგიკულ განცდას
ოთარ-ბეგთან დიალოგში, სადაც
მას ბრძოლისაკენ მოუწოდებს და
უმოქმედობას საყვედურებს. ღი-
რიზმს მოკლებულია ერეკლესთან
შეხვედრაც. აქ უნდა იკვეთებო-
დეს იმ ნანატრი დროის დადგო-
მით გამოწვეული სიხარული, რო-
მელსაც სამშობლოს განთავისუფ-

ლება მოსდევს. ზეინაბში
ორი ასპექტი უნდა დომინირებ-
დეს — ერთი მხრივ, დამცირებუ-
ლი ადამიანი, რომელიც იძულებ-
ულია ბედნიერი ქალი გაითამა-
შოს და სოლიემანის ყურადღება
მოადუნოს, რათა ხალხმა საბრ-
ძოლველად დარაზმვა მოასწროს
და, მეორე მხრივ, ოთარ-ბეგისად-
მი ცინიკური დამოკიდებულება.
ზეინაბს შეგნებული აქვს, რომ
მხოლოდ გაიანეს (მ. ბერიძე) ჰა-
რამხანაში მოყვანილ შეიძლება
ოთარ-ბეგის ბრძოლაში ჩაბმა. მსა-
ხიობს ფსიქოლოგიური დამაჯე-
რებლობით უნდა გადმოეცა ეს
განსხვავებული განწყობა, რაც ვერ
მოხერხდა. სუსტია ზეინაბის მო-
ნოლოგი, როდესაც ოთარ-ბეგს
თავისი ქვეყნის უბედურებას მო-
უთხრობს — არ ჩანს ის ცეცხლო-
ვანი შურისმაძიებლური გრძნობა,
რამაც ოთარ-ბეგს სამშობლოს და-
საცავად მახვილი ააღებინა. ასე-
ვე სუსტია ზეინაბის მიერ შვილის
მოლაპატრონის გაცნობიერება. აქ
ლ. სულუაშვილის გმირი მხოლოდ
სასოწარკვეთილი დედის განც-
დებს გადმოსცემს, ამიტომ დაი-
კარგა შვილის სასიკვდილო გან-
წირვაში გამოვლენილი ძლიერი
ნებისყოფა.

პიესაში ზეინაბი მოლაპატე
შვილს ბრძოლის ველზე გზავნის,
სპექტაკლში კი თავისივე ხელით
ასმევს საწამლავს. საინტერესოა,
რამ განაპირობა ასეთი ტრანსფორ-
მაცია. ეს სპექტაკლში, სამწუხა-
როდ, არ იკითხება.

პიესაში მნიშვნელოვანი ფუნ-
ქცია აკისრია ანანია გლახას, რო-
მელიც მძიმე ცხოვრებით გამო-
ბრძმედილი, პატრიოტი, ჰკვიანი,
მამაცი და საერთო საქმისათვის



ზეინაბი — ლ. სულუაშვილი.

თავდადებული ადამიანია. მსახიობ გ. კობრეიძის შესრულებით კი ანა-ნია დაბეჩავებული პიროვნებაა. მასში არ ჩანს მომავლის იმედი და საბრძოლო განწყობილება. გმირის მოუქნელ ბუნებაში შთა-ინთქა მისი ირონია. იგი ვერ გად-მოსცემს იმ ქარაგმების მნიშვნე-ლობას, რითაც დათოსა და ერეკ-ლეს წინაშე უნდა ამხილოს ოთარ-ბეგის მოლოატეობა.

სამწუხაროდ, ვერ შეიქმნა მხა-ტვრული განზოგადების ისეთი სპექტაკლი, რომელიც მაყურებ-ელს მოქმედების წინააღმდეგობ-

რივ მოვლენათა არსში გაარკვევ-და. არ გამოვლინდა საბა ბერსა-ნი (ო. აწყურელი) და სოლეიმანს შო-რის არსებული შინაგანი ბრძოლა, სადაც საბა ერის სულიერი დათრ-გუნვის წინააღმდეგ იბრძვის. დაი-კარგა კონფლიქტი მთავარ გმი-რებს შორის. ამას გარდა, გმირთა მხოლოდ გარეგნულმა თვისებებ-მა გამოიწვიეს თითოეული მათგან-ის მკვეთრი დიფერენცირება და-დებით და უარყოფით პერსონა-ჟებად.

განხილულმა სპექტაკლებმა და-გვიანხა, რომ გასული 1989—90 წლის თეატრალურმა სეზონმა მესხეთის თეატრში, არასრულფა-სოვნად ჩაიარა. წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ თეატრს სურ-და 9 აპრილის ტრაგედიის შემ-დგომ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს აქტიუ-რად გამოხმაურებოდა, მაგრამ შე-მოქმედებითად მზად არ აღმოჩნ-და. „ანტიგონეში“ რეჟისორული ჩანაფიქრი ბოლომდე სათანადოდ ვერ განხორციელდა, „ჰამის მკვლელსა“ და „ლალბატში“ კი თი-თქმის არ გამოჩნდა. ალბათ, მიმ-დინარე სოციალ-პოლიტიკურ ვი-თარებაში უფრო მეტად გარკვე-ვა, მოვლენებზე მეტი დაფიქრე-ბაა საჭირო, ვინაიდან ნაწარმოე-ბის ილუსტრაციული ჩვენება სა-სიკეთო შედეგს ვერ მოიტანს და ვერც მსახიობთა შესაძლებლო-ბებს გამოავლენს.

ცხრა წელი რომ შემისრულდა, ბებიაჩემის ძმამ, გიორგი შერვაშიძემ, თავის დასთან, ბაბოსთან წამიყვანა საზაფხულოდ. ბაბო — ჩემი ნათლია, ცოლად ჰყავდა ბალტიელ ბარონ ა. ფ. მეიენდორფს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილეს.

მეიენდორფების მამული, კლიანეროპ მდებარეობდა ქალაქ ვენდენის ახლოს (ახლა ზესი), — უზარმაზარი სასახლე მშვენიერი პარკით იყო გარსშემოვლებული. იქვე ახლოს მიედინებოდა მდინარე აა, და ბარონს ხშირად დავყავდი მდინარეში საბანაოდ. ერთხელ, მან მითხრა: მე შენ ცურვა უნდა გასწავ-

თვის შესაძლებელი იყო. ყოველ დღე ვცხენოსნობდი, იალქნაანი ნავით დავყავდი ბარონს მდინარეზე. ბარონს გწოლებზე ნადირობა უყვარდა თავის მეზობელთან — ბარონ როზენტანს. კვირაში ორჯერ-სამჯერ დადიოდა სანადიროდ და მეც წამიყვანდა ხოლმე, კარტოფილის ქანები სავსე იყო გწოლებით და ყოველი ნადირობის შემდეგ, ათი-თორმეტი გწოლი მოგვკონდა.

ბაბუაჩემი, გიორგი შერვაშიძე, რუსის მთავრობის დიდი მოძულე იყო და, როგორც შემდეგში გამოგონია, ბარონაც იზიარებდა მის აზრებს რუსეთის შესახებ. დიდ უსამართლობად მიაჩნდა მას

მიხეილ
დადიანი

რაც
შეხსენებს

ლოო. დამაყენა ნავის თავზე, მკრა ხელი და გადაშიშვა მდინარეში. წუ გეშინია, წამოდი ნავისაკენ! — მითხრა ბარონმა, მაგრამ სანამ ის ამ სიტყვებს დამთავრებდა, მე უკვე შეშინებული ვიყავი და ღრიალი მოვრთე. მას შემდეგ, ისე ვავიწარმე, რომ ცურვა ვერ ვისწავლე. და მხოლოდ ცხენით არ მეშინოდა წყლის, რადგან ხშირად დამჭირებია მდინარეების: ტუხურის, აბაშის და ცხენისწყალის გადალახვა. კლიანეროპში გატარებული ზაფხული არასდროს დამავიწყებდა; არ დამკლებია არავითარი სიამოვნება, რომელიც კი ჩემი ხნის ბავშვისა-

შერვაშიძეების საგვარეულო მამულების და სახლ-კარას ჩამორთმევა მეფის მთავრობის მიერ. 1811 წელს, ბარონის ინიციატივით, მოხდა გიორგის მამულების ჩამორთმევის გასამიერება, მაგრამ საქმე გაქანურდა პირველი ომის დაწყებამდე. მიუხედავად ჩანსუესულობისა, ბაბუა გიორგი ძალიან ღამაზად იქნა ცხენზე; ორივე ბარონზე უკეთესად და მისი ცხოვრების რამოდენიმე მომენტი, მის ცხენზე ქდომაც, რასაც გრიგოლ რობაქიძეზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოუხდენია. (გაზეთი „საქართველო“. ეს წე-

პარიზში გამოშვებულ ჟურნალ „კავკასიონში“ (1976 წელი, XVIII) დაბეჭდილი მიხეილ დადიანის „რაც მახსენებს“, 1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაციის თვითმხილველის მოგონებაა. ამიტომ, დღეს იგი დოკუმენტის ღირებულებას იძენს (რედ.)

გენერალური

ერთგვარი სახელი ჰქონდა მოხვედრილი, როგორც პიანისტს. გარდაიცვალა ნიუ-იორკში, 1953 წელს.

აი, ამით ოჯახში ვსვლდებოდი ბატონ მირიანაშვილს, სადაც მე ყოველ კვირა დღეს სადილად ვიყავი დაპატივებული.

ორბელანების ოჯახი, შეტწილად, ინგლისურად და ფრანგულად ლაპარაკობდა. ბატონი პეტრეც ლაპარაკობდა ფრანგულად და ხშირად ჩაერეოდა ხოლმე ნათ ლაპარაკში. მაგრამ ჩვენ, მე და თამაზს — ახალგაზრდებს, მხოლოდ ქართულად გველაპარაკებოდა, რადგან მე არც ფრანგული და არც ინგლისური ვიცოდი. თამაზი ძალიან ნიჭიერი იყო და მშვენივრად სწავლობდა. ნიშნები სულ ხუთები და ოთხები ჰქონდა, მხოლოდ უოფაკეცევაში ჰქონდა ოთხი და, ზოგჯერ, სამი. ცელქი იყო და ხშირად მოთმინებიდან გამოჰყავდა ბატონი პეტრე იოსელიანი და მიქაბერიძე. ორჯერ დაითხოვეს გიმნაზიდან, მაგრამ უკანვე მიიღეს. ბატონი პეტრე ხშირად გააგდებდა ხოლმე კლასიდან ცელქობისათვის.

* * *

მერვე კლასში რომ გადავედი, უკვე რევოლუცია მძვინვარებდა. დაიწყო ქართული ჯარის ნაწილების შედგენა. მე რამოდენიმე თვე დამრჩა გიმნაზიის გათავებამდე, მაგრამ მე ამ სანატრელ დღეს არ მოვუცადე და შევედი დ. მიქელაძის ცხენოსან ასეულში, რომელსაც ერქვა „ოტელენაია კონვოინაია სიტნია“.

დათიყო მიქელაძის ცხენოსანი ასეული იდგა ნამესტნიკის „კონვოის“ ყაზარმებში, ერმოლოვის ქუჩაზე. ვვარჯიშობდით სობორის ეზოში და სროლაში ვვარჯიშობდით ვაკეზე.

1919 წლის სექტემბერს დაარსდა ქართული სამხედრო სკოლა. მამაჩემმა ხუმრობით მიიხრა: „შენგან, როგორც ვხედავ, მეცნიერი არ გამოვა და სჭობია, სამხედრო სასწავლებელში წახვიდე“-ო.

მეც დაუყოვნებლივ წავედი თბილისში და გამოვცხადდი მაიორ ნესტორ გარ-

დაფხაძესთან, რომელიც იყო იუნკერთა გუნდის უფროსი. მან ჩამრიცხა სკოლაში და იმ დღიდან შევეუდევი ახალ, ნამდვილ სამხედრო ცხოვრებას.

პირველ კურსებზე ვიყავით შს იუნკერი. გუნდი გაყოფილი სამად: პირველი განყოფილების ინსტრუქტორი იყო ლეიტენანტი ჩაჩუა, მეორე — კაპიტანი ხოშტარია და მესამე — კაპიტანი შავდია. ესენი იყვნენ, სკოლის უფროსის, ჩხეიძის მიერ არჩეული, მართლაც, რომ შესანიშნავი ოფიცრები და ინსტრუქტორები.

ვინაიდან იუნკრების უმეტესობა უკვე ნამსახური იყო ქართულ ეროვნულ ჯარში, ამიტომ, 1920 წლის მაისისთვის, იუნკერთა გუნდი უკვე კარგად გაწვრთნილ ერთეულს წარმოადგენდა.

გარდა იუნკერთა გუნდისა, სამხედრო სკოლა შეიცავდა ნაცვალთა ათასეულს, რომელიც შესდგებოდა სამი ქვეითთა ასეულისაგან, ერთი სანაპირო და ერთი ტყვიამფრქვევთა ასეულებისაგან და ერთი ცხენოსანი ოცეულისაგან, რომლებიც, სკოლის დამთავრების შემდეგ, უნტერ-ოფიცრები უნდა გამოსულიყვნენ.

ამ ათასეულის შემადგენლობა, მართლაც რომ საუკეთესო იყო; უმეტესობა უკვე ნამსახური, როგორც რუსის ჯარში, ასე ქართულ ნაწილებშიდაც. რომ დასცლოდა საქართველოს, მართლაც რომ, ქართულ სამხედრო სკოლაში გაწვრთნილი ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების კარგი კადრი ეყოლებოდა.

1920 წლის გაზაფხულზე, სახელდობრ, პირველი მაისის ღამეს, კომუნისტებმა გადატრიალება სცადეს საქართველოში და ამ მიზნით, სამხედრო სკოლაზე თავდასხმა მოახდინეს. ეს ეპიზოდი აღწერილი მაქვს ცალკე მოგონებად.

ამის შემდეგ, დიდი დრო არ გასულა, ფრონტზე გაგვაგზავნეს; ბოლშევიკებმა შემოგვიტიეს აზერბაიჯანიდან. სკოლამ პოლიციები დაიკავა კირპლის ხაზზე (ბორჩალოს მარა), მაგრამ ბრძოლები არ შე-

გვხვედრია, ვინაიდან, ბოლშევიკებმა შეტევა შეწყვიტეს და ზავი ჩამოვარდა ქართული ჯარის რამოდენიმე გამარჯვების შემდეგ, ჩვენს სასარგებლოდ. ამ დროს, მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს დიპლომატიური მისია გ. ურატაძის მეთაურობით, რომელმაც მიადგინა საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და თავდაუსხმელობის პაქტის შეკვრას.

მაღე უკან დავბრუნდით თბილისში, გავატარეთ იმ ზაფხულის არდადეგები და პირველ სექტემბერს დაიწყო მეორე კურსისათვის იუნკრების მიღება. მიიღეს 150 იუნკერი. ასეთი დიდი რაოდენობის ახლგაზრდათა შიღება უნდა მიეწეროს იმას, რომ სკოლა გამოირჩეოდა თავისი გაწვრთნით, დისციპლინით, კარგი სახელით.

თებერვლის თერთმეტი იყო, სკოლის უფროსის თანაშემწემ, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ, მოედანზე მოვარჯიშე იუნკრები შეგვაგროვა და შემდეგი გამოკვიცხადა: „წუხელ, რუსული წითელი ჯარი თავს დაესხა ხრამის ხიდთან განლაგებულ ჩვენს ორ ათასეულს, იარაღი აპყარა შათ და განაგრძობს სამხედრო ოპერაციებს, ომის გამოცუხადებლად. შესაძლებელია, რამ სკოლას ფრონტზე გასვლა დასჭირდეს, მთელი ათასეულის შემადგენლობით. შესაძლებელია ისიც, რომ უფროსი კურსის იუნკრები ოფიცრობას მიიღებენ და სხვადასხვა ნაწილებში იქნებიან გადაგზავნილნი, ხოლო უმცროსი კურსის იუნკრები, ნაცვალთა ათასეულში დანაწილებულნი, ოცეულების უფროსებად.

ფრონტზე გასვლის ბრძანება ჯერ მოსული არ იყო, პოლკოვნიკი ჩხეიძე მანინც შეუდგა მზადებას და თადარიგს. 18 თებერვალს მტერი შემოიჭრა სოდანდულის ნაკვეთზე, მაგრამ წინ წამოსვლა ვერ შესძლო, რადგან ის სასტიკად დამარცხდა, საღარაჯო ათასეულის მედგარი წინააღმდეგობის და ვალდია გოგუაძის

ჯავშნოსანი მატარებლის გამბედავი მოქმედების შედეგად.

წინა დღით, მთავარსარდლად ახლად დანიშნულმა, გენ. კვინიტაძემ, სკოლის უფროსს, გენ. ანდრონიკაშვილს უბრძანა სკოლა, მთელი თავისი შემადგენლობით, ფრონტზე გასულიყო.

18 თებერვალს, სამხედრო სკოლა ახლად მოწვეულ ჯარისკაცებისაგან შემდგარ ნაცვალთა ათასეულთან ერთად ფრონტზე გავიდა და დაიკავა შვიდი კილომეტრი ტახაშმელა-კოჭრის გზაზე. იმ დამეს მხოლოდ კანტი-კუნტი სროლა გვექონდა.

19 თებერვალს მტერი ნელ-ნელა მოიწვედა წინ, მაგრამ შედეგებს ვერ აღწევდა, ასე გაგრძელდა ოცდაერთ და ოცდაორ თებერვალს დილაშივე. დილიდანვე დაიწყეს წითლებმა ძლიერი არტილერიის ცეცხლი.

პირველი მსხვერპლი ჩვენი სკოლისა იყო გუნდის უფროსი ანანიაშვილი.

22 თებერვალს, დილას, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მიბრძანა რაც შეიძლება ჩქარა ჩავსულიყავი სოფ. შვინდისში, სადაც იუნკერთა მეორე ოცეული ისვენებდა და ამომეყვანა.

ჩავედი სოფელში, ოცეულს ბრძანება გადავცეცი. დაქანცული იუნკრები ერთი შენობის აივანზე ეყარნენ; ისე დაღლილები ჩანდნენ, გეგონებოდა, რომ განძრევას ვერ შეძლებნენ. მაგრამ, ბრძანების მიღებისთანავე, ფეხზე წამოიჭრენ და გაბედულად აღმართს შეუდგნენ.

ეს მეორე ასეული ჩხეიძემ კოჭრისაკენ გაგზავნა, რომელიც უკვე წითლების ხელში იყო. კოჭორს, აგრეთვე, ფუნკულიორის გზით ამოსული ბათუმის გვარდიის ათასეული ვ. ჯუღელის მეთაურობით უტევედა. ეს შეტევა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო იუნკერთა მეორე ოცეული გაწყდა. ამ ბრძოლაში დაცა კაპიტანი თოიძე და თორმეტი იუნკერი. ამავე დილას, არტილერიის ყუმბარით მოკლეს დილითვე ამოსული ჩვე-

ნი მოწყალების და მარო მაყაშვილი — პოეტი ქალი, კოტე მაყაშვილის ქალი-შვილი.

მთელი ეს დღე რუსები გაშმაგებით უტყუებდნენ, მაგრამ ვერ გასტყუებდნენ იუნკრებისა და ნაცვალთა ათასეულის ჯარისკაცთა წინააღმდეგობა; უნდა ითქვას რომ ნაცვალთა ათასეული იუნკრებზე ნაკლებ არ იბრძოდა.

23 თებერვალს, ხალაშოს, კარგად დალაშქრებული იყო, როდესაც პოლკ. ჩხეიძემ მეთოხე ათასეული გამგზავნა და თან წერილობითი ბრძანება გამატანა, რომელიც უნდა გადაემეცა მაიორ ელიზბარ შერვაშიძისათვის. შუაგზა გავლილი მქონდა, როცა ცხენის ფეხის ხმა შემომესმა. ცხენი ჭავჭავებდა; ცოტა არ იყოს შევკრთი; ჭავჭავებდა, რუსები არიან-მეთქი, მაგრამ ჭრთა-ღაღადი. ყელ, მოვიმარჯვე მამაჩემის წაჩუქარი „ნაგანი“ და რუსულად დავუყვირე: „კტო იდით?“ პასუხად მივიღე: „ბორჩხლინი“. ეს აღმოჩნდა ბორჩხლინი სათარების ცხენოსანი ოცეული ა. ელიგაროვის მეთაურობით. მან-მკითხა თუ სად იყო გენ. ანდრონიკაშვილის შტაბი. მეც მივასწავლე და ურთიერთს დავუბრუნეთ.

მეთოხე ათასეულის ერთი ასეული ჩვენს მარჯვენა ფრთაზე იყო, კოტეორთან.

დანარჩენი ასეულები ხევში იყვნენ და კეზულები, ისე, რომ მათ მიერ დანთებული ცეცხლი მტრისათვის არც კი ჩანდა. გაჩაღებული კოცონების გარშემო ჯარისკაცები თბებოდნენ და მეც მათთან დავრჩიდი დილაამდე. დილით რომ მოვიღოდი, გადავხედე კოჯრის წინ მდებარე ველს და მაშინ დავინახე თუ რა ძვირი დაჯდა წითლების მიერ კოჯრის აღება, და შემდეგ, ჩვენების მიერ მისი უკან დაბრუნება.

გზაში რომ ვბრუნდებოდი, 24 თებერვალის დილა იყო, ყელი ამტკიცდა და შევამჩნიე, რომ ყელის ჯირკვლები გასიებული მქონდა. წითლებმა გრიგალისებური არტილერიის ცეცხლი გახსნეს. მთელი გზა შტაბამდე ამ არტილერიის ცეცხლის ქვეშ გავიარე, მაგრამ, ჩემს ბედზე, მშვიდობით ჩავედი შტაბში. ყელის ტკივილმა მიმატა, წარსკვლები ისე გამოსივდა, რომ პოლკ. ჩხეიძემ მიბრძანა: ფორდის „სანიტარკით“ თბილისში წავსულიყავი, ხკოლის ქვითი მენახა და თუ ის ნებას მომცემდა, დილით, იმავე „სანიტარკას“ ამოვყურდი ტაბახმელაზე. „სანიტარკა“ ნაშუადღევს სამი საათის შემდეგ დაიბრა თბილისისაკენ და მეც მას. გავუვი. ჩემი ცხენი ა. კობაშვილს დავუტოვე. რომელიღაც მან-მკითხეთამდე მიუღწევია.



მასილ კიკნაძე

თეატრის ბედი „სუკ“-ის არქივებში

„სუკის“ არქივებში ინახავს არა მარტო შემოქმედთა ტრაგიკულ ისტორიას, არამედ უფრო მასშტაბურს—საერთოდ, ქვეყნის ბედს—ჩვენ ვლავარაკობთ საქართველოს ბედზე. როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო საქართველო, როცა ქართველს ეკრძალებოდა მისი ქვეყნის სიყვარული, არ ჰქონდა ეროვნული გრძნობის განმობატის უფლება, დანაშაულად ეთვლებოდა ნაციონალური განწყობილება.

შახიობთა და რეჟისორთა ბრალდებებში ნუხნაში, ეროვნულ განწყობა წარმოუხვნილია. როგორც ანტისამართობი. მოვლენა. პოლიტატიკურებში შახნე ლანარაკობდნენ შიშით, უდიდებია რინკით. მათ უკვე იცინებ, რომ პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობა დანაშაულად მიიჩნეული. შექმნილია რეჟისორთად ტრაგიკული სიტუაცია. ვინ იყო მართალი — ის რეჟისორები და მსახიობები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრობდნენ, თუ ისინი, ვინც ამის გამო იჭერდა მათ? იქნებ, პარადოქსულიც იყოს საკითხის ასე დაყენება, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი ლოგიკა აქვს (მოგვწონს თუ არ მოგვწონს). განა ტოტალიტარული დიქტატურა, სადაც გა-

მეფებული იყო ტერორი და კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგია, სადაც ყველაფერში მტრის სახეს ხედავდნენ, სდევნიდნენ და უარყოფდნენ ეროვნულს, მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებს უქვემდებარებდნენ ხალხთა ბედს, ლოგიკურად და თანმიმდევრულად არ მოქმედებდა თავისუფლების წინააღმდეგ? ბოლშევიკებს ხომ იმთავითვე არ სწამდათ ეროვნულობისა, განა მათთვის მეთებხარისხობიანი არ იყო ნაციონალური ინტერესები? ასეთ სახელმწიფოში თითქოს მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო ეროვნული განწყობილების აკრძალვა. სასტიკად იდევნებოდა კიდევც. ხაუშელურად, აქ იყო იგივე ფკომპრომიზობა თანმიმდევრული. დანაშაული სწორედ მათი მოქმედება იყო, ვინც ქართველ კაცს საქართველოს სიყვარულს უკრძალავდა.

ხელოვანთა დაკითხვის ოქმებმა გამოგნებელი საბრალდებო ვერსიები შემოინახეს მათ „ნაციონალისტურ“ მოღვაწეობაზე. მეტი უკუდმართობა რალა უნდა იყოს, როცა ადამიანს კეთილშობილური ეროვნული გრძნობისათვის სჯიან?

სწორედ ამისთვის დაისაჯნენ ახმეტელი და მისი თანამოაზრე მსა-

საქართველო

ხიობები. ამისთვის არიან ბრალდებულითა შორის მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გრ. რობაქიძე და მრავალი სხვანი. მათ რიგებშია დასახელებული: კ. გამსახურდია, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, პ. კაკაბაძე და სხვები, რომლებიც რეპრესიის კანდიდატებად ითვლებოდნენ. ასევე ბევრნი იყვნენ თეატრებიდან რეპრესიების კანდიდატები. მათზე მათაღების შეგროვება აღრე დაუწყიათ. საბჭოთა ხელისუფლებმათუ ეს არასაიმედო ადამიანებად იყვნენ მიჩნეული მსახიობთა და რეჟისორთა დიდი უმრავლესობა. 1930 წელს. მოსკოვში, ილიმპიადაზე, რუსთაველის თეატრის წარმატების შემდეგ, როცა თეატრის საზღვარგარეთ გასტროლების საკითხი დაისვა, მაშინვე დაიწყო თეატრის „დამუშავება“. „სუკის“ სამსახური შეუდგა მასალების შეგროვებას. ახმეტელისა და მისი მსახიობების შესახებ. ლ. ბერიამ მოსკოვში არა ერთი წერილი გაგზავნა¹. წერილები განსხვავებული ხასიათისაა, თუმცა: მიზანი ერთი და ეფუძება. ლ. ბერიას სურს მოსკოვს დაუმტკიცოს რომ არ შეიძლება რუსთაველის თეატრის საზღვარგარეთ საგასტროლოდ გაგზავნა, რატომ, რისთვის უშლის ხელს ბერია ჩართულ თეატრს პირველად გავიდეს საზღვრებს მიღმა და აჩვენოს ეროვნული კულტურის მიღწევაბი?

ლ. ბერიას მოსკოვისათვის შემდეგი ცნობა გადაუცია ტელიგრაფით:

„ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე — თეატრის დირექტორი, საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოუძღვრელი კრების

წევრი, 1923—1924 წლებში იყო თბილისის ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წელს „სამხედრო ცენტრის“ დაბატიმრების დროს, იგი მიეცა პასუხისგებაში, როგორც ცენტრის აქტიური მონაწილე, 1924 წლიდან ახმეტელი თეატრში ხელმძღვანელობს არალეგალურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას „დურუჯს“. ახმეტელი დეენის თეატრის თანამშრომელ კომუნისტებს ეწვევა პარტორგანიზაციის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას“.

სხვა რაღა იყო საჭირო ახმეტელის დასაჭერად? — თითქმის არაფერი, თუ ახმეტელი 1931 წელს არ იქნა დაპატიმრებული, როცა ბერიამ მისი „საქმე“ შეადგინა. ეს მხოლოდ დროის ფაქტორით აიხსნება და არა „მასალების“ უკმაობით. არაგის დაბეზლება ათარ იყო საჭირო. ბერიასთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახმეტელის დაპატიმრებიდან ექვსი წლით ადრე უკვე დადამუშავებულ იყო მისი ბედი. სადაცაა, ყოველივე ამას ვერძობდა ახმეტელი და ამინჯა უკომპრომიოდ იბრძოდა, არაგის და არაფერს არ ერიდებოდა. ფიქრად თავისი გაეტანა. როცა 1936 წელს ახმეტელი დაიკვირეს და დაპატიმრეს თანამოაზრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოძიებამ „ახმეტელის საქმე“ თანდათან გაამდიდრა დაკითხვულ-დაპატიმრებულთა ჩვენებებით, მაგრამ ეს ტრაგიკული ფარსი იყო მხოლოდ. ლ. ბერიასა და ს. ახმეტელის მრავალწლიანი

¹ ზოგიერთი დოკუმენტი გამოაქვეყნა გ. მეგრელიძემ. იხ. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1990, № 1, 3.



კონფლიქტი ბერიას „გამარჯვებით“ მთავრდებოდა. მისი დრო იყო.

სადღესოდ ა. ახმეტელის საქმის გამოძიების ერთობ დამაფიქრებელსა და საინტერესო ფაქტებს ვხვდებით.

ა. ახმეტელს უთქვამს: „მსახიობი არ უნდა იყოს კომუნისტი“, „მენშევიკები აღმოჩნდნენ უხერხემლონი. ვერ შესძლეს საქართველოს დაცვა ბოლშევიკებისაგან“, „ხელოვნება არის თავისუფლების პროდუქტი და მისი დაგეგმვა არ შეიძლება“, „საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთი გაზეთია „პრავდა“ — დანარჩენი მისი ასლები“, „იაპონელები არიან გმირები შრომისა“, „ფაშისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომი გარდუვალა, საბჭოთა კავშირი საამისოდ არ ემზადება“, „გერმანიას მხარს დაუჭერს იაპონია და იტალია“, „პიტლერი ძლიერი ადამიანია“, „რუსული ენა არის უცხო აღმოსავლეთის ხალხებისათვის“ და სხვა.

ყველაფერი ეს. ახმეტელს ბრალდებად წაუყენეს.

დავუბრუნდეთ 1930 წლის ისტორიას — ლ. ბერიას დასახელებულ ტელეფონოგრამას.

ლ. ბერია იმთავითვე „მასალებს“ ამზადებდა არა მხოლოდ ახმეტელზე, არამედ ა. ხორავაზე, ა. ვასაძეზე და თეატრის სხვა მსახიობებზეც. ტელეფონოგრამაში ანტისაბჭოთა მიუწყებად დასახელებულია თეატრის 16 წევრი, რატომღაც ამ დოკუმენტში ცალკეა გამოყოფილი ა. ახმეტელი, ა. ხორავა და თ. ღვინიაშვილი. მათი ანტისაბჭოურობის დახასიათების

შემდეგ ვკითხულობთ: „მსახიობთა შორის 12 ადამიანი, რომლებიც წამყვან როლებს თამაშობენ საგასტროლო რეპერტუარში, წარმოადგენენ „დურუჯის“ წევრებს და 1924 წლიდან ეწევიან ანტისაბჭოთა საქმიანობას.

1. ვასაძე აკაკი ალექსანდრეს ძე;
2. მკვათა დიმიტრი ნიკოლოზის ძე;
3. კორიშელი პლატონ ევგენის ძე;
4. ქანთარია ია ნიკოლოზის ძე;
5. ლალიძე ივანე ვასილის ძე;
6. აფხაიძე მანოელ მანუჩარის ძე;
7. ლორთქიფანიძე ელგუჯა გედეონის ძე;
8. აბაშიძე ივანე დავითის ძე;
9. კანდელაკი პავლე მამონტის ძე;
10. ლორთქიფანიძე მიხეილ ფარნავაზის ძე;
11. დავითაშვილი გიორგი მიხეილის ძე;
12. პატარიძე ივანე ერმალოს ძე;

ჩამოთვლილი თორმეტი ადამიანი იმყოფება ფორმულირებულ აღრიცხვაზე, როგორც ანტისაბჭოთა პარტიებიდან გამოსულნი. — ეროვნულ-დემოკრატიები, მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები და ახალგაზრდა მარქსისტები. ყველა ჩამოთვლილი პირნი იმ მიზნით, რომ სასწრაფოდ იქნან გადაწყვეტილი მათი საზღვარგარეთ გასტროლების საკითხი, ეწევიან სეზონის ჩაშლის პროოკაციებს, რის გამოც თეატრი განიცდის კოლოსალურ ზარალს. გამომდინარე შემოთქმულიდან, სახელმწიფო პოლიტსამმართველო დაჟინებით მოითხოვს, უარი ეთქვას ხსენებულ თეატრს საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. დაწერილებით საანგარიშო წერილს თან ახლავს დამატებები.

4. „თეატრი და ცხოვრება“, № 2.

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ბერია.

აპარატთან იმყოფება გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ნდობით აღჭურვილი პირი — ბალაშოვი. — ყველაფერი გასაგებია — მიღებულია — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ნდობით აღჭურვილი პირი — ბალაშოვი“.

ამ ტელეფონოგრამაში აღნიშნულია, რომ „ეს ჯგუფი მრავალი წლის განმავლობაში ეწევა ანტისაბჭოთა მუშაობას. ამ ჯგუფის საზღვარგარეთ გამგზავრებასა, იქ მის მოღვაწეობასა თუ სსრკ-ში დაბრუნების პასუხისმგებლობის აღება არ შეიძლება“.

ტელეფონოგრამაში განსაკუთრებული ეპითეტებით არის დახასიათებული ი. მაჩაბელი, რუსთაველის თეატრის საგასტროლო საქმეების რწმუნებული, რომელიც, ბერიას აზრით: „უკიდურესად მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“.

ჩვენს ხელთ არის ლ. ბერიას მოხსენებითი ბარათიც აღნიშნულ თემაზე. აქედან მხოლოდ ერთ ფაქტს გამოვყოფთ, კერძოდ. აკაკი ვასაძისადმი წაყენებულ ბრალდებას (გარდა იმისა, რომ იყო ანტისაბჭოთა „დურუჯის“ წევრი). ბერია წერს: „მსახიობმა აკაკი ვასაძემ მაიაკოვსკის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლება დევნის თანამედროვე ანტელიგენციის გამოჩენულ მოღაწეებს. ამის მაგალითია მაიაკოვსკის თვითმკვლელობა. იგი მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე, რომ მან ვერ იპოვა

გამოსავალი და გადაწყვეტილება თვითმკვლელობით დაესრულებინა“.

ლ. ბერიას მიერ დასახელებული 16 კაციდან, შემდგომში რეპრესირებულ იქნა 8 (ე. ი. 50%). ესენია: ა. ახმეტელი, პ. კორიშელი, ი. ქანთარია, ი. ლალიძე, ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, კ. პატარიძე, ი. მაჩაბელი. აქედან დახვერტილ იქნა 7.

აქამდე ხელმისაწვდომი არ იყო „სსუკის“ არქივი და ბევრი რამ ჭორების, ზედაპირული ინფორმაციებისა თუ მავანთა „ალიარების“ დონეზე ვიცოდით, სულ სხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლეოდა „ახმეტელის საქმის“ ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს. დღეს მოვლენები სხვა რაკურსით წარმოჩინდა. ისიც ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო მეტი თავშეკავება, მეტი ჩაღრმავება მოვლენის არსში. ჩემთვის, როგორც ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარისათვის, ბევრჯერ უსაყვედურებიათ (მომდილია პირადი წერილებიც, ზოგი მიგზავნიდა ლექსებსაც. მაგ. „ორი კენი“ და ა. შ.), რომ არ ვამხელდი, ახმეტელის „დამლუპავლ მსახიობებს“, ვიჩენდი ზედმეტ სიფრთხილესა თუ კომპრომისს. მას შემდეგ, რაც ლიტერატურისა და თეატრის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს. ნება დაერთოთ ჩაიხედონ რეპრესირებულთა პირად საქმეებში, ჩემთვის ბევრი რამ სრულიად ახლებურად წარმოჩინდა. არსებითად, მთლიანად გამართლდა ჩემი აღრიხნული სიფრთხილი.

რა ბედი ხვდა წილად იმ დანარჩენ რვა კაცს. ვინც რეპრესიებს გადაურჩა? მძიმე, მეტისმეტად

მძიმე ხვედრი. ისინი ფიზიკურად ვადარჩენენ, მაგრამ სულიერად შოლიანად რეპრესირებული იყვნენ. მათ შესახებაც შეიქმნა დაბატონებისათვის საჭირო მასალები, ზოგი მათგანი გამოიძახეს, დაკითხეს და აღიარებინეს, რომ ანტი-საბჭოთა საქმიანობას, მაგრამ იმ-ჯამად არ დაიჭირეს. გაუშვეს, რათა მთელი ცხოვრება დაქვრის შიშის ქვეშ გაეტარებინათ. საშინელი სასჯელია! მე მხოლოდ ახლა მესმის, თუ რატომ იყო დიდი მსახიობი აკაკი ხორავა ასე თავდახრილი ყოველი პარტიული ხელმძღვანელის წინაშე. უბრალო რაი-კომის ინსტრუქტორსაც კი მოწიწებით ექცევოდა: მან იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საექვო პირად იქნა მიზნული. ლ. ბერია. 1930 წელს, აკაკი ხორავას შესახებ წერდა: „სუნჯის მახარაში განლაგებული მენ-შევიკური გვარდიის შტაბის ყოფილი უფროსი. 1923 წელს დაბატონებულ იქნა საქართველოს ჩრდ-სამხრეთის მიერ ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის. როგორც მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. იგი კორპორაცია „დურუჯის“ აქტიური წევრია“.

ის მასალა შედგა 1930 წელს. 1937 წელს კი ორმა დაბატონებულმა მსახიობმა, დაკითხვისას აღიარა, რომ ერთ-ერთ სუფრასე ა. ხორავამ თალია 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციონარულ ხსოვნის სადღერძე-ლო. ანტიბოლშევიკური და ბორავას მიზნული. რომ შეიქმნა იყო კოლ-მეორნეობის შექმნა. ეს საკითხი ამოჭიკტიდა 1937 წელს. ხოლო ა. ხორავას ამ აზრის დასადასტურებლად ლ. ბერია ჯერ კიდევ...

1930 წელს აუწყებდა მოსკოვს: „ა. ხორავამ თქვა: კომუნისტური ციკას ხელმძღვანელობით ჩატარდა კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, შეიქმნა კოლმეურნეობები. ამან გამოიწვია მოსახლეობის დიდი უმრავლესობის წინააღმდეგობა, რომელიც აჯანყებაში გადაიზარდა, სტალინის სახით ციკას მიერ გატარებულმა ამ ღონისძიებამ და დაშვებულმა შეცდომებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა“.

ერთ-ერთი დახვედრული მსახიობის საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ იგი კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ფაშისტ-მ. აფხაიძესთან ერთად. ე. აფხაიძის ანტისაბჭოთაობის ნაშთილებლად. ერთ-ერთი გამოძიების დროს დამოწმებულ იქნა აფხაიძის ასეთი განცხადება: „მანოელ აფხაიძე სერგო ორჯონიკიძეს ეძახდა მოლაღატეს, რომელიც რუსეთს დაიხმარა საქართველოს დაპყრობაში. მუქარით ამბობდა: არა უშავს. თავისას მიიღებს, არ შევარჩენთ, არ შერჩება“. ეს არის 1937 წელი. გააა სულ რაღაც სამი წელი და მ. აფხაიძე ფილმში „სექტემბრის ღამე“ ითამაშებს ს. ორჯონიკიძის როლს. ამ ფაქტის გამო მ. აფხაიძე გამოაქვეყნებს წერილს, სადაც აღნიშნავს: „სერგო ორჯონიკიძის როლის შესრულება დაუვიწყარ ფურცელს შლის ჩემს მუშაობაში, გამუდმებით ვფიქრობ, რომ მშრომელი ხალხისათვის ეგზომ საყვარელი ადამიანის სახე სრულყოფილად განვასახიერო“. „მე ვერ აღეწერი იმ სიხარულს. როცა ორჯონიკიძის როლის შესრულება შემომთავაზეს“. რა იყო ამ „სიხარულის“ მიზეზი? გაორების სინდრომი. თუ საშუალება, გამოესყი-

და თავისი „დანაშაული“ ორჯონიკიძისადმი? იქნებ, იმ შიშის ძალა, რომელიც ღრმად დაპროგრამდა მთელი თაობების ფსიქიკაში და, როგორც ბედისწერა, თან სდევდა ყოველ მათგანს. ვის შეუძლია დღეს ამისათვის მისი განსჯა? ვის შეუძლია, ე. აფხაიძეს ან სხვა მსახიობებს და მწერლებს უკიჟინოს რატომ თქვენც არ დაგხვრიტეს, რატომ არ განიცადეთ რებრესიები, თქვენი სამხილი „საქმიობიც“ ხომ მზად იყო, ვერაინ ახსნის ნამდვილ მიზეზს, თუ ვინ რატომ გადაჩხა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რომელიმე მოტივით არა. მიზეზთა მთელი კომპლექსი იყრის თავს. ვინ იცის, იქნებ ბერიას გულში ვაუხარდა კიდევ ორჯონიკიძეზე ნათქვამი? იგი ხომ ებრძოდა ორჯონიკიძის? ასეთი ვარაუდები ათასობით შეიძლება. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც იმპროვიზაციებია, ზერეღე ვარაუდები. უფრო სწორი იქნებოდა გვიფიქრა: ყველა ცნობილი მწერალი, რაჟისორი, მსახიობი დასაბატიმრებელი რეზერვისტი იყო. ნაწილი გაშვებული იყო საცდელად — აბა, ვნახოთ, როგორ მოიქცევა, მორჯულდება თუ ანმეტრელივით გაჯიუტდება. მე თითქმის არ ვიცი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ცნობილი მსახიობი, რომლის დაბატიმრება არ შეიძლებოდა იმავე მოტივით, რა მოტივითაც დაიჭირეს სხვები. ბოლოს და ბოლოს, სცენაზე უარყოფითი გმირის როლს ერთხელ მაინც ითამაშებდა სადმე. ეს სავსებით საკმარისი იყო ბრალდებისათვის. „კულაკის როლი კარგად შეასრულა ელ. ლორთქიფანიძემ“ — არის ერთ-ერთი ბრალდება. აი, ასე იქმნებოდა საქმე.

ახლა სპექტაკლებზე არ იკითხავთ? „თეთნულდი“ ამკარა ფაშისტური ფერებით იქნა დაღმკული“, — ითქვა და გათავდა, ბრალდების მტკიცებაც მზად არის!.. ამ ჯოჯოხეთურ ეპიხანალიაში, სადაც ყველაფერს დაკარგული ჰქონდა ლოგია, სადაც სიმართლე უსამართლობის ცნებას შეიკვალა, საგნებს აღარ ერქვათ თავიანთი სახელი — ძნელია ცოდვა-მადლისა თუ აკარგიანობის გარჩევა: ნუ ვუსაყვედურებთ ადამიანებს სისუსტეს, მათ აღიარებულს და ერთმანეთის დასახილებას. როგორ მოქცეულიყო, მაგალითად, „დურუჯის“ წიგრი, — ეთქვა არ ვიცი, კიდევ ვინ იყენენ „დურუჯილებიო“, არადა უნდა ჩამოეთვალა დაკითხულს. დაასახელება მსახიობის გვარს თა ასეთი დასახელება უკვე დანაშაული იმხილებას ნიშნავდა. საბრალდებო დასკვნებში წერდნენ, მაჯანმა და მაჯანმა თქვა. ესა და ეს მსახიობიც ჩემთან ერთად იყო ფაშისტურ კორპორაცია „დურუჯის“ წიგრიო. ასეა დასახელებული არაერთხელ ა. ვასაძეც: თავადაც აღიარა „დანაშაული“: 1931 წლის აგვისტომდე ანტისაბჭოელი, მენშევიკური სულისკეთებისა ვიყავი და ყოველთვის აღიქრობდი, რომ რუსებმა დაგვიპყრესო. ერთ-ერთი დაბატიმრებული იმჟამაც ამბობს: „აკავი ვასაძემ თავი მოგაბაზრა თავისი 12 მილიონიანი საქართველოთი და თამარ მეფით“... ჩვენ იმ მსახიობებისაც გვესმის. რამდენს შეეძლო ფიზიკური წამებისათვის გაეძლო? ათასიდან ერთს, — თუმც ვერც ისინი გადაურჩნენ სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრიტას.

„სუჟის“ არქივებიდან, ტრაგიკულად გამოიყურება მთელი ქართუ-

ლი თეატრის ისტორია. ეს არის ეპოქის სული და თაობების ბედი. ყველანი მსჯავრდადებული იყვნენ, ზოგი — ფიზიკური, ზოგი სულიერი სიკვდილისათვის. ადამიანთა მორალური განადგურების მასობრივ სანახაობაში რა ძალა უნდა ეპოვათ თაობებს, რა გზებით უნდა ევლოთ, რომ მაინც არ ჩაეკლათ ქართული ეროვნული შემოქმედება. მათ შეძლეს გადაერჩინათ დიდი აქტიორული ხელოვნება და ეს იყო მათი არსებობის

გამართლება, მათი შურისძიება. მელახული უფლებებისათვის და მონებული ქვეყნისათვის. თეატრის ისტორიას, გარდა საბჭოურისა, არ ახსოვს, რომ ამდენი მსახიობი და რეჟისორი გამოემწყვდიათ ციხეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, ამდენი დაეხვრიტათ, ხოლო დარჩენილნი შიშის სინდრომით გაეთანგათ და მაინც ვერ ჩაეკლათ ქართული არტისტული გენია.

ლაქიანის ოქმები

ალექსანდრე დუდუჩავას

უსამართლობის მსხვერპლი შეიქმნა ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე დუდუჩავა, რომელიც წლების მანძილზე, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. იგი მკიდროდ იყო დაკავშირებული რუსთაველის თეატრთან. ავტორია რეცენზიებისა ს. ახმეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლებზე, აგრეთვე

1930 და 1933 წლებში თეატრის მოსკოვში გასტროლებთან დაკავშირებით გამოცემული ცალკეული ნაშრომებისა. დააპატიმრეს 1937 წლის 20 ოქტომბერს. დახვრიტეს იმავე წლის 11 დეკემბერს.

გუგაზ მებრაღიძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვადიარებ, რომ ალექსანდრე თათარიშვილის მიერ 1937 წლის დასაწყისში, ჩათრეული ვიყავი შემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შემდეგ გარემოებებში: ჩვენთან თათარიშვილი ხშირად გამოთქვამდა კონტრრევოლუციურ შეხედულებებს კულტურული მშენებლობის სფეროში (მაგალითად, დეკადის შედეგების შეფასება და მონაწილეთა დაჭილდობა, რუსთაველის თეატრის გარდა-

ქმნის გზებზე, კადრებისა და სხვა). ასეთ შეხედულებებს ვეთანხმებოდა და ვუძღვებოდა ფუძვლად დაედო ჩემს ჩათრევას.

თათარიშვილის სიტყვებიდან, ჩემთვის ცნობილი გახდა მემარტვენეთა კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელები: მგალობლიშვილი, ყურულოვი, ტორაშელიძე და სხვები. ორგანიზაციაში ასევე შედიოდნენ — ე. გორდელაძე, შ. გეგენავა, გრ. შავკულიძე (მართალი, თათარიშვილი არაფერს მეუბნებოდა შავკულიძის შესახებ, მაგრამ, ფიქრობ, სიც იყო ჩათრეული). ამის საფუძვლად მქონდა მისი უკმაყოფილებლობა დაუწინაურების გამო და თათარიშვილის მისდა-ში განსაკუთრებული ახლობლობა და ს. უკრული. თათარიშვილი ხშირად ამბობ-და, რომ ხელოვნების მუშაკთა შორის, კულტურულ-მხატვრულ მშენებლობის დარგში, პარტიის პოლიტიკისაღმის უკმაყოფილება უნდა გამოვიწვიოთ.

ა. დუდუჩავა.

28.X.1937 წ.

ბრალდებულ ალექსანდრე დუდუჩავას საკუთარი ჩვენება

1937 წლის 26 ოქტომბერი

ჩემი პოლიტიკური დაცემისა და კონტრრევოლუციური შეხედულებების და-საწყისი 1935 წ. მიეკუთვნება. მაშინ ვიმყოფებოდი ისეთ ადამიანთა წრეში, რომ-ლებიც ხელს უწყობდნენ ჩემს ბოჰემურ ცხოვრებას, ვეწეოდი დანაშაულებრივ ცხოვრებას, რაც სისტემატიურ ლოთობაში, ზოგიერთი ქალის მოტყუებაში გამო-იხატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ასეთ არსებობას ვე-ღარ ვიტანდი, უნებისყოფობის გამო, მსგავს ცხოვრებას განვაგრძობდი. ვიმეო-რებ, მხარს მიბამდნენ ჩემთან მყოფი ადამიანები: კ. ბუნიაშვილი, კ. დემეტრა-ძე, მწერალი ა. ქუთათელი. ასეთ გარემოცვაში, ხელოვნებაზე არაერთხელ გამო-მითქვამს კონტრრევოლუციური შეხედულებები: ნამდვილი ხელოვნება არ შეიძ-ლება იყოს რეგლამენტირებული, რადგან შემოქმედებითი პროცესი — შეუცნო-ბადი აქტია. აქედან გამომდინარე, ვამტკიცებ ვი, რომ აუცილებელია მხატვრების, მწერლების, დრამატურგებისათვის ნება დაერთოთ, თავის შეხედულებისამებრ, ყველაფერზე ეწერათ, რითაც ვუარყოფდი ხელოვნების მუშაკებისათვის თემატური დავალებების მიცემასა და მუშაობის დროს კონკრეტული ხელმძღვანელობის გა-წევას. ამ თვალსაზრისს საფუძვლად უძევს ხელოვნებაზე ბუნებრივად შეხე-დულებები, რომელსაც მხატვრულ ფრონტზე მისტიციზმისაკენ, ხოლო პოლიტიკუ-რად კი სოციალისტური ხელოვნების უარყოფისაკენ მიყავართ. ჩემს ამ შეხე-დულებებს თათარიშვილი იცნობდა.

შეფუძქით მოსკოვისათვის საქართველოს ხელოვნების დეკადის მზადებას. მა-შინ ხელოვნების კომიტეტის უფროსი ე. გორდელაძე, პირველი მოადგილე ვ. მა-

კვარიაში, მეორე კი მე ვიყავით. დეკადის ყველა საკითხი თავის ხელში მოაქციეს გორდელაძემ, მაკვარიაში და ბოკუჩავამ. ისინი საკითხებს ჩუმად წუვეტდნენ, ვინაიდან თითოეულ მათგანს მოსკოვში გამგზავრება უნდოდა (დამახასიათებელი გარემოებაა: კომპოზიტორთა ერთ-ერთ სხდომაზე, გორდელაძემ შეურაცხყოფა მომაცენა — შეეცადა. ერთი საკითხის განმარტებისათვის სიტყვა არ მოეცა. მაშინ ხელოვნების კომიტეტში არ ვმუშაობდი. ამის შემდეგ, სამუშაოდ იქ გადასვლა შემომთავაზეს. გორდელაძესთან მუშაობა არ მინდოდა, რადგან ყოველთვის ვთვლიდი და ეს აზრი უფრო გამიმტკიცდა — წვრილმან კარიერისტად, ინტრიგან, უპრინციპო ადამიანად).

დეკადის დამთავრების შემდეგ, თათარიშვილი საკუთარი მოვალეობის შესრულებას შეუდგა (უფროსად დინიშნა კოლექტივების მოსკოვში გამგზავრებამდე რამოდენიმე დღით ადრე).

ერთხელ, კარგად არ მახსოვს, თებერვალსა თუ მარტში, შეხვედრისას (სამსახურიდან გამოვდიოდი) საუბარი რუსთაველის თეატრზე ჩამოაგოო. მან დაახლოებით შემდეგი მითხრა: რუსთაველის თეატრი უკან მიდის, ეკელა იცინის, რომ კუკური პატარიძე ორდენოსანია და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწედ გამოაცხადეს. სექტაკლები საშინელია, ხოლო ვასაძისგან რაღა სხალოდნელი. ორდენებისა და წოდებების ასეთი ხელგაშლილი დარიგება ისეთ შაბებელილებას ტოვებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ამით რუსთაველის თეატრის მსახიობები და რეჟისორები მოისყიდაო.

თეატრის გარდაქმნის საკითხში დავეთანხმე, თუმცა აღვნიშნე, რომ ახმეტელის უაზრო „შემოქმედებითი მეთოდისაგან“ საბოლოოდ განთავისუფლებისაგან თეატრს ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. ორდენებისა და მედლების შესახებ ვუთხარა, რომ ეს წამახალისებელი ფორმა თავის სასიკეთო შედეგს გამოიღებდა. რამდენიმე დღის შემდეგ, თათარიშვილი ჩემთან, კაბინეტში, დღის ბოლოს შემოვიდა (ხელოვნების კომიტეტში) და მკითხა — მივიღვარ თუ არა სახლში. ერთად გამოვედი. მან ყოფილ ზემელის კუთხემდე გამაცილა. გზაში მკითხა, თუ რატომ არ ვწირდი ხელოვნების შესახებ წიგნს, შენ ხომ განსაკუთრებულად ცნობისმოყვარე შეხედულებები გაქვსო. ვუპასუხე, რომ ეს „შეხედულებები“ ძირფსვიან შემოწმებას საჭიროებდნენ, ვინაიდან ისინი არ შეესატყვისებოდნენ პარტიის სწავლებას მხატვრული კულტურის შესახებ. ტყუილად ფიქრობ ასე, მიმასლხა თათარიშვილი. მწერალთა კავშირში ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა მაღაქია ტოროშელიძე, ამის შესახებ ცეკაშიც იცინა. ასეთივე შეხედულებებისაა გერმანელ მაგალობლიშვილი, გორდელაძე. ცეკაში, უქვევლად, მხარს დაგიჭირენ, ვგონებ, ბერიაც არ იქნება წინააღმდეგი. გირჩევ, ამ თემაზე სტატია დაწერო და ცეკაში გ. მაგალობლიშვილს გავატანიებ. ამ გარემოებამ ძლიან გამახარა. ეს საქმარისი აღმოჩნდა, რომ თათარიშვილი საქართველოს ხელოვნების დეკადის შეჯამების საკითხზე გადასულიყო. ნაწყენი ტონით ლაპარაკობდა, რომ დეკადა ხელოვნურად იყო მოწყობილი და მისი შედეგები საქართველოს ხელოვნების შემდგომ განვითარებას არამც თუ გააუმჯობესებდა, არამედ გაუარესებდა კიდევ. ამ საკითხზე მას დავეთანხმე. ფაქტიურად, აქ მოხდა ჩემი ჩათრევა. თათარიშვილმა მითხრა: „ხომ ხედავ, რომ ყველაფერი ეს პარტიის არასწორი პოლიტიკის შედეგია ხელოვნების დარგში და მან მკვეთრად უნდა შეცვალოს თავისი გეზი. ასეთივე აზრისაა გ. მაგალობლიშვილი. აუცილებელია, შემოქმედებით მასებს პრაქტიკულად დავუმტკიცოთ ასეთი პოლიტიკის მანებლობა. ამ საკითხებში კარ-

გად ერკვევი და ამიტომ მუნ უნდა მივიღო ხელი. მეც ღაგუხმარები, მაგრამ შემოქმედებით მუშაობს ეს რომ დაეუნტოცოთ, ამისათვის, მათ შორის, ამ პოლიტიკით უმაყოფილებლობი, გამოწვევაა საქირო“, ღაგუხმარები ისე, რომ საქმის ვითარებაში ვერც ვავერკვიე. ასეთი გაით ჩამითრია მუშაობაში. ამ დღიდან გავხდი უნამუსო, ორპირი, მავნებელი და ბელოვნების ფრონტზე პარტიის მოლატე-თათარეშვილმა მიტარა, რომ საქირო იყო ხელოვნების მარტენიე მობრუნება. გერმანე მგალობლიშვილის თავკაცობით, საქართველოში არიან მთელი რიგი ამხანაგები, რომლებსაც ჩვენი კულტურის განვითარება არ აკმაყოფილებთ და ახალ კურსზე გადასვლა აუცილებლად მიიჩნიათ. თუ რაში მდგომარეობდა ახალი კურსი — ამაზე პასუხი ვერ გამცა, მხოლოდ მარტენიე მობრუნების აუცილებლობა აღნიშნა. თათარიშვილი თავიდანვე ცდილობდა ისეთი სურათის დახატვას, თითქოს საქმე მხოლოდ ხელოვნების, თეატრების გარდაქმნაში უოფილიყო. მეც გულუბრყვილოდ დავეუტრე. შემდეგ დავრწმუნდი, რომ უკვე შემარტენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ვიყავი ჩათრული, რომელიც მიზნად ისახავდა კაპიტალიზმის აღდგენასა და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარებას.

მოლატეობის გზაზე დამდგარმა, თათარიშვილის დავალებების განხორციელება დავიწყე.

ხელოვნების კომიტეტში შემოქმედებით ორგანიზაციებს (მხატვრებს, კომპოზიტორებს, არქიტექტორებს) ღა რეპერტოჟს ვხელმძღვანელობდი.

მხატვართა კავშირში მავნებლობა, საღაც, შეთავსებით, გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი, შესაძლებელი იყო მხოლოდ შემოქმედებითი ხაზით. თუმცა, მხატვართა კავშირში მავნებლობა რთული აღმოჩნდა: მხატვართა ძირითადი მახა ენთუზიაზმით მუშაობდა ისტორიულ-პატრიოტული თემატიკის სურათების შესაქმნელად და მათში პარტიის პოლიტიკით უმაყოფილებლობის გამოწვევა ძნელი იყო. მიუხედავად ამისა, საუბედუროდ, ხანდახან ასეთი რამეები გამომდიოდა. ვლენიდი პეიზაჟების შემქმნელ მხატვრებს, გასაქანს არ ვაძლევდი პლაკატისტებს. პეიზაჟმა, ვეუბნებოდი მათ, თავისი დრო მოჰაჟა, პლაკატი კი დიდი მხატვრის საქმე არ არის, ნატურმორტი — ხელოვნებაში კონტრრევოლუციაა, ყველაფერ ამას ცეკას სახელით ვამბობდი. ცალკეულ მხატვართა და რევოლუციურ თემაზე შექმნილ ნამუშევართა განხილვისას მიფუთითებდი: ამ სურათებში მთავარია მოვლენათა ისტორიული სიწესტის გადმოცემა და არა ფერწერის კულტურა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხატვრებს ვარწმუნებდი, რომ ფერწერაში სოციალისტური რეალიზმი ჭერ კიდევ მუხსწავლელია, ამიტომაც საქიროა, მყარად ვიდგეთ ნატურალიზმზე, ხოლო მის ბურჟუაზიულ ხასიათს კი ვშალავდი. ამიტომ მხატვართა ძირითადი აქტივის ბრძოლას ფორმალისმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული შეხედულებებიდან გამომდინარე წარვმართავდი.

ამ მავნებლური მუშაობის შედეგად გაქრა პეიზაჟის ამსახველი სურათები, განიდევნა პლაკატი და ნატურმორტი. ცეკას მდივანი რომ არ ჩარეულიყო, ქართულ მხატვრებს ის მცირერიცხოვანი პეიზაჟებიც არ ექნებოდათ, რომლებიც, მოსკოვში წასადებ, საქარველოს სახვითი ხელოვნების გამოფენისათვის შეგროვდა. მხატვრები განსაკუთრებულად არ მეწინააღმდეგებოდნენ, ვინაიდან ყოველთვის ცეკას ავტორიტეტს ვეურდნობოდი. აგრეთვე მხატვართა მატერიალურ-ყოფითი მდგომარეობის საკითხებშიც მავნებლობას ვეწეოდი: მქონდა რა სურათებისათვის შესაძენი სპეციალური ფონდი, ჰონორარის გაცემას ყოველთვის ვაფერხებდი. მშორად ვეუბნებოდი უარს შემოქმედებით მივლინებებზე, თუმცა, ამისათვის თან-

ხები გამანდა. ჩემს საქციელს ვამართლებდი და მათ ვარწმუნებდი, რომ მხატვრებს უყურებს, როგორც წამგლეჯებს. ამითაა განპირობებული შემოქმედებითი მივლინებებისათვის ფულის გამოუყოფლობა და წოდებების მიუცემლობა. უბინაო მხატვრებისათვის, განგებ, არავითარ ზომებს არ ვღებულობდი.

ჩემი მავნებლობა თეატრების რეპერტუარის ხელმძღვანელობის საქმეშიც გნოვლინდა. შესანიშნავად ვიცოდი, რომ ერთი სეზონის მანძილზე სარაიონო (არა მარტო სარაიონო) თეატრებში რამდენიმე კლასიკური პიესის განხორციელება შეუძლებელი იყო. მაგრამ კოლექტივებს ყოველთვის ვთავაზობდი სამი-ოთხი ნაწარმოების დადგმას. და არ ვურჩევდი საბჭოთა პიესებს. სარაიონო თეატრებს ხელტურისაკენ ვუბიძგებდი. ასეთი მავნებლური ხელმძღვანელობის შედეგად, ჯერ კიდევ ამა წლის სექტემბერში, თელავის თეატრი დაიხურა, ხოლო ბევრ თეატრებში (სარაიონო) ადგილი ჰქონდა რევოლუციური პიესების იდეოლოგიურ დამახინჯებას. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში, თეატრებისათვის დოკაციების დამტკიცება არ გეყოფინდა. ხშირად მივუნიშნებდი მარჯანიშვილის თეატრის ზოგიერთ თანამშრომელს რუსთაველის თეატრის მუშაკთა პრივილეგიურ მდგომარეობაზე. აგრეთვე, სისტემატიურად ვპირდებოდი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებისათვის წოდებების მინიჭების საკითხის ცეკაში დაუენებას. მაგრამ ყოველთვის ვატყუებდი. ბოლოს კი ვუთხარი: „ცეკა წინააღმდეგია თქვენი თეატრის მსახიობთათვის რომელიმე წოდების მინიჭებაზე“. ჩემი მავნებლობა გამოვლინდა ყოველი პიესის კონკრეტულ საკითხებზე მუშაობისას. იმის მიუხედავად, რომ დირიჟორ მიქელაძის განსაკუთრებულად უხეში ხასიათი ამელაგმა, ვაქწებდი, რათა დირექციისა და ორკესტრისათვის არაფერი დაეთმო. ამით კიდევ უფრო ვდარწმუნებდი ოპერის თეატრის ისედაც დამახულ ატმოსფეროს.

როგორც უკვე აღვნიშნე, თათარიშვილმა თავიდანვე არ მითხრა ამ ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ მიზნებზე. იგი სულ კულტურაზე მელაპარაკებოდა. გულუბრყვილოდ მიმტკიცებდა, რომ პარტიულმა მასამ ხელმძღვანელობაზე გავლენა უნდა მოახდინოს ხელოვნების კურსის შეცვლისათვის. ჩემი დანაშაულებრივი გულუბრყვილობა ჩქარა დამთავრდა: მივხვდი, რომ თათარიშვილის ხელით ჩათრეული ვიყავი კონტრრევოლუციური კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრე მემარჯვენე ორგანიზაციაში. ჩემთვის ეს კატასტროფა იყო. მაგრამ კიდევ უფრო დიდი დანაშავე აღმოვჩინდი, რომ ეს ვარემოება ცენტრალური კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან დავმალე. წვრილ-ბურჟუაზიული სიმხდალე, ხასიათის უქონლობა, თათარიშვილის მეგობრობაში სულელურ-გულუბრყვილო რწმენა — აი, რაც მახსიათებდა. თათარიშვილზე ყველაფრის გადაბრალება არ შემიძლია. გონება დაკვარგე და დანაშავე გავხდი. ვუღელატმ პარტიასა და იმ ადამიანს, რომლისგანაც იმდენი ზრუნვა მახსოვს, რამდენსაც დედაჩემისა და მამაჩემისაგან ვერ გავიხსენებ.

თათარიშვილისაგან გავიგე, რომ მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მგალობლიშვილი, ხოლო ძირითად წევრებს განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლები შეადგენდნენ (მან დაასახელა გეგენავა და, ნაკლები დარწმუნებით, ჭკუასელი, გორდელაძე). დანარჩენები არ დაუსახელებია. ასევე მეუბნებოდა, რომ ყურულოვი და ტოროშელიძე ყოველთვის სოლიდარობას უცხადებდნენ მგალობლიშვილს. გაურკვევლად ლაპარაკობდა გრ. შავ-

გულიძეზე. მაგრამ მე დავასკვნენი, რომ შავგულიძეც ჩაითრია. გრ. ზაველიძის განწყობის ცოდნიდან გამომდინარე, ამაში დაეჭვება არ შეიძლება.

ასევე თათარიშვილისაგან ვიცოდი, რომ გორდელაძეც ამ ორგანიზაციის წევრია. გორდელაძეს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემთვის არაფერი უთქვამს. მას ვერ ვიტანდი, იმიტომ, რომ ხშირად მწამლავდა — გაიხადა რა თავის მოადგილედ და კონსულტანტად ხელოვნების დარგში ვ. ბოკუჩავა. თავის მხრივ, მასაც ვძულდი. ერთი თვის შემდეგ, როდესაც გორდელაძე ხელოვნების კომიტეტში დანიშნეს, მე მოსკოვში გავემგზავრე.

გადმოვიბირე თუ არა ვინმე? გულწრფელად ვაცხადებ, რომ ოფიციალურად არავინ, ვინაიდან მეშინოდა. ისე კი, საუბრები მქონდა მემარჯვენე განწყობილების ადამიანებთან: გ. ბუხნიკაშვილთან, პ. სამსონაძესთან, მიხ. ჩიქოვანთან. ბუხნიკაშვილი, განაწყენებული იმით, რომ ცკ მას არ აწინაურებდა, მეუბნებოდა: „მე დრამატურგი, შემოქმედი პიროვნება ვარ და ჩემს კანდიდატურას ნუ წამოაუენებთ. უველას დაივიწყებენ შემოქმედთა გარდა“. იგი არაერთხელ ამბობდა, რომ მართალია ახმეტელი განდევნეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, დრამატურგ-კომუნისტებს დღესაც სდევნიან.

პ. სამსონაძე უნამუსო მკვებარაა. არაერთხელ მიუთქვამს მისთვის, რომ შენისთანა დიდი დრამატურგისათვის, მწერალთა კავშირის საშუალებით, შესაფერისი პირობების შექმნას უნდა მიაღწიო. ასევე ვაწვეთებდი, რომ არ იყო კარგი დრამატურგ-კომუნისტთა შევიწროვება. ვიცი რა მისი განწყობა, ვაცხადებ, რომ პ. სამსონაძე უცხო ელემენტი და სახიფათო მკვებარაა.

მიხ. ჩიქოვანი — ხალხური შემოქმედების სექციის ხელმძღვანელია. მას ყოველთვის პრინციპულად არასწორ გეზს ვაძლევდი, ვავითარებდი და, ვგონებ, მოვიუვანე კიდევ ჩემი კონტრარეოლუციური შეხედულებები ხალხური შემოქმედების შესახებ, ვამტიკებდი რა, ოფიციალურად დამკვიდრებულ თვალსაზრისს კლასიკისა და ხალხური ტრადიციების პრინციპულ მცდარობას. მთელი ჩემი მავნებლური მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ხელოვნების დარგში, შემოქმედებით მუშაკებს შორის, პარტიის პოლიტიკით უკმაყოფილება გამომეწვია და მათ გონებაში ჩამენერგა მემარჯვენე კონტრარეოლუციური შეხედულებები.

დასასრულს, რამდენიმე სიტყვით გასულ წელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ჩემი დაკითხვის შესახებ. მე დამადანაშაულეს იმაში, რომ 1927 წელს მოსკოვში წავიღე პაკეტი კოტე ცინცაძის დავალებით, რომელიც გადმომცა მისმა დამ და ვინმე ფოცხიშვილმა.

პატიოსნად ვაცხადებ: ამის შესახებ არაფერი მახსოვს. უველა ღონე ვიხმარე, რომ გამეხსენებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დაპირისპირებაზეც ფოცხიშვილი პირველად ვნახე, ასევე არ ვიცნობ ცინცაძის დას, ხოლო კ. ცინცაძეს ცხოვრებაში არ ვუხანხივარ.

ძნელია ჩემისთანა ადამიანის მცირედი პატიოსნების დაჯერება — სინდისიც, პატიოსნებაცა და პარტიულობაც დავკარგე. ჩემი კატასტროფიული მდგომარეობა გავაცნობიერე. ამიტომ გთხოვთ, მენდოთ და რაც ვიცი და მახსოვს, აბსოლუტური სიზუსტითა და გულახდილობით, აქ ჩამოვაყალიბე.



26.X.37 წ.

„მ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა“

საქ. სსრ შინაგან საქმეთა

სახალხო კომისარია: —

2 რანგის სახელმწიფო

უშიშროების კომისარია

(გოგლიძე)

3 დეკემბერი, 1937 წ.

საბრალდებო დასკვნა

საგამომძიებლო საქმის № 11062 ალექსანდრე

იოსების ძე დუდუჩიას ბრალდებისა, საქ.

სსრ სისხლის სამართლის 58/7 და 58/11

მუხლებით.

1937 წ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განსნა და უწყებელყო შემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ტერორისტული აქტებით, დიფერსიულ-შავნებულური და ქაშუშური მუშაობით, საქართველოში კაპიტალიზმის აღდგენას.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ა. ი. დუდუჩიავა იყო შემარჯვენე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, რომელშიც ჩაითრია საქ. სსრ ხელოვნების სამმართველოს ყოფილმა უფროსმა აკაკი თათაროვიძემ.

ბრალდებული დუდუჩიავა ინფორმირებული იყო, რომ გ. მგალობლიშვილის მეთაურობით შექმნილ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში შედიოდნენ ყურულოვი, ტაროშელიძე, ჭკუასელი, გორდელაძე, გეგენავა და სხვები (იხ. ბრალდ. დუდუჩიას ჩვენება 26/X—37 წ.).

შემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის დავალებით, ბრალდებული დუდუჩიავა მავნებლურ მუშაობას აწარმოებდა კულტურული მშენებლობის სფეროში. გამოძიებით, აგრეთვე, დადგინდა, რომ ბრალდებული დუდუჩიავა ჯერ კიდევ 1927 წლიდან ემხრობოდა კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს და ასრულებდა მათ დავალებებს საქართველოსა და მოსკოვის ორგანიზაციებისათვის.

ბრალდებულმა ა. ი. დუდუჩიავამ თავი სცნო დამნაშავედ, მხოლოდ 1927 წ. კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან კუთვნილების გამოკლებით.

გამოვლენილია გ. მგალობლიშვილის, ვ. ბოკუჩიას, ე. გორდელაძის, თ. ფოქიშვილის ჩვენებებით.

განმარტების საფუძველზე ბრალად ედება ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩიას მასში, რომ:

- ა) ირიცხებოდა საქართველოს შემარჯვენე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრად, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და კაპიტალიზმის აღდგენას.
 - ბ) ატარებდა მავნებლურ ღონისძიებებს კულტურული მშენებლობის სფეროში, შემოქმედებით მუშაებაში პარტიის პოლიტიკით უკმაყოფილების გამოსაწვევად და მათ შეგნებაში კონტრრევოლუციური შეხედულებების ჩასანერგად.
- გამოძიებამ დაადგინა:

ბრალდებულ ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩავას საგამომძიებლ საქმე № 11062 გადაეცეს საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულს. ცნობა. მსჯავრდებული დუდუჩავა პატიმრობაშია საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შიგა ციხეში.

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს 4 განყოფილების 5 ქვეგანყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი აბასოვი.

„თანახმა ვარ“

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს 4 განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ქობულაძე.

მ ა მ ი

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
სამეულის სხდომისა

4 დეკემბერი, 1937 წ.

შოისშინეს:

4 განყოფილების საქმე № 11062 ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩავას ბრალდებისა, დაბადებული 1900 წელს, ქ. მახარაძის მკვიდრი, ქართველი, სსრკ მოქალაქე, მოსამსახურე, უმაღლესი განათლებით, ხელოვნებათმცოდნე, სკპ(ბ) უფილი წევრი 1921 წლიდან, გარიცხული 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით, უწინ, 1920 წლამდე, „ახალგაზრდა მარქსისტა“ წრის წევრი.

დაპატიმრებამდე საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბრალი ედება იმაში, რომ იყო მემარჯვენე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, კულტურული მშენებლობის სფეროში აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას. (მომხსენებელი აბასოვი).

დაადგინეს:

ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩავა დაიხვრიტოს. მისი პირადი ქონება კონფისკირებულ იქნეს.



მიღწეაო. მდივანმა მიიღო ყორდანისაგან დეპეშა. მას-გაუმეორეს ეს დეპეშა სიტყვასიტყვით. უკველია, მთავრობას არჩეული აქვს ვარკვეული ვზა. ყორდანიაზე გავლენა მოახდინა, ალბათ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მარჯვენა ფრთამ.

8 მარტი.

ს. მდივანს სურდა დღეს ენახა მუხთარ-ბეი. რამდენიმე საათი ეძებდა და ვერ მიაგნო. სამინისტროში არ იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა იგი. მერმე აღმოჩნდა, აბანოში ყოფილიყო. ს. მდივანი წავიდა მუხთარ-ბეისთან და მეც წამიყვანა. როგორც ეტყობა, მუხთარ ბეიმ უკვე იცოდა ჩვენი მთავრობის სურვილის შესახებ ბათუმის ოკუპაციაზე — მან ს. მდივანს. ისეთი წვრილმანი უთხრა, რაც მან არ იცოდა. მუხთარ-ბეის სიტყვით, ხალხისა და ჯარის განწყობილება კარგია, ხოლო მმართველ წრეებში დაიწყო რყევაო. დამფუძნებელი კრების ზოგი წევრი ბოლშევიკებთან შეთანხმების მომხრეა ხალხის ფიზიკურად გადარჩენის გულისათვისო. მუხთარ-ბეიმ გვითხრა 5 საათზე მოვასხენებ ამ წინადადების შესახებ მთავრობის სხდომას და 7 საათზე მიიღებთ პასუხსო.

დღევანდელ ოფიციალურ „ხაკიმეთი მილიე“ შემდეგი ცნობა საქართველოს შესახებ, — თბილისში შესდგა საქართველოს საბჭოთა მთავრობა. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია 45 წლის პასაკამდე. ქართულმა ჯარებმა დაიხიეს სურამისაკენ, მცხეთასა და გორს შორის. საქართველოს მთავრობა იმყოფება გორში. როცა მუხთარ-ბეისაგან ვბრუნდებოდით, ვნახეთ ანგორაში დღეს მოსული ლაზების ასეული. ყოჩაღად გამოიყურებიან. ჩამცული კარვად არიან, ზორბა, ლამაზები.

სალამოს 7 საათზე წაველით მთავრობის სახლში. მუხთარ-ბეიმ ს. მდივანს პასუხი დაახვედრა — დღესვე მიეცემა ბრძანება თურქულ ჯარებს დაიკავონ ბათუმის ოლქი, ახალციხის და ახალქალაქის მაზრა. ჯარები დაიკავებენ საზღვრის ხაზს, ხოლო მმართველობა და უზენაესობა საქართველოსი იქნებაო. დავიკავებთ ამ მხარეს, სანამ საქართველოს მდგომარეობა არ გაუმჯობესდებაო. მოსკოვისა და ლონდონის წინაშე თავის გასამართლებლად გამოვაცხადებთ, ვიკავებთ ამ ოლქებს მომავალი პლებისციტისათვის, ეროვნული პაქტის თანახმად, მაგრამ, რასაკვირველია, არავითარ პლებისციტს იქ არ მოვახდენთ. წერილობითი ხელშეკრულება ამის შესახებ არავითარი არ იქნებაო. კარგია, თუ თურქები ამას გულწრფელად ამბობენ, მაგრამ თუ რაიმე მომიზეზებით მათ სამუდამოდ იქ დარჩენა მოისურვებს, მაშინ რამდენიმე ხანის შემდეგ ჩვენ თვითონ მოგვიხდება მათი იქიდან გაყვანა. ს. მდივანი ამბობს, მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით რუსეთთან კავშირი დავდოთ, რათა თურქები გავაძევოთო. საერთოდ მგონია, ჩვენ მოგვიხდება ქანაობა რუსეთსა და თურქეთს შორის, ვინაიდან ორივეს სურს ჩვენი გადაყლაპვა და ერთი მეორეს ამაში ხელს შეუშლოს. ესაა ჩვენი ხსნა. ისინი ერთმანეთს

წონასწორობენ, მაგრამ თუ მარტო ერთი რუსეთი იქნა, ან მარტო თურქეთი, მაშინ დავილუბებით. ორივეს მოსპობა საქართველოსთვის იქნება ბედნიერება, მაგრამ თუ ორივეს მოსპობა არ შეიძლება, მაშინ რომელიმე მათგანის დასუსტებაც ხელსაყრელი არაა. ყოველ შემთხვევაში, თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება გვიჩვენებს, ჩემის აზრით, რომ თურქების საქმემ ლონდონის კონფერენციაზე მიაღწია მათთვის ერთგვარ დადებით შედეგს, თორემ ისინი ვერ გადასწყვეტდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც ალბათ, მთრუსეთთან წაახზებებს. მათ ალბათ, გუშინ იცოდნენ ჩვენი წინადადების შესახებ და გუშინვე გადასწყვიტეს იგი, თორემ ერთ საათში ამის გაკეთება საკმაოდ ძნელი უნდა ყოფილიყო. და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს საკითხი უნდა გაირჩეს აგრეთვე პარლამენტში. თურქების მიერ ბათუმის დაკავების მიზანი შეიძლება ორგვარია. ან მათ კარგად ესმით, რომ საქართველოს მოსპობა მათ ინტერესებს არ გამოადგება და სურთ დაგვეხმარონ, ან ისინი მოქმედებენ ბეცად და სწადიან პირდაპირ წაგვართვან ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი. ს. მდივანმა თავის პირველ სიტყვაში მუხთარ-ბეის უთხრა ასეთი სიტყვა — ჩვენ თქვენ ვაწოდებთ მაქსიმუმს და ვითხოვთ მინიმუმს. თუ ეხლა თქვენ ჩვენ არ დაგვეხმარებით, მიიღეთ მხედველობაში, საფრთხე თქვენც მოგიახლოვდებათ. ჩვენ, ქართველები მაშინ ვიქნებით მაყურებელი, როგორც ვიყავით ასი წლის განმავლობაში, როცა რუსულ-თურქული ომების დროს თქვენი სისხლი იღვრებოდაო.

ჩვენს მისიაში ყველას ამოუკეთდა გუნება. ს. მდივანი ამბობს, თუ ჩვენი მდგომარეობა ცუდია, ბოლშევიკების კიდევ უარესია და შეიძლება საქმე დასრულდეს რუსეთსა და თურქეთს შორის. ბათუმის შესახებ ხუმრობენ, როცა გაიგებენ ოქტის ოკუპაციის შესახებ, ალბათ, ღამეს მშვიდად გაატარებენო. ს. მდივანი ფიქრობს, რეგლისი უსისინებს რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის დასუსტების მიზნით და ამიტომ სურს ეხლა თურქების საზღვრებს მიუახლოვდესო. საფრანგეთი კი პირიქით — არ ურიგდება რუსულ ბოლშევიზმს, თურქეთს აქჩენებს რუსეთის წინააღმდეგო.

ჭუმბაძე და ემუხვარი წავიდნენ ღამის 11 საათზე ფოსტაში ყორდანიასთვის საიდუმლო დეპეშის გასაგზავნად. თუ მავთული გაწყვეტილი არაა, მათ მოუხდებათ იქ დილაშდ დარჩენა, რადგან მათ უნდა ცემოიძახონ ვინმე ჩვენი სამინისტროდან და მას პირადათ გადასცენ დეპეშა. მხოლოდ შემდეგ დაბრუნდებიან შინ.

9 მარტი.

დეპეშა გუშინ ვერ გავაგზავნეთ. მავთული გაწყვეტილია. დღეს წაველი ფოსტაში. შევეცდები გავაგზავნო დეპეშა მოვლით — ყარსს, იქიდან ქუთაისს, ნაწილობრივ შიკრიკის ხელით. მეორეს გავაგზავნი ტრაპეზუნდ-ხონის მიმართულებით. ერთ დეპეშას საზღვარზე გადასცემენ ჩვენს ოფიცერს და იგი შიკრიკის ხელით გადააგზავნის რომელიმე ტელეგრაფის სადგურზე. დეპეშა, რასაკვირველია, ამგვარად ძალიან დაგვიანებით მივა.

სავარეო სამინისტროში ვნახეთ იკმეთ-ბეი. ამბობდა, საქართველო, ალბათ, იძულებული შეიქნება დროებით ბოლშევიკური გახედეს და მე ვეკითხები ჩემს თავს, ხომ არ გახდება ბ-ნი მდივანიც აგრეთვე ბოლშევიკი? იკმეთ-ბეი მეკითხებოდა, გავივიდა თუ არა ჩვენი მთავრობა ქუთაისიდან ბათუმს? მათ კიდევ მიიღეს ცნობა საკუთარი აგენტებისაგან პეტროგრადის ამბების შესახებ. კრონშტატი მატროსების ხელშიაო. თუმცა, ეს ცნობები ოფიციალური არაა, ალბათ, მართალიაო. ყოველ შემთხვევაში იგი ასე ამბობდა. ალბათ, მათ აქვთ რაიმე ცნობები საქართველოს შესახებ, თუმცა, ამას უარყოფენ. დღევანდელ ბიულეტენში ცნობაა დაბეჭდილი, ლონდონის კონფერენციაზე გავზავნილი დეპეშით, მიტროპოლიტნი სამსუნიისა და ამასიისა პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ უცხოეთში ზოგიერთი პირი და ჯგუფები, ყოველგვარ ნდობასა და უფლებასმოკლებულნი თურქეთის ქრისტიანების სახელით აცხადებენ, თითქო ქრისტიანებს სურდეთ თურქეთის მთავრობის ადმინისტრაციას გამოეყონო. პირიქით, თურქეთის დიდი ეროვნული ყრილობის წარმომადგენელი არიან ლონდონის კონფერენციაზე ერთადერთნი, რომელნიც აღჭურვილნი არიან დაიცვან ჩვენი უფლება და უზრუნველპყონ ჩვენი ინტერესებიო. თურქეთის ყოჩადი მუშაობის შედეგია! დღევანდელის გაზეთის — „ხაკეთეი მილიე“ — ნომერში არის ცნობა პეტროგრადში გადატრიალების შესახებ — კრონშტატიში მოხდა აჯანყება გენერალ კოზლოვსკის მეთაურობით. შესდგა ახალი მთავრობა მაზუროვის თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის თავზე აიღო დიქტატორული ხელისუფლება. პეტროგრადში სურსათ-სანოვავის სიმცირეა. საბჭოთა მთავრობას ეშინია ესტონეთის გამოსვლისო. ყველაფერ ამაში ბოლშევიკები ხედავენ საფრანგეთის ხელსო. ამ ამბის შესახებ დეპეშა გავუზავნეთ ჩვენს მთავრობას, რათა იგი გავამხნევოთ. მაგრამ მავთულის გაფუჭების გამო შეუძლებელი იყო ამ დეპეშის გადაცემა. საერთოდ, შეიძლება ცუდი მდგომარეობა შეიქმნეს. ჩვენმა მთავრობამ არ იცის, რომ თურქები დავეთანხმდნენ ჩვენი სამხრეთი ოლქების ოკუპაციაზე და ვინაიდან დახმარებას არ მოეღის. შეიძლება საბედისწერო ნაბიჯი გადადგას. ჩვენ დეპეშებს გადასცემენ ტრაპიზუნდს და თუ შესაძლებელია, იქიდან გემით ან სხვა რაიმე საშუალებით ბათუმს მიიტანენ. ბიულეტენის ცნობით, ჩვენებმა დაიხიეს გაგრის თრონტზე და ბრძოლა სწარმოებს ეხლა მიახილოვსკისთან. სოხუმიდან 18 ვერსის მანძილზე, ღამის 2 საათზე მივიღეთ დეპეშა გეგეჰკორისაგან, ხონიდან გადმოცემული. საქმე ისაა, რომ თურქებმა გაიყვანეს ტელოგრაფის ხაზი ტრაპიზუნდიდან ჩვენს საზღვრამდე და ჩვენები კი ამას ვერ ახერხებენ გააკეთონ ბათუმიდან, თუმცა, არაერთხელ ეთხოვირთ. ეს დეპეშა ნაწილობრივ საიდუმლოდ იყო შედგენილი, დანარჩენი თურქული ასოებით იყო გადმოცემული. ასე რომ ჩვენ ყვერი ვავიციო. ვავზავნეთ ფოსტაში გადანასთარგმნად, მაგრამ ჩვენი შიკრიკი უშედეგოდ დაბრუნდა, რადგან იქ ტელეგრაფისტი აღარ დახვედრია, რომელმაც იცოდა ლათინური ანბანი. მდგომარეობა



ახლა ასეთი იქმნება; თუ საქართველომ ახლა თავი დაიძვრინა ამ მძიმე ვითარებიდან, იგი ბევრ რამეს ისწავლის. მოხდება ძლიერ გაუმარჯვენა და სამხედრო პარტიის გაძლიერება. საშინაო კიდევ არ გადააჭარბონ.

10 მ ა რ ტ ი.

დილით გავგზავნეთ ჩვენ მიერ მიღებული დეპეშა გადასათარგმნად ფოსტაში, მაგრამ ასოების გადათარგმნის შემდეგაც ვერაფერი გავიგეთ. დაწერილია ან თურქულად, ან რუსულად, ან ქართულად.

დღევანდელ ბიულეტენში ცნობაა, ბეჩირ-ბეიმ ლონდონის კონფერენციაზე განაცხადა არა ეცნობთ სომხეთს თურქეთშიო. სომხეთი ერევანშია და თურქეთმა მასთან ზავი შეკრაო. თურმე ერზურუმის ყრილობაზე შეიქმნა ერთგვარი ტრიუმფირატი ძალიან გააღვიწიანი პირებისაგან, თვითონ მუსტაფა ქემალ-ფაშას მეთაურობით.

ბეჩირ ბეიმ ამ ყრილობას ვერ მიუსწრო. იგი თავმჯდომარეობდა სივასის ყრილობაზე, ეროვნულ ყრილობაში ამჟამად სამი პარტიაა... მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერთადერთი დაარჩინილი რეგულარული არმია არის კიაზიმ-კარა-ბეჩირ-ფაშასი. დანარჩენ არმიებს კი ადგენენ ეროვნული მოძრაობის დაწყების შემდეგ. ბეჩირ-სამი-ბეიმ განუცხადა გაზეთ „დილი რელიეგრაფს“ კორესპონდენტს თურქეთი მეგობრულ დამოკიდებულებაშია თავის მეზობელ რუსეთთან, მაგრამ თურქები ბოლშევიკები სრულებით არ არიანო. თვით თურქები აღარ მალავენ, რომ მათ ბოლშევიკებისაგან მიიღეს საიმოდ დიდი თანხა ოქროთი და გამაგრდნენ ნაწილობრივ რუსეთის წყალობით, მაგრამ ჩემის აზრით, პირველ ხელსაყრელ შემთხვევაში, ისინი რუსეთთან კავშირს გასწყვიტენ, ვინაიდან მათ კარად ესმით, რომ რუსეთი მათი უძვირესი მტარია. მოკა ბეჩირ-სამი-ბეიმ ლონდონის კონფერენციაზე მიემზავრებოდა, მის მაგიერ უნდა დაწინაურებულიყო ფინანსთა მინისტრი თერიდ-ბეი, რომელიც მისი შეხედულების კაცი იყო. მაგრამ მისი წსაგლის შემთხვევით დაწინაურდა მუხთარ-ბეი, ბეჩირ-ბეისათვის მტრული მიმდინარეობის წარმომადგენელი. მუხთარ-ბეი ხოჯების საყვარელი კაცია. ჩემის აზრით, იგი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არაა. თქობს მხოლოდ დღევანდელზე და საგანთა სიღრმის საკმარისად არა წოდება. ს. მდიანი იღეს ლოგინშია. მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობს თავს. ნერვები მისი აწეწილია და გაცვეთილი. და მართლაც, ამ უკანასკნელმა თვემ ყვილა ძალიან გაგვაწვალა. მაინც განვიცდით თუ მეტად არა. ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ. ვინემ ჩვენი თანამემამულენი, საქართველოში და ფრონტებზე. ყველაზე უკეთესად გრძნობს თავს, ალბათ, ფრონტი. მას სამუშაო აქვს და დრო არა აქვს ბეჩირი მსჯელობისათვის. ჩვენ-კი, ხშირად მთელი დღეების განმავლობაში უქმნათ ვართ, რაც მშენებასა და დიქრს მდიდარ საკვებს აძლევს. ცნობათა მიუღებლობა კიდევ უფრო ზრდის ჩვენ ნერვულ დაძაბულობას. ახლა უკვე შეეწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან მაინცდამაინც



არა სასიამოვნო დებეშათა გზავნისა სამხრეთი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ პაციის შესახებ.

დაბოლოს, როგორც იქმნა, გავარჩიეთ 8 მარტის გეგეჭკორის დებეშა. მას შემდეგი შინაარსი აქვს: ჩვენი პოზიციები მარელისთანაა, ქუთაისიდან აღმოსავლეთით და ენგურზე. ბოლშევიკურმა ცხენოსანმა ჯარმა დაიკავა ახალციხე. მთავრობა აპირებს ბათუმს გადასვლას. და გვეკითხება — თურქეთის მთავრობა დასტოვებს ჩვენი მთავრობის აპარატსა და ორგანიზაციას ხელუხლებლად თუ არა, შემდეგში სახელმწიფოს აღსადგენად. ს. მდივანი ლოგინიდან აღვა, მაგრამ გარეთ არ გადის. მან გავზავნა გენერალი ერისთავი მუხთარ-ბეისთან. მუხთარ-ბეიმ უპასუხა — რასაკვირველია, თურქეთი ხელშეუხებლად დასტოვებს მთავრობას და სავსებით თვისუფალი იქნება. რაც ახალციხეს შეეხება, მას ამა თუ იმ გზით ბოლშევიკებს ჩამოვართმევთ. ფოსტიდან საღამოს 7 საათზე სასწრაფოდ მიგვიწვიეს, მისიიდან მოვიდეს ვინმე, ხონიდან სურთ თქვენთან ლაპარაკი. წავიდნენ ჭუმბაძე და ემუხვარი. ხონიდან ლაპარაკობდა ტატიშვილი. გავიგეთ შემდეგი — ჩვენი მთავრობა ბათუმს გადასვლა. თურქული ჯარი ხვალ საღამოს უნდა შევიდეს ბათუმში. კიხიმ-ბეიმ ჩვენს მთავრობას განუცხადა, რომ ჩვენმა, ქართულმა ჯარებმა უნდა დასტოვონ ბათუმი და ამან ჩვენი მთავრობა ძალიან ააღელვა. გენერალი ერისთავი წავიდა მუხთარ-ბეისთან. მან უთხრა ეს უბრალო გაუგებრობა იქნებაო. გენერალმა ჰკითხა მას, როგორ იქნება, თუ ქართული ჯარები იძულებული გახდნენ გადავიდნენ ბათუმის ოლქის საზღვრებით? მუხთარ-ბეიმ უპასუხა: საერთაშორისო უფლებების ძალით მათ იარაღი უნდა აეყაროსო. ამაზე ერისთავმა უთხრა, ბათუმის ოლქის საზღვარზე გადასვლით ჩვენი ჯარები ხომ არ გადადიან თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებს?! არამედ შედიან ოლქში, რომელზეც ვრცელდება საქართველოს მთავრობის სუვერენული ხელისუფლება. და ამიტომ ეგ დებულება აქ მოსატანი არააო. მუხთარ-ბეიმ უპასუხა, ამაზე მე პირადად ვერაფერს გეტყვითო, შემდეგ მობრძანდით კიდევო. გენერალმა ერისთავმა თქვა, ყველა ზემონათქვამიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეგვექმნეს, თითქოს რუსეთსა და თურქეთს შორის არსებობდეს შეთანხმება საქართველოს განაწილების შესახებო. მუხთარ-ბეი არწმუნებდა ბატონისანი სიტყვით ერთ მინისტრს და ერთ კერძო პირს, ასეთი შეთანხმება არ არსებობსო. მას მიუღია ცნობა, ბოლშევიკურმა ცხენოსანმა ჯარმა ახალციხე დაიკავაო. ამის გამო იგი აცხადებს პროტესტს და მოითხოვს მის დაცლას და ამბობენ, ამა თუ იმა გზით ამას მივალწევთო. საღამოს მუხთარ-ბეიმ პასუხი მოგვცა, — ქართული ჯარი ბათუმის ოლქის საზღვარზე გადასვლისათვის განაირაღებული არ იქნებაო. გადავეცით ყველა ეს ცნობა ტატიშვილს, რომელმაც ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორია მდგომარეობა ფრონტებზე, ძალიან მძიმეაო გვიპასუხა.

გუშინ ს. მდივანმა გაუგზავნა მუხთარ-ბეის უსტარი ნომერი 46. 9—5, 21 წ. რომელშიც მოყვანილია მისი სიტყვიერი შეთანხმება



თურქეთის მთავრობასთან. აი მისი შინაარსი — 1. ქართული სამოქალაქო ხელისუფლება თავის ადგილზე რჩება და საქართველოს მთავრობის უზენაესობა ვრცელდება თურქების ჯარების მიერ დაკავებულ ოლქებში. ქართული ჯარი საქართველის შემთხვევაში დაეხმარება თურქულს ოკუპაციის საქმეში. ეს სამხედრო ოკუპაცია გავრცელდება, სანამ პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს და ამიერკავკასიისა საბოლოოდ გამოირკვეოდეს. 2. ორივე (თურქეთი და საქართველო) იმოქმედებს ერთად ამიერკავკასიის ხალხთა და სამხედრო ძალებთან კონფედერაციის დასამყარებლად. 3. ესაა მთავარი პირობა. რომელზე დაყრდნობით ახლო მომავალში წერილობრივ უნდა გამოიმუშაოდეს. თურქეთის მთავრობის პასუხი — 1. თურქულ ჯარს ოკუპაციის საქმეში არ დასჭირდება ქართული ჯარის დახმარება. 2. თურქული ოკუპაციური ჯარი ავზაგნის თავის წარმომადგენელთა ქართულ სამოქალაქო ხელისუფლებასთან. 3. ამ ოლქებში ორივე მთავრობის შეთანხმების თანახმად მოხდება პოლიციური. ეს უკანასკნელი პირობა მხოლოდ მოხვედრებითაა. თორემ სინამდვილეში არავითარი პოლიციური არ იქნება, რის გარანტიას იძლევიან მინისტრები: სავარყო საქმეთა, განათლების და მეურნეობისა. — დღეს ფოსტიდან ლამის ორ საათზე წამოვიდით.

11 მ ა რ ტ ი.

გვსურდა ტატიშვილთან ლაპარაკი. მაგრამ იგი უკვე წასულა ჩვენი პასუხით მთავრობასთან. ბათუმს. აქ ბიარი ყირიმელი თათარია. რომელიც აქ ამ 15—20 წლის წინად ადამოსახლებულან. ამბობენ. საქმოდ მდიდრულად იხორბობენო. ამათ გარდა არიან ყაზანელი თათრები, ბაშკირები და სხვანი. ცხოვრობენ ანატოლიის სხვადასხვა კუთხეში. საქართველოდან არავითარი ცნობა არა გვაქვს. აქ ლონდონიდან ერთი კვირაა ცნობები არა აქვთ.

12 მ ა რ ტ ი.

ს. მდივანი იყო დღეს ფინანსთა მინისტრთან. რომელმაც აუწყა რომ კიაზიმ-ბეი გადაყენებულია. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს პროტესტი. რა საბუთით იკავებენ თურქები საქართველოს მიწა-წყალსო? საინტერესოა. რატომ გადააყენეს კიაზიმ-ბეი და რა ნაბიჯს გადადგამს თურქეთის მთავრობა აღნიშნულ პროტესტთან დაკავშირებით! ხვალ იმუხვარი შიკრიკად მიდის ბათუმს. მასთან ერთად წავა ჩვენი ჯარისკაცი ლუკა მელაშვილი. დავიწყე მათი ჩალაღებების კეთება სათამოს 5 საათზე. დაეყავი სავარყო სამინისტროში და პოლიციის სამმართველოში 11 საათამდე.

დღევანდელ ბიულოტენში ცნობაა ორივე მთავრობის (თურქეთისა და საქართველოს) შეთანხმებაზე სამი ოლქის ოკუპაციის შესახებ. ტრაპიზუნდის ცნობაცაა. — იმ ცნობების მიხედვით. რომელიც ჩვენ განუწყვიტოვებ მოგვდის საქართველოს ფრონტიდან. ქართველები თანდათან იხევენო. დიდი აღელვება და აღშფოთებაა საქართველოში. ქართულმა ჯარმა დაპყროვა წესრიგი. მერმე ნათქვამია, ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობის ხელში მყოფ ოლქებში ხდება აჯანყება ქართველი კომუნისტებისა. ბერძნები და სომხები გათიან სა-



ქართველოდან. საქართველო მოითხოვს თავის განცხადებას მსოფლიო დემოკრატიის შემწეობას. კიდევ — ჩვენი (თურქების) ჯარები შევიდნენ ბათუმში.

13 მარტი.

დღით, ათ საათზე ემუხვარი წავიდა. დღეს გამოვიდა სამსუნიდან ანგორისაკენ ლიკვინაძე, ჩვენი ავტომობილებით. მთელი დღი დაკავებული ვიყავი სამუშაოზე საქმეებით. გენერალი ერისთავი იყო დღეს მუხთარ-ბეისთან. ამ უკანასკნელმა მას უთხრა, კიაზიმ-ბეი გადაყენებული არ არისო. დანიშნულია თურქეთის წარმომადგენელი საბჭო. მთავრობასთან თბილისში. კიაზიმ-ბეი კი დარჩა თქვენ მთავრობასთან. განა არაა ეს პირველი ამ სამ ნაბიჯთაგან? მეორე იქნება — კიაზიმ-ბეის გაწვევა, მესამე იქნება — საქართველოს მთავრობის ცნობა — აღიარება. მუხთარ-ბეი უარპყოფს, ჩვენ არ მივგვიღია პროტესტი ბოლშევიკებისა საქართველოს საბჭოთა ტერიტორიის დაკავების გამო. ქართულმა ჯარებმა დაიხიეს ყვირილიდან და ახალციხიდან გადმოვიდნენ რამდენიმე დღის წინათ და წავიდნენ მთავარ ძალებთან შესაერთებლად.

დღევანდელ ბიულეტენში დაბეჭდილია — ვინაიდან გერმანიამ უარი თქვა აღასრულოს ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, ინგლისური, ფრანგული და ბელგიური ჯარები გადავიდნენ საზღვრებსო. მუხთარ-ბეიმ თქვა, მათი სააგენტოს ცნობით, გერმანია იარაღდებაო. ამას გარდა, დაბეჭდილია ცნობა საფრანგეთისა და ანგორის მთავრობამ ჩამოაგდეს დროებითი ზავი კლიკიაში. მიღებულია რამდენიმე დეპეშა სხვადასხვა ქუთათი ტომებისაკენ. რითაც ისინი თავის ერთგულებას გამოუხატავენ ანგორის მთავრობას. ქუთათები ამბობენ: ლონდონის კონფერენციაზე ქუთათების სახელით ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ბეჭირ-სამი-ბეის და მისი დელოგაციის დანარჩენ წევრებსო. თურქულ ჯარებს ბათუმის მცხოვრებნი, არა მარტო მუსულმანები. არამედ დანარჩენებიც ძალიან გულითადად და სიხარულით შეხვდნენო. გზაში მათ ყვავილებს ესროდნენო; ჯარმა დაიკავა ციხე და აღმართა იქ თურქეთის დროშაო. ბეჭირ-ბეიმ განაცხადა ლონდონის კონფერენციაზე: ეკონომიკური საკითხების განხილვას დავიწყებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლიტიკური საკითხი სმირნია და თრაკიის შესახებ გამორკვეული იქნებაო.

ჭუმბაძე მთელი დღე მორიგეობდა ტელეგრაფზე. გეინდოდა დეპეშა გაგვეგზავნა ჩვენი მთავრობისთვის, მაგრამ ბათუმი ჯერ ღონს არ შეერთებია. სამი საათი ვიყავი ტელეგრაფზე. ამიოდ. გენერალი ერისთავი ავზაენის შემდეგ დეპეშას — ანგორის მთავრობის დამოკიდებულება ჩვენდამი კარგია. თურქებმა დაიკავეს ასტაფა კარაიქლისი. ბოლშევიკებს წინადადება მისცეს დასცალონ ახალციხე, თურქეთის მოსალოდნელი აქტიური გამოსვლისათვის ჩვენ ვეჭვობდებო ტაქტიკური წარმატება. ცნობები საკმაოდ არა გვაქვს ფრონტის მდგომარეობის შესახებ. ამიტომ ჩემს აზრს ვერ მოგახსენებთ. მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი არაა წაგებული. ჯარის სულთნური განწყობილების გასამაგრებლად საჭიროა ექსცენტრიულად ორ-

სამ გადასვლაზე გაყვანა. მიეცეს მას ყველაფერი აუცილებელი, ლენინოცკი. ნაწილმა უნდა დაიკავოს თავდაცვითი პოზიციები ღია ხევში, ნახევარი გადასვლის მანძილზე. დამრტყმელი ჯგუფი მოაგროვებდა ძლერი არტილერიით და ტექნიკური საშუალებებით. ხელსაყრელ წუთში დაარტყით მოწინააღმდეგეს და დაიწყეთ გადამწყვეტი ბრძოლა.

დღევანდელ ბიულეტენში დაბეჭდილია — ტრაპეზუნდი, 13-3-21 წ. ბათუმიდან მიღებული უკანასკნელი ცნობის მიხედვით, ბოლშევიკებმა ქუთაისი დაიკავეს. ლტოლვილთა ტალღა რამდენიმე გეგმით უცხოეთის მიდის. ქუთაისის დაკავების შემდეგ ომი ქართველთა და ბოლშევიკთა შორის შეიძლება გათავებულად ჩაითვალოსო. მათივე ცნობების თანახმად, საბჭოთა საქართველოს ახალმა მთავრობამ, რომელიც თბილისში შედგა, გააუქმა ქართული მისია, ამას წინად რომ იმყოფებოდა თურქეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან და დაავალა ამხანაგ მდივანს (ბუდუ), საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, დროებით იყოს აგრეთვე საქართველოს წარმომადგენელიც ანგორაში. ეს პირველი ამბავია ანგორაში წარმომადგენლობის შეცვლის შესახებ. ყველამ იცის ორივე წარმომადგენელის გვარია მდივანი და ორივენი ძმანი არიანო, ვაზეთი ამას ირონიით იხსენიებს. დღეს მივიღეთ საგარეო სამინისტროსაგან 6.000 ლირა, იმ ფულის მაგიერ, რომელსაც ჩვენი მთავრობა კიაზიმბეის აძლევს. ეს კარგი ნიშანია. მიგვითითებს მასზე, რომ ჩვენ და ჩვენი მთავრობას ანგარიშს უწევენ და ენდობიან მია საკრედიტო უნარიანობას, თუ ეხლა არა, შემდეგისათვის მაინც. მართალია 6.000 ლირა თურქებისათვის თანხას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენს მთავრობას ანგარიშს რომ არ უწევდნენ, ასეთ სიკეთეს არ გამოიჩენდნენ მაინც. ჩვენს ბონებზე გადახურდავებით ეს უდრის ას მილიონზე მეტს.

დღეს ცნობაა — ჩერქეზები იზმირში თავის საკუთარ მთავრობას ადგენენო. ს. მდივანი ამაში ინგლისელები ხელს ხედავს. ჩემის აზრით, ამაში თუ ინგლისელები არიან ჩარეული, ეს იმის ნიშანია, ისინი იძულებულნი არიან წაიყვანონ ბერძნები და გადასცენ ოლქი თურქების ეროვნულ მთავრობას. ჩერქეზული მთავრობის შექმნით ისინი თურქეთს მხოლოდ დაბრკოლებებს უქმნიან. ბერძნებმა, მგონი, დაიწყეს საერთო შეტევა ესკირე-აფიუმ-ყარახირარ-ზე. დღეს მთელი დღის განმავლობაში იგზავნება დეპეშები ამ ქალაქებში. ამ უკანასკნელ დღეებში ბერძნები გაძლიერებულ დახვერვას ეწეოდნენ და თურქები ზოგ ადგილას იძულებული გახდნენ უკან წამოსულიყვნენ. თურქების მდგომარეობა არც ისე ადვილი იქნება, რადგან მათ, მგონია, ძალიან ბევრი იარაღი არა აქვთ. ეს ალბათ, ინგლისის საქმეა, რომელსაც მაინცდამაინც სურს თურქეთი დაასუსტოს. თურქეთს საქმე ექნება ალბათ, საბჭოთა რუსეთთან, რომელიც მის ჩრდილოეთ საზღვარს უახლოვდება, ინგლისის შთავგონებით. თუ თურქეთის საქმე ბერძნულ ფრონტზე გართულდა, იგი იძულებული იქნება თუგინდ დროებით რუსეთს დაუთმოს კავკასია. ვინაიდან

ბრძოლის წარმოება ორ ფრონტზე; მას არ შეუძლია. საფრანგეთს, რომელიც გერმანიის ოკუპაციას ეუფლება, ალბათ, სურს გაიყვანოს თავისი ჯარი თურქეთიდან, და რ. იმე გზით მასთან კარგი დაპოკიდებულია დაამყაროს, რასაც იგი ამ უკანასკნელ დროს სცდილობდა. ეოთსა და იმავე დროს გერმანიისა და თურქეთის ოკუპაცია არ იალუხს, მაგრამ ამასთან ერთად საფრანგეთი მოქმედებს გერმანიის საკითხში იზგლისთან შეთანხმებით, და ამიტომ დახარჩევს საკითხებიც მასთან შეთანხმებით უნდა მოქმედებდეს. ინგლისს უნდა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თურქეთი დაასუსტოს და საფრანგეთი ამისი ძალაუხერხუოდ მას უნდა გააყვეს. ასე ფიქრობს ს. მდივანი. იგი ამბობს, რესალელებელია საფრანგეთმა უარი თქვას ჩვენთვის იარაღის მოცემაზე, რათა ამით თურქეთს არ დაეხმაროს და უკანასკნელის შეტაკება რუსეთთან დააგვიანოსო. მაგრამ მე ვფიქრობ, — თურქეთი ინგლისთან კავშირის ძიუხედავად, თავის ინტერესებს არ დაივიწყებს — და თუხდ საიდუმლოდ გააკეთებს თავის საქმეებს აღმოსავლეთში, — დაეხმარება თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ. თუ ბერძნებმა შესძლეს ეს ქიშკირის დაკავება, ეს ანგორის მთავრობისათვის დიდი დარტყმა იქნება. მაშინ ბერძნებს ეხსებათ გზა ერთი მხრივ კონსტანტინოპოლს და მეორე მხრივ — ანგორაზე. მთავრობის ავტორიტეტი ამის შემდეგ ძალიან დაეცემა. ხუმრობით ვამბობთ, — იქნებ, თურქებმა გვთხოვონ მერმე ერზრუმს ოკუპაცია მოუხდინეთო, როგორც ისინი ახლა ბათუმს უჭვრებიან ოკუპაციას. ახ იქნებ, ორივე მთავრობა ბოლშევიკების მოწოლის შედეგად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ბერძნების დაწოლით სამხრეთ-დასავლეთიდან, შეხვდება ერთმანეთს სადმე, ტრაპეზუნდში.

დღევანდელ ბიულეტენში დაბეჭდილია: კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობებით, სომხები დიდად აღელვებული და სასოწარკვეთილი არიან. უკანასკნელი ცნობებით, წითლებსა და დაშნაკებს შორის ბრძოლებია სომხეთში და ამათ კიდევ უფრო გაზარდა ეს უიმედობათ. სომხების გაზეთები სავსეა ამ იმედდაკარგულობით და ამბობენ, ამ უკანასკნელ წელთა ბრძოლებში და შეტაკებებში სომხებმა რიცხოვნობად ძალიან დაიკლეს და თავს ვეღარ აღწევენ დღევანდელ უხედურებასო. სომხური გაზეთები წერენ, აღარაფერს არ უნდა მოველოდეთ ევროპისაგან, არც ამერიკისაგანო. მაგრამ ეს ორია მარტო, რომელთაგან სომხები რაიმე სარგებლობას მიიღებენ. სომხები სცდილობენ თურქებთან ხელახლა უოთიერთობა დაამყარონო.

15 მ ა რ ტ ი.

რამდენიმე დღეა ჩვენი მთავრობისაგან დეპეშა არ მიგვიღია. ალბათ, ბათუმში რომ მოხედნენ, ცოტა დაწყნარდნენ და ეხლა დაიწყო ძალღონის მოშეება, უკანასკნელ კვირათა დაქიმვის შემდეგ. დღეს ჩვენთან იყო ერთი აზერბაიჯანელი. იგი გვიყვებოდა, — აქ მეუბნებიან, ორი თვეც არ გაივლის და თქვენ აზერბაიჯანში დაბრუნდებითო, მაგრამ ნუ იკითხავთ როგორ და რანაირადო. აქ ორი აზერბაიჯანელი ყოფილა; თვითონ და მეორე — აშურბეკოვი. ეს უკანას-

ქნელი, პირველის პირით, უმტკიცებდა თურქებს, ინგლისელებს არ უნდა შეურიგდეთ და ბოლომდე უნდა ებრძოლოთ. ასეთი აზრის გამოთქმა აზერბაიჯანელის მიერ, თუ ბოროტება არაა, ყოველ შემთხვევაში, მოუფიქრებლობაა. ჩვენთვის, პირიქით, საჭიროა თურქეთმა ხელი გაიხსნას, რათა მას შეეძლოს თავისუფლად მოქმედება ბოლშევიკების წინააღმდეგო. მან გვითხრა კიდევ, ამას წინად იყო ეროვნული ყრილობის სხდომა, რომელმაც უარპყო კონსტანტინოპოლის სატახტო ქალაქად გაუქმება და ახლის დაარსება ანატოლიაში. ამით საქართველო მხოლოდ მოიგებს, ყურადღება და ენერჯია თურქეთის მთავრობისა ახლა ისე ინტენსიური აღარ იქნება თქვენს მიმართო.

ს. მდივანი დღეს იყო მუხთარ-ბეისთან. მან უთხრა, ჯერ არავითარი ცნობა არ მიმიღია ბექირ-ბეისაგანო, მაგრამ კარგ ვუხედავებო და ცოფილა. ცნობებს ალბათ, ღებულობენ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ჩვენ გვიძალავენ. ალბათ, ანტანტას შეურიგდებიან. მუხთარ-ბეი დროებით ასრულებს ახლა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც. მან თქვა, ბუღუ მდივანმა გამომიგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც ამბობს, ვერცერთი საიდუმლო დეპეშა ვერ გავარჩიეთ და ეს თურქების ბრალიაო. ვახეთის ცნობის შესახებ ქართული მისიის შეცვლაზე თქვა, არაფერი ასეთი არაა და ბოლშევიკებმა კიდევ რომ ეს მოისურვონ, თურქები ამას არ მიიღებენო. სხვათა შორის, აზერბაიჯანელმა მოგვითხრო. მისი ამხანაგი აშურბეკოვი, ამას წინათ შეხვედრია ქუჩაში ბუღუ მდივანს, მაგრამ მას არ ცოდნია თუ ვინ იყო იგი, ხოლო სახით უცვანია, ქართველიაო. მისულა მასთან გახარებული და შეუკითხავს — ქართველი ხომ არ ხართო? მას მკაცრად უპასუხნია — ქართველი არა, რუსი ვარო.

ვახეთ „ხაიეთი მილიეს“ ცნობით, ფრანგებმა დადეს თურქებთან ხელშეკრულება და ადანა-ს სტოვებენო. ამავე დროს ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა, დაუბრუნოსო თურქეთს სმირნა. ეკონომიურ საკითხებში თურქები, ალბათ, დათმობაზე წავლენ და შეთანხმება მოხდება. ჩემი შეხედულება ჩერქეზული მთავრობის შედგენის შესახებ იზმითში, მართალი გამოდგა. მეორედება ისტორია თავისუფალი აჭარისტანისა; საქართველოს შესახებ თურქებს შემდეგი ცნობები აქვთ: ჩვენი ფრონტი ქუთაისისა და სურამს შორისაა. სოხუმის ფრონტზე ჩვენები თითქო სოხუმის ჩრდილოეთით არიან. დაცვა მოუწყვია იქ გენერალ თდიშელიძეს. არაფრის გარკვევა არ შეიძლება. ერთ დღეს ერთი ცნობაა, მეორე დღეს — მეორენაირი. ტრაპეზუნდში ცნობებს აგროვებენ უმთავრესად ლტოლვილთა შორის და ღებულობენ რადიოთი გაბოლშევიკებული ტუაპსედან, ასე რომ ყველაფერი გადაჭარბებულია და ჩვენი სასარგებლო არაა. სომხები სწმენდენ თავის ტერიტორიას ბოლშევიკებისაგან. ბოლშევიკების ერთი ნაწილი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ნახიჩევანში, რომელიც თურქებმა დაიკავეს. მეორე ნაწილთან სომხები ეწევიან თავდაუზოგველ ბრძოლას ალექსანდროპოლისა და კარაიკილისს შუა. მართალია, სომხების წინააღმდეგ ბოლშევიკებს ჰყავთ

მხოლოდ ერთი ბრიგადა, და სომხებს ალბათ, ესმარებიან თურქები, თუგინდ ყუმბარებითა და თოფებით, რომელიც თვითონ მათ ყარსში წაართვეს. მგონია, ახლაც გერმანელები, თუმცა ირიბულად, საქართველოს ესმარებიან. გერმანიის ოკუპაციის დაწყებით, ანტანტას სერის ხელები გაინთავისუფლოს თურქეთის მიმართ. თურქეთი კი დასავლეთის საფრთხისაგან განთავისუფლებული მოგვეხმარება ჩვენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

აზერბაიჯანელი ამბობდა, აქ მოგვითხოვენ, ქართული ჯარი გაცილებით მეტია ვინემ ბოლშევიკური და გაკვირვებული არიან, ქართველები უკან რატომ იხევებო. ს. მღვიანმა აუხსნა მას, ჩვენ იარაღი აოა გვაქვსო. იგი ძალიან გაკვირვებული დარჩა, რადგან პირველი მეხვედრის დროს მან უთხრა, ოძი ახლა დაიწყეთ აზერბაიჯანში, ოძის დროს ჩვენ ვერ გავაფართოვეთ ჩვენი წარმატება და ვერ გავსდით ბოლშევიკებს, რადგან იარაღი არა გვქონდა, ეხლა-კი ის მდომარეობა აღარაა, იარაღი საკმარად გვაქვსო. სამწუხაროა არათანმიმდევრობა დიპლომატიამო, უცხოელებთან ლაპარაკის დროს! აზერბაიჯანელი ამბობს, პრესბიუროს ყოფილი უფროსი მუხედინბეი ბოლშევიკური მიმართულების იყო და ამის გამო, ალბათ, ბოლშევიკებისაგან დებულობდაო. იგი ახლა ხელმძღვანელობს გაზეთ „ენიონ“-ს და ამით ბევრი რამ აიხსნებაო. დიდი ხანია ჩვენი მთავრობისაგან დეპეშა აღარ მიგვიღია.

დღეს ვნახეთ საიდლანაც მორეკილი, ჯარში ახლად გაწვეულნი, მათ სავსებით ველური შეხედულება აქვთ. თუ როგორ გამძლეა თურქი ჯარისკაცი, ამას იმითაც დავინახავთ, რომ მათ სძინავთ კარავში ტიტველ მიწაზე და მათი სათბური არის მაყალი.

სომხეთში, ბიულეტენის ცნობით, შესდგა ხაზოგადობრივი თავდაცვის კომიტეტი, ვრაციანის მეთაურობით. იქ სწერია — ვრაციანმა, სომხური საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიმართა წერილით მის უმაღლესობას მუსტაფა ქემალ-ფაშას — იგი ირწმუნება, სომხებს ნამდვილად სურთ დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა თურქეთთან, მიესალმება თურქ ერს დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის სახით და თან უმატებს, სომხების სურვილია შექმნან კარგი ურთიერთობა თურქეთთან და დაე ეს იყოს დასაწყისი ამ ორ ერს შორის მყარი მეგობრობის დასამყარებლად.

მეორე ცნობა, — გაზეთი „დეილი ტელეგრაფის“ თანახმად, ლორდ კერზონი შეეკითხა სომხებს: აქვთ მათ რაიმე პრეტენზია ტრაპიზუნდზე? ამაზე პოლოს-ნუბარს უპასუხნია: ტრაპიზონი უნდა იყოს ნავთსადგური მხოლოდ თურქებისა ან ბერძნებისაო. უიკველია, იქ სომხები აგვარებენ თავის საქმეებს თურქებთან.

14 მარტს 1921 წ. ცნობაა: — ლონდონის კონფერენციამ აუწყა თურქებისა და ბერძნების დელეგაციებს გადაწყვეტილებანი და წინადადება მისცა ორივე მხარეს ხვალამდე მოგვეცეს გადაწყვეტილი დადებითი ან უარყოფითი პასუხიო. 1. ბერძნები დაუყოვნებლივ დასტოვებენ იმ საზღვრებს, რომელნიც მათ უწინ მიენიჭათ. 2. ყოველგვარ მტრული შეტაკება, რომელიც დღესაც გრძელდება, დაუ-



ყოვნებლივ შესწყდეს. 3. სმირნა და მისი მხარე თურქებს დაუბრუნდება. შედეგება ადგილობრივი ჟანდარმერია იტალიელ ჟანდარმ-ოფიცერთა ხელმძღვანელობით. 4. სმირნა და მისი მხარე დარჩეს დროებით ბერძნული ჯარის ოკუპაციაში, სანამ სმირნის ჟანდარმერია შესდგებოდეს და მოეწყობოდეს. 5. სმირნის ნავსადგური ცხადდება თავისუფალ ქალაქად. 6. გამომუშავდება გეგმა-კახონი უმცირესობათა უფლებების დასაცავად. 7. სახელმწიფოთა ყველა უფლება და ინტერესები ამ მხარეში დარჩება ხელუხლებელი. 8. ყველა ბერძნული ჯარი წავა კონსტანტინოპოლიდან და მოკავშირეთა ჯარი შემცირდება. 9. სრუტეთა საოკუპაციო ზონები შემოკლდება და დაიკავებენ მხოლოდ ალიპოლსა და ჩატალჯას. 10. სრუტეებს განაგებს საერთაშორისო განსაკუთრებული კომისია. უეჭველია, თურქებმა მიიღეს ეს წინადადება, რადან ბრიანი უკვე პარიზს ბრუნდება და დანარჩენი საკითხები განსახილველად ელჩთა კრებულს გადაეცა. ალბათ, მუხლთა საბოლოო დამუშავებისათვის. აქ საგარეო სამინისტროში განუწყვეტლივ გვარწმუნებენ — არავითარი ცნობები არა გვაქვს კონფერენციის შედეგების შესახებო. აღმოსავლური დიპლომატიკაა. ბერძნული იძულებული გახდებიან დაეთანხმონ, რადგან მათ არ შეუძლიათ მოკავშირეების წინააღმდეგ წაიხდნენ. პარიზის გაზ. „თან“, წერს: საბერძნეთის მინისტრთა თავმჯდომარემ სთხოვა საფრანგეთს აღმოუჩინოს საბერძნეთს ზნეობრივი და ნივთიერი შემწეობა. ათენში საბერძნეთის მთავრობას საფრანგეთის წარმომადგენელმა მიმართა და მოსთხოვა მას 412 მილიონი ფრანკის გადახდა, რომელიც მათ საფრანგეთის მთავრობამ ასესხა. იმავე დღეს ინგლისის ელჩმა მოითხოვა დაუყოვნებლივ გადახდა 388 მილიონისა, რომელიც ბერძნებს მათი მართებს. ესაა ცნობები ანგორის პრესბიუროსი. თუ მართალია, მაშინ ბერძნები კარგ გუნებაზე არ იქნებიან.

კონსტანტინოპოლში დიდი სამეურნეო არეუ-ღარევაა. იქ დაგროვდა აუარებელი საქონელი რუსეთთან და კავკასიასთან მომავალი ვაჭრობისათვის. პირველი დარტყმა იყო ვრანგელის დამარცხება და უკანასკნელი — საქართველოს ისტორია: ვაკოტრდა ბევრი მდიდარი, ათენის ბანკიც. საქონლის ფასები ძალიან დეცა.

16 მ ა რ ტ ი .

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი. რაც მოკავშირეებმა კონსტანტინოპოლი დაიკავეს. „ენი უნიონ“ წერს: როცა ამ დღეს, ერთი წლის წინათ მოკავშირეებმა კონსტანტინოპოლი დაიკავეს, მათ სურდათ თურქეთი მოეკლათ, მაგრამ თურქეთი ცოცხლობს, იცოცხლებს და გაიმარჯვებსო. თუმცა, საქმე ზავისაკენ მიდის, მაგრამ ფრანგებთან შეტაკება ადანის ფრონტზე მაინც გრძელდება. ყოველდღე იწერება ბერძნების სისასტიკეზე. ალბათ, ბერძნებიც ამას სწერენ თურქების შესახებ. სტეფანის სააგენტო იუწყება. ბრიანი შეუთანხმდა თურქეთის დელეგაციას, ფრანგები დასცილან კილიკიას სავსე-

ბით და დაუყოვნებლივ. ტყვეებს გასცვლიან. შეტაკებები შესწყდება. პიროვნების უფლება დაცული იქნება და უმცირესობათა უფლებანი უზრუნველყოფილი. შევეცადეთ ბათუმს დაკავშირებოდით. ფუჰად.

17 მ ა რ ტ ი.

არავითარი ცნობა ჩვენი მთავრობისაგან. ს. მდივანი ფიქრობს, იქნებ, თურქები ცნობებს განზრახ არ უშვებენო. ჭუმბაძე ფოსტაში იყო. უნაყოფოდ. გენერალი ერისთავი წავიდა თურქეთის გენერალურ შტაბში და მოიტანა შემდეგი ცნობა, — სოხუმის ფრონტზე ჩვენი დგანანი მდინარე ენგურზე. შემდეგ, პოზიციები არის ქუთაისსა და სურამს შორის, ყვირილის რაიონში. ქუთაისში ადგილობრივმა ბოლშევიკებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი ჯარი არ გახრწნილა, მაგრამ წინააღმდეგობის უნარი გატეხილი აქვს. ბოლშევიკებმა წაიყვანეს ფრონტიდან ერთი ბრიგადა და გაიყვანეს იგი სომხეთის ფრონტზე. ბაქოში აჯანყების შიშის გამო, დაახლოებით ასეთივე ძალა მიიყვანეს. თურქებს აღსტაფა არ დაუკავებიათ. მათი ჯარები დგანან კარაკლისში. ახალციხეში მყოფი ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარი წასული უნდა იყოს მთავარ ძალებთან შესაერთებლად. რადგან ბათუმის მიმართულებით, საითაც ფიქრობდნენ რომ გავიდოდნენ, იგი არა სჩანსო. დასტურდება პეტროგრადის ამბები. ამბობენ, თითქო მატროსებმა პეტროგრადი დაიკავესო. ბიულეტენის ცნობით, კონსტანტინოპოლის ბირჟაზე ხდება თურქული ფასიანი ქაღალდების ფასის მატება. შემდეგ დასტურდება, ბერძნები მზად არიან თურქებს შეუთანხმდნენ. ინგლისის ბრძანებით, ისინი უარს ამბობენ თავის მოთხოვნათა ერთ ნაწილზეო. ლონდონის კონფერენცია დასრულდა. ანგორის დელეგაცია, კონსტანტინოპოლის გაზეთ „აკეჰამ“-ის ცნობით, ანგორას ბრუნდება. ერთი თვის შემდეგ იგი ისევ ლონდონს გაემგზავრებაო.

ძალიან ველელავთ, აქამდე ჩვენი მთავრობისაგან არავითარი ცნობა არა გვაქვს. ს. მდივანი ფიქრობს, იქნებ, იქ გამოიცვალეს პოლიტიკა და ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას აწარმოებენო. დღეს შედგა თურქთა მინისტრების საბჭოს ხანგრძლივი სხდომა. ალბათ, ლონდონის კონფერენციის საკითხები ირჩეოდა და შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, კავკასიის საკითხიც.

18 მ ა რ ტ ი.

დღეს დილის 11 საათზე ს. მდივანთან მოვიდა ფინანსთა მინისტრი ფერიდ-ბეი. რაზე ილაპარაკეს არ ვიცი. მდივანი ყველაფერს არ გვიამბობს. იგი შემდეგ ამბობდა, თურქებს ცნობა აქვთ, ჩვენი ჯარები მაგრად დგანან პოზიციებზე და რალაც მზადდებო. ამასთან ერთად ფერიდ-ბეიმ, ჯერ კიდევ შეუთმომებელი გაზეთური ცნობებით, თითქო ჩვენი მთავრობა ემზადება კონსტანტინოპოლს გადავი-

დესო. მგონია, თურქების სრული შეთანხმება ფრანგებთან არა ხდება. ფერიდ-ბეის შემდეგ 2 საათზე გვეწვია ლაზების დეპუტატი ოსმან-ბეი. იგი თვითონ ლაზია, მაგრამ ისეთი რაიონიდან, სადაც არც ლაზურს, არც ქართულს აღარ ლაპარაკობენ. მდივანმა არ უთხრა მათ, რომ ეხლა ჩვენთან იყო ფერიდ-ბეი. ქუჩის ცნობებით გავიგეთ, თქვენი საქმე ფრანგებთან არ მოეწყობაო. ოსმან-ბეიმ დაადასტურა, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთო. ფრანგები მოითხოვენ და იყინებდნენ სულ უბრალო რამეებზე; და რაღა უნდათ, თქვა მან, სულ ერთია კონცესიებს მიიღებენ, თურქეთის სიმპატია ყოველთვის ფრანგების მხარეზე იქნება და არა ინგლისელების. ფრანგები ჩვენ უფრო გვიყვარს. ფრანგულ ენას სკოლაში ვასწავლით. რაც შეეხება ლონდონის კონფერენციის პირობებს, მართალია, იგი სავსებით დამაკმაყოფილებელი არაა, მაგრამ მათი შედარება სევრის ხელშეკრულებასთან არ შეიძლებაო. ბეჭირ-სამი-ბეი დაბრუნდება აქ ორი კვირის შემდეგ. იგი უკვე გამოსულა პარიზიდან. შერძე ისევ ლონდონს წავა და მაშინ ყველაფერი გადაწყდება საბოლოოდ. ვინაიდან ფრანგებთან ურთიერთობის მოგვარების საქმეს აგვიანდება, ამით ხელი ეშლება თურქეთს ჩაერიოს კავკასიის საქმეშიო. ოსმან-ბეი ამბობს, ცნობები გვაქვს, თბილისს მოვიდა ორჯონიძეო. შემდეგ კიდევ, თითქო ვლადიკავკასში ტროცკი დასჭრესო. რაც პეტროგრადის აჯანყებას შეეხება, ეს ჭორი კი არაა, არამედ სინამდვილეო. ეხლა კიანში-ბეის აღარა აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც უწინ ჰქონდა, რადგან ყველაფერს ეხლა აკეთებს თვითონ კიანში-კარაბეჭირ-ფაშაო. დედაქალაქის გამოცვლის შესახებ იგი ამბობს, ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა, ტექნიკური და სხვა მოსაზრებითაც, იგი არ გამოიტანს მას კონსტანტინოპოლიდან. ხალიფას რეზიდენციად სამუდამოდ დარჩება კონსტანტინოპოლიო. ფრაკის საკითხი თუ როგორ გაირჩა ლონდონის კონფერენციაზე ამის შესახებ ცნობები არააო. გულუბრყვილოდ სურს ჩვენი გაცურება და გვეუბნება: შეიძლება ამის შესახებ დეპეშა გზავნაო. ასართოდ, თურქები ამბობენ ხოლმე ისე აშკარა ტყუილს, რომლის სენსა მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება — ამაზე არა მსურს ლაპარაკი და ამას გავრძნობინებთ ისე ცხადად, რომ თქვენ მაშინვე უნდა მიხვდეთო. თურქებს ეხლა კონვენცია აქვთ ბოლშევიკებთან მოსკოვში. ოსმან-ბეი ამბობს, ჩვენ მივიღეთ, ჩვენი მოსკოვური დელეგაციისაგან მხოლოდ ერთი საიღუმლო დეპეშა, მაგრამ ისე არეულ-დარეული, რომ ვერაფერი გავიგეთო. ეს მჯერა, თუ ბუღუ მდივანმა თავისიანების დეპეშა ვერ გაარჩია, ბოლშევიკები ეცდებოდნენ თურქებისათვისაც. ოსმან-ბეი ამბობს, როგორც კონსტანტინოპოლს დავიკავებთ, მაშინვე ახალ სულთანს დავსვამთო.

ნასადილევს ორჯერ ვიყავი ფოსტაში იმის გასაგებად, ვაგზავნილია თუ არა ს. მდივანის დეპეშა ჩვენს საგარეო სამინისტროში, ბათუმს. ამ დეპეშით ს. მდივანი ითხოვს, გააგზავნეთ ვინმე ხონს ჩვენთან დასაკავშირებლადო. დეპეშა მიუტანიათ, მაგრამ მავთული ან-

გორასა და ტრაპიზუნდს შორის გაწყვეტილიაო. დაყვავით ტელეგრაფში სამი საათი ამოდ. დაგვირდნენ, გავასწორებთ და გავიგებთ, მივიდა თუ არა ვინმე ხონსო.

დღეს, როგორც ყოველ პარასკევს, ბევრი მოსეირნეა ქუჩებში, განსაკუთრებით ცხენებით მოსეირნენი. თურქებს ძალიან უყვარათ ცხენით სეირნობა. მართალია, მათი ცხენები პატარა არიან, მაგრამ კარგი და მშვენიერი ტანისა, ასე გვეჩვენება ჩვენებური ცხენების შემდეგ. მაგრამ ამგვარი ცუდი ცხენოსანნი, როგორც თურქები არიან, არსად მინახავს. არამც თუ მხოლოდ უბრალონი, არამედ მხედარნიც, ამ სამი თვის განმავლობაში ვნახე შეიძლება ოცი კაცი. ვისაც ცხენი ნაბიჯით მიჰყავდა. ხუთიოდეს — თოხარკით, რომელთაგან მხოლოდ ერთი ამსუბუქებდა ცხენს. დანარჩენები კი, ოფიცრები და ჯარისკაცები, როგორც ლოდები აგდიან ცხენზე და ისე მიჰყენებენ.

სვ. მდივანს სურდა გავგზავნა დეპეშა აკაკი ჩხენკელისათვის პარიზში და ამიტომ გამგზავნა მუხთარ-ბეისთან. იგი, როგორც იქნა ვნახე შინ, საღამოს ათ საათზე. მან მითხრა, დღესვე მივცემ განკარგულებას, მიიღონ თქვენი დეპეშა გადასაგზავნათო. აკრძალულია ევროპაში დეპეშის გაგზავნა. დეპეშა მან თვითონ დაიტოვა; ხვალ დილით ადრე, 9 საათზე, მე თვითონ გავგზავნიო.

ხვალ მომიხდება ფოსტაში შესვლა იმის გასაგებად, მართლა გაიგზავნა დეპეშა თუ არა. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებზე დანდობა ძალიან ძნელია. რა ვქნათ, მითხრა მან: კონსტანტინოპოლი ინგლისელების ხელში არისო... და თან იღიმებოდა...

19 მ ა რ ტ ი.

რამდენჯერმე მომიხდა ფოსტაში მისვლა, აგრეთვე სამინისტროში. მოხდა ასეთი კომბინაცია. სამინისტრო ამბობს: დეპეშა ფოსტას გადავეცითო. მე თვითონ ტელეგრაფისტთან ერთად გადავსინჯე დღეს მიტანილი დეპეშები და მათ შორის ჩვენი დეპეშა არ აღმოჩნდა. ტელეგრაფის კონტორის უფროსი ამბობს: კიდევ მოვიკითხავთ და გაუწყებთო. მაგრამ მაინც არაფერი შეგვატყობინა! ცხადია, არ სურთ ჩვენი დეპეშის გაგზავნა. იქნებ, ფიქრობენ, ჩვენ ვაცნობებთ რაიმეს მოკავშირეებს ან ჩვენთანებს — და ეს უბრალო საშუალება არის: თავიდან მოგვიცილონ. სვ. მდივანი სწერდა ავ. ჩხენკელს, აუხსენით ბრიანს: ფრანგები ნუ ედავებიან თურქებს უბრალო რამეების შესახებ, რადგან ამით დაზიანდება მხოლოდ კავკასია და განვითარდება — გაფართოვდება ბოლშევიზმიო. ხონს მაინც ვერ შევუერთდით, მავთული გაფუჭებული არისო. ყოველ შემთხვევაში ასე ვკეუბნებოდა.



ვინაიდან აქ ცხოვრება მეტისმეტად ძვირია, ჩვენს ფულზე ანგარიშით დღიურად მილიონები გვეხარჯება მისიის შესახებ, გადაწყვეტით წავიდეთ ბათუმს და აქ დავტოვოთ ერთი ან ორი კაცი.

დღეს პირველად დავინახე ბუღუ მდივანი. ცხენზე იჯდა. აქ ბოლშევიკებმა ცხენები იყიდეს. დიდი ფული მისცეს. ახლა დასერიანობენ. შემდეგ დავინახე მისიის ახალგაზრდა წევრები, შოსეს მოედანთან, „ლაბტას“ თამაშობდნენ.

დღეს ბიულეტენში მოთავსებულია დეპეშა სომხეთის გამათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის ვრაციანისა მუსტაფა ქემალ-ფაშასადმი. დეპეშაში ვრაციანი წერს: სომხეთის ხალხმა ჩამოაგდო თავის ქვეყანაში ბოლშევიკები. — მას სურს იცხოვროს დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებით და ბოლშევიკებს არასოდეს არ მისცემს საშუალებას სომხეთში გავრცელდესო. სომხეთის ხალხს სურს აღადგინოს მეგობრული დამოკიდებულება მეზობლებთან, პირველ ყოვლისა თურქეთთან. იგი მიესალმება ეროვნული ყრილობის სახით მთელ თურქეთის ხალხს.

რამდენადაც ჩანს, ლონდონის კონფერენციაზე მიიღეს ალექსანდროპოლის ხელშეკრულება. გაზეთებში კი მუდმივი ჩივილია ბერძნების სიმკაცრეზე და ცნობებია ფრანგებთან შეტაკების შესახებ. გაუგებარია.

ფრანგებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ თურქები და ამავე დროს იარაღითაც ებრძვიან იქ სომხებს, რომელთაც აცვიათ ფრანგული ფორმა და ფრანგებთან ერთად არიან ჯარში. უფრო უცნაურია თურქების დამოკიდებულება იტალიელებთან. ოფიციალურად მათ შორის ომის მდგომარეობაა. სინამდვილეში კი იტალიელები ფრანგებს ეხმარებიან იარაღის მიწოდებით. 18 მარტის „ჰაკიეთე მილეტიში“ გარჩეულია სულთანის დეპეშა თეფფიკ-ფაშასადმი ლონდონში. სულთანის მიერ გასულ წელს სევრის ხელშეკრულების მიღება იყო შეცდომა, დაბნევა. ეს ხომ ახლა ცხადიაო. შემდეგ, ბიულეტენში მოთავსებულია უიარაღო ნოტა ბუღუ მდივანისა, ნომერი 78. ამბობენ, ბუღუ მდივანი ქალაქში ხშირად დადის თავზე ფესკითო.

20 მ ა რ ტ ი.

დღეს გავიგეთ ფინანსთა მინისტრისაგან, რომ 17 მარტს ჩვენი მთავრობა წავიდა კონსტანტინოპოლს და 19 მარტს ბათუმში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება და შევიდა შიგ საბჭოთა ბატალიონიო. მუხთარ-ბეი ამბობს, თითქოს იგი ჩვენ ჩავაყენეთ მძიმე მდგომარეობაში: ჯერ სანამ თურქებს თავისი საქმე არ მოუგვარებიათ დასავლეთში, მათ არ შეუძლიათ აღმოსავლეთით ფლავი მოხარშონ და ამიტომ იძულებული ვართ ბათუმში დავცალოთო. სვ. მდივანი. გენერალი ერისთავი, ქარცივაძე და შიკრიკი მახიაშვილი კონსტანტინოპოლს მიემგზავრებიან. ვრჩებით აქ ჭუმბაძე და მე. ისინი მი-

დიან მუხთარ-ბეის რჩევით, ვითომ შვებულებაში, იწყება არასასიამოვნო თავგადასავალი, ფორმის გახდა და სხვა. თურქები მუხთარ-ბენ, როცა სვ. მდივანმა უთხრა მათ: მსურს ჩვენი ვალის ანგარიშში ავტომობილები დაგიტოვოთო. მუხთარ-ბეიმ უპასუხა, ფულზე ლაპარაკიც არ ღირსო. რაც შეეხება ავტომობილებს, თუ ბოლშევიკები მათზე თავის უფლებას განაცხადებენ, მაშინ თქვენ შეინახავთო.

ამ უკანასკნელ დროში ნერვები ისე დაჩლუნგდა და ისე მივეჩვიეთ ყოველგვარ თავზარს, რომ ამ ბოლო ცნობამ უფრო ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, ვიდრე იმ ცნობამ, როცა გავიგეთ, ბოლშევიკები თბილისს უახლოვდებიანო. გაზეთების ცნობით, ჩვენი ფრონტი ოზურგეთთანაა (სამტრედიასთან?). ალბათ, დაგვიანებული ცნობაა. მრავალი ლტოლვილი არისო ხონში და ტრაპეზუნდში...

ყველაფერი კარგად იქნება. ოღონდ რწმენამ იცოცხლოს...

ანგორა, 20 მარტი, 1921 წ.

გიორგი ცმიტოშვილი

შალიმან ბიჭაძე

მოკრძალებული მსახურნი

საპარტიველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალი „თეატრალური მოამბე“, 1956 წლიდან გამოდის. ჟურნალს ამავე კავშირის სტამბა ემსახურებოდა. შარშანდღამდე ჟურნალი გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ, წელს პერიოდულობა შეიცვალა, იგი ყოველთვიური გახდა. შეიცვალა სახელწოდებაც, ამიერიდან მას ცნობილი საზოგადო მოღვაწის, იოსებ იმედაშვილის მიერ დაარსებული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ (1910—1926 წ. წ.) სახელწოდება მიენიჭა. პერიოდულობის შეცვლამ, ბუნებრივია, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბას შრომა გაუორკვეცა.

ჟურნალის არსებობის მანძილზე, მის შექმნაში მრავალმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დღეს სტამბაში ყველა თაობის ადამიანი მუშაობს. უფროს თაობას ჟურნალის არსებობის პირველი წლებიც ახსოვს. ახალგაზრდები მათ გვერდით შრომობენ და უფროსი თაობის წარმომადგენლები გამოცდილებას უზიარებენ მათ.

რედაქციიდან სტამბაში გაგზავნილი მასალები ლინოტიპისტების ხელში ხვდება. ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ მასალების აწყობას, თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბაში ახალგაზრდა ლინოტიპისტები ნინო დემურშიშვილი და ეკა

აბუთიძე ემსახურებიან. სწორედ მათი შრომის წყალობით, წინასწარ განსაზღვრული შრიფტით, მასალები სვეტებში ეწყობა. კორექტურის შემდეგ, ჩასწორებულ ადგილებს ისინი თავიდან ჩამოასხამენ ხოლმე.



ლინოტიპისტების მიერ სვეტებში აწყობილი მასალებით იქმნება ჟურნალის მკაცრი, რომლის მიხედვითაც დამკაბადონებელი ზინა ბეღელური ვკერდებოდა კრავს ჟურნალს. ქალბატონი ზინა კარგა ხანია სტამბაში მუშაობს, მის ხელში ჟურნალის არაერთ ნომერს გაუვლია. მისი პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა და დაკისრებული საქმისადმი კეთილსინდისიერი დოკიდებულება, მართლაც, შესაშურია. მეტად მომთხვენი და უკომპრომისოა, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. ქალბატონი ზინა, საჭიროებისამებრ, მკაცრიც არის და გულსხმიერიც.



ნ. დემურიშვილი



ე. აბუთიძე



ზ. ბეღელური



დაკაბადონების, კორექტურის შემდეგ ჟურნალი საბეჭდ დაზგაზე აღის და მთლიანი ტირაჟი იბეჭდება. ამ მეტად შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს ერთი ადამიანი — დარეჯან ხარატიშვილი უძღვება. ახალგაზრდა ქალისათვის საბეჭდ დაზგასთან მუშაობა არც ისე იოლი საქმეა. თუ სტამბის მეტად მწირ ტექნიკურ აღჭურვილობასაც გავითვალისწინებთ, კიდევ უფრო ნათელი გახდება დარეჯან ხარატიშვილის შრომის ფასი. ჩვენებურ ტექნიკასთან მუშაობა ხომ არაადამიანურ ნებისყოფას და გამძლეობას მოითხოვს. სწორედ დარეჯანის მუხლჩაუხრელი შრომის, მონდიმების შედეგად იბეჭდება ჟურნალის სრული ტირაჟი.

დაბეჭდილი ჟურნალი იყვება და მსტოვანი მკანძავის ლევან არუთინოვის ხელში გადადის. ბატონი ლევანი დიდი ხანია თეატრის მოღვაწეთა სტამბას ემსახურება. მის მიერ არაერთი წიგნი თუ ჟურნალის ნომერია მკვლად შეკრული, სამედოდ აკინძული და გარეკანში ლაზათიანად ჩასმული. ჟურნალი „ოეტრა და ცხოვრება“ თავისი „დაბადების“ რთულ, ხანგრძლივ პროცესს სწო-



რედ მის ხელში ასრულებს. ლევან არუთინოვი ჭრის, ასწორებს და შემდეგ კინძავს მას. აკინძვა-შეკვრის პროცესი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბაში, სწორედ ხელით ხდება (ისევე და ისევე ტექნიკური ილუზორილობის არასრულყოფილების გამო). ამ მეტად მძიმე, არაადამიანურ საქმეს ბატონი ლევანი მართლმართო ასრულებს. ტექნიკის გარეშე, ადამიანის ხელით ჟურნალის შეკერვა თუ რას ნიშნავს, ამაზე ლევან არუთინოვის დაყოფილი, დაჩხვლეტილი, დასიებული ხელები მეტყველებენ. ყოველივე ამის შემდეგ კი ჩამოჭრილ, აკინძულ-შეკერილი ჟურნალი, ლ. არუთინოვის მიერ გარეკანში მკვიდრად და ლაზათიანად ისმება.

საამქროს უფროსი გიორგი არჩვაძე მეტად გულისხმიერი, პატიოსანი ადამიანი, საკუთარი საქმის კარგი მცოდნეა. მას ისედაც ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ჟურ-



ლ. არუთინოვი

ლ. ხარტიშვილი

გ. კრიჭაშვილი

ნალს არასოდეს ტოვებს უყურადღებოდ და ხშირად, საქმის საკეთილდღეოდ, არც შავი სამუშაოს შესრულებას თაკილობს. ჟურნალისადმი არანაკლებ თანადგომასა და გულისხმიერებას იჩენს ქაღალდის დამამუშავებელი უზნის უფროსი გია კრიჭაშვილი.

სტამბის დირექტორი ტრისტან სილამონიძე კარგა ხანია პოლიგრაფიაში მოღვაწეობს, ამ დარგის ყოველ წვრალმანს საფუძვლიანად იცნობს. ბატონი ტრისტანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჟურნალს. „თეატრი და ცხოვრების“ სტამბაში მოხვედრისთანავე, მთელი ყურადღება მის აწყობა-დაბეჭდვაზე გადააქვს, რითაც, ვარდა ტექნიკური მიზეზებისა, ჟურნალის ბეჭდვის შეყოვნება პრაქტიკულად, თითქმის არ ხდება. თავად ბატონი ტრისტანიც არაერთჯერის ამოდგომია მხარში რედაქციის მუშაკებს და ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაზგაზე ასული ჟურნალის ზოგიერთი ფორმის კორექტურა-შეღარება თავად გაუკეთებია.



მუშედავად ყველანაირი დეფიციტისა, სტამბის მეტად მარტოვი ტექნიკური აღჭურვილობისა, ბატონი ტრისტანის, ბატონი გიორგისა და მთელი კოლექტივის ერთგული ანა ძალისხმევით, მონდომებით, სტამბა მთელი დატვირთვით მუშაობს და თითქმის შეუძლებელს ახერხებს. მათზე დაკისრებულ მოვალეობას ისინი პირნათლად ასრულებენ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, არადა, სათქმელი მრავლადაა აქვთ. წარმოუდგენლად დაბალი ხარისხისაა დაზგა-მოწყობილობები, რის გამოც მათი შრომა კიდევ უფრო მძიმე ხდება. ამას თან ერთვის ყველანაირი დეფიციტი — ლითონის, საღებავის და სხვა. არც სამუშაო პირობებია შესაბამისი. განა შეიძლება სტამბის



გ. არჩვაძე.



ტ. სიღამონიძე

მუშებს მომქანცელი სამუშაო დღის შემდეგ, შხაპის მიღების ელემენტარული შესაძლებლობა არ ჰქონდეთ? საღებავი ხომ უნდა ჩამოირეცხონ? არც ცივი და ცხელი წყალი უნდა ჰქონდეთ სანატრელი. ისინი ხომ არც ხელფასებით არიან განებივრებულნი.

ჟურნალი დასაბუქდად მზად იყო, როცა მოვიდა ცნობა საამქროს უფროსის გიორგი არჩვაძის გარდაცვალების თაობაზე.

სომ კავშირის სტამბამ დაკარგა ერთგული მუშაკი, კეთილშობილი ადამიანი.

თსკან უაილდი

ს ა ლ მ მ ა

დრამა



თანგუანი ბნობულ ნოტაჰიისა



მომკამლნი პირნი:

პეროდე ანტია — ტეტრარქი იუდეასი.
იოქანან — წინასწარმეტყველი.
ახალგაზრდა სირიელი — მცველთა

უფროსი.

ტიკელდინ — ახალგაზრდა რომელი.
კაპპადოკიელი.

ნუბიელი.

პირველი მეომარი.

მეორე მეომარი.

პეროდიას პაჟი.

იუდეველი, ნაზარეველი და სხვ.
მონა.

ნამან — ჭალათი.

პეროდია — ცოლი ტეტრარქისა.

სალომე — ქალიშვილი პეროდიასი.

ქალნი — მონანი სალომესა.

დიდი ტერასა პეროდეს სასახლეში სა-
წიგნო ზალასთან მიჯრილი. რამოდენიმე
მეომარი დგას მოაჯირზე დაყრდნობით.
პირისპირ: დიდა კიბე. მარცხნივ, შუა-
გულში ძველი ჭა მწვანე ბრინჯაოს გა-
ლაენით. მთვარის სინათლე.

ახალგაზრდა სირიელი. ჰოი! რა
ლამაზია დღეს საღამოს მეფის ასული სა-
ლომე!

პეროდიას პაჟი. შეხედეთ მთვა-
რებს. მთვარეს უცნაური სახე, მეტათ უც-
ნაური სახე აქვს. იგი თითქო ქალია, საფ-
ლაგიდან რომ ამოდის. იგი გავს კვდარ
ქალს. შესაძლოა იფიქრო: იგი ეძებს
კვდარებს.

ახალგაზრდა სირიელი. მას მე-
ტად უცნაური სახე აქვს. იგი გავს მე-
ფის ასულს პატარას, ყვითელის სახურით,
რომელსაც ვეცხლის ფეხები აქვს. იგი
გავს მეფის ასულს, რომელსაც ფეხები
ისეთი აქვს, როგორც პატარა მოთეთრო
მტრედუნებს. შესაძლოა იფიქრო: იგი
ცმკავს.

პეროდიას პაჟი. იგი: როგორც
კვდარი ქალი. იგი ძალიან ნელა მოძრა-
ობს. (ხმაური საწიგნო ზალაში).

პირველი მეომარი. რა ხმაურმა
რომელი მხეცები ღმუიანი!
მეორე მეომარი. იუდეველი. ისი-
ნი ყოველთვის ასე: ისინი დავობენ თა-
ვის რწმენისათვის.

პირველი მეომარი. რისთვის და-
ვობენ ისინი თავის რწმენისათვის?

მეორე მეომარი. მე არ ვიცი. ისი-
ნი ყოველთვის დავობენ... ფარისეველი
მაგალითად, ამტკიცებენ, რომ არსებობენ
ანგელოსნი, სადღუკველნი კი ამბობენ,
რომ ანგელოსნი არ არსებობენ.

პირველი მეომარი. მე მგონია, სა-
საცილოა დავა ასეთ რამეებზე.

ახალგაზრდა სირიელი. ჰოი! რა
ლამაზია დღეს მეფის ასული სალომე!

პეროდიას პაჟი. თქვენ მუდამ
უცქერით მას, თქვენ ძალზე მეტათ უცქე-
რით მას. არ უნდა უცქირო ასე ადამი-
ანს... შესაძლოა, მოხდეს უბედურება.
ახალგაზრდა სირიელი. იგი ძა-
ლიან ლამაზია დღეს საღამოს.

პირველი მეომარი. ტეტრარქს
ბნელი სახე აქვს.

მეორე მეომარი. დიახ: მას ბნელი
სახე აქვს.

პირველი მეომარი. ის რაღაცას
უცქერის.

მეორე მეომარი. იგი ვილაცან უც-
ქერის.

პირველი მეომარი. ვის უცქერის
იგი?

მეორე მეომარი. მე არ ვიცი.

ახალგაზრდა სირიელი. რა
მერთალია მეფის ასული! მე არაოდეს არ
მინახავს იგი ასეთი მერთალი. იგი გავს
თეთრი ვარდის სახულს სარკეში ეცეხ-
ლისა.

პეროდიას პაჟი. არ უნდა უცქი-
რო მას. თქვენ ძალზე მეტად უცქერით
მას.

პირველი მეომარი. პეროდია
ღვინო დაუსხა ტეტრარქს.

კაპპადოკიელი. ეს — დედოფა-
ლი პეროდია არის, აი, ის, რომელსაც

თავზე შავი შიტრა აქვს მარგალიტებით
მოზნეული და რუმლის თმები ცისფერ
მოპუღრულნია?

პირველი მეომარი. დიახ: იგი
ჭეროლია. იგი ცოლია ტეტრარქისა.

მეორე მეომარი. ტეტრარქს ძა-
ლიან უყვარს ღვინო. მას სამნაირი ღვი-
ნო აქვს. ერთი — სამოთრაკიის კუნძუ-
ლიდან, მეწამული, როგორც მოლი კეი-
სარის.

კაპპადოკიელი. მე არაოდეს არ
მინახავს კეისარი.

მეორე მეომარი. მეორე — კიპ-
რის ქალაქიდან: იგი ყვითელია, როგორც
ოქრო.

კაპპადოკიელი. მე ძალიან მიყვარს
ოქრო.

მეორე მეომარი. მესამე კი —
სიცილიისა. ეს ღვინო წითელია, როგორც
სისხლი.

ნუბიელი. ჩემი მხარის ღმერთებს
სისხლი ძალიან უყვართ. წელში ორჯელ
ჩვენ მათთან მიგვეყვს მხვევრპლათ ყმაწ-
ვილები და ქალწულები: ორმოც-და-ათი
ყმაწვილი და ასი ქალწული. მაგრამ, სა-
გონებელია, ჩვენ არაოდეს არ ვაძლევთ
მათ საქმათ, რადგან ისინი ძალიან სას-
ტიკნი არიან ჩვენდა მომართ.

კაპპადოკიელი. ჩემს მხარეში ახლა
ღმერთები აღარ არიან, — ისინი გაყარეს
რომაელებმა. ზოგიერთნი ამბობენ: ისინი
დღამდღენ მთებში, — მაგრამ მე ამას არ
ვუჭერი. მე სამი დღე დავაუვი მთებში და
ვეძებდი მათ ყოველგან. მე ისინი ვერ
ვნახე. ბოლოს: მე უზმოზდი მათ სახელე-
ბით, მაგრამ ისინი არ გამოჩნდნენ. მე ვფიქ-
რობ: ისინი მოკვდნენ.

პირველი მეომარი. იუდეველნი
თაყვანსა სცემენ ღმერთსა, რომელის ხილ-
ვა შეუძლია.

კაპპადოკიელი. მე არ შემძლია
გავიგო.

პირველი მეომარი. საერთოდ:
მათ სწამთ მხოლოდ ის, რისი ხილვაც
შეუძლებელია.

კაპპადოკიელი. მე ეს სასაცილოდ
მეჩვენება, სწორეთ.

ხმა იოქანანის. ჩემს შემდეგ
მოვა სხვა, ჩემზე უფრო ძლევამოსილი.
მე არა ვარ იმის ღირსიცი კი, რომ თას-
მები გაღუხსნა მის ქალამნებს. როცა მო-
ვა იგი, ილტინებს უდაბნო: ის აყვავილ-
დება, როგორც შროშანა. თვალნი ბრმა-
თა იხილვენ დღესა და გაიხსნებიან ყურ-
ნი ყრუთა... ახლად შობილი ხელს და-
ადებს ბუნავს ვეშაპებისსა და ფაფარე-
ბათ წაყვანას ლომებს.

მეორე მეომარი. დააჩუმეთ იგი.
ის უოველთვის სისულელეს რომავს.

პირველი მეომარი. არა: იგი
წმინდა კაცია. გარდა ამისა, იგი მშვილია
ფრიად. და უოველდღე მიმაქვს მე მას-
თან საქმელი. იგი უოველთვის მადლობას
მიხდის.

კაპპადოკიელი. ვინ არის იგი?

პირველი მეომარი. იგი წინას-
წარმეტყველია.

კაპპადოკიელი. რა ჰქვია მას?

პირველი მეომარი. იოქანან.

კაპპადოკიელი. საიდან არის იგი?
პირველი მეომარი. უდაბნოსა-
გან, საცა იგი იკვებებოდა კალიებთა და
ველური თაფლით. მას ტანზე ჰქონდა
საცმელი აქლემის მატყლისაგან და წელ-
ზე ტყავის სარტყელი. იგი ველურად გა-
მოიხედებოდა. დიდი ბრბო მიჰყვებოდა
მას. მას მოსწავლენიც კი ჰყავდა.

კაპპადოკიელი. რაზე ლაპარაკობს
იგი?

პირველი მეომარი. ჩვენ არ ვი-
ცით არაოდეს. ხანდახან იგი საშინელს
რამეს ლაპარაკობს, მაგრამ შეუძლებელია
მისი გაგება.

კაპპადოკიელი. შესაძლოა მისი
ნახვა?

პირველი მეომარი. არა. ტეტრარ-
ქი არ იძლევა ნებას.

ახალგაზრდა სირიელი. მეფის
ასულმა სახე თავისი მარაოთი დაფარა!
მისი პატარა ხელები მოძრაობენ, რო-

გორც მტრედუნები, რომლებიც თავის სამტრედეში მიფრინავენ. ისინი გვანან თეთრ პეკლებს: ისინი სრულიად თეთრი პეკლებია.

ჭეროდის პატი. მაგრამ თქვენ რა გინდათ? რა საჭიროა მისი ცქერა? არ უნდა უცქირო მას... შესაძლოა, მოხდეს უბედურება.

კაპპადოკიელი. (უჩვენებს ქას). რა უცნაური საპატიმროა!

მეორე მეომარი. ეს ძველი ჭაა. კაპპადოკიელი. ძველი ჭა ეს უთუოდ ძალიან მავნე უნდა იყოს.

მეორე მეომარი. არა, აი, მაგალითად, ტეტრარქის ძმა, მისი უფროსი ძმა, პირველი ქმარი დედოფალი ჰეროდეასი, დამწყვედული იყო იქ მთელი თორმეტი წელი. და ის არ მომკვდარა აწით. ბოლოს მოხდა ისე, რომ იგი გაუღდეს.

კაპპადოკიელი. გაუღდეს იგი? ვინ გაბედა ამის ჩადენა?

მეორე მეომარი (უჩვენებს ჯალთს, დიდს ზანგს). აი, მან, ნამამნმა.

კაპპადოკიელი. და ამას არ ეშინოდა?

მეორე მეომარი. არა, ტეტრარქმა გაუგზავნა მას ბეჭედი.

კაპპადოკიელი. რა ბეჭედი?

მეორე მეომარი. ბეჭედი სიკვდილის. მისთვის არ ეშინოდა მას.

კაპპადოკიელი. მაინც საშინელია შეფის გაუღდა.

პირველი მეომარი. რატომ? შეფებზე ისეთივე ყელი აქვთ, როგორც სხვებს.

კაპპადოკიელი. მე მეჩვენება: ეს საშინელია.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას შეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დაახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას შეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დაახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას შეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დაახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას შეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დაახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ახალგაზდა სირიელი. მეფის ასული დგება! იგი სცილდება სუფრას. მას შეტად მოწყენილი სახე აქვს. აჰ! ის აქ მოდის. დაახ: ის ჩვენთან მოდის. რა მკრთალია იგი! მე არაოდეს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ჭეროდის პატი. ნუ უმზერთ მას! გთხოვთ თქვენ: ნუ უმზერთ მას.

ახალგაზდა სირიელი. იგი თითქო მტრედუნაა, რომელიც დაიბნა.

იგი თითქო ნარგისია, ქარით რჩეული. იგი გავს ვეცხლეულ ყვავილს.

(შემოდის სალომე).

სალომე. მე იქ არ დავრჩები. მე არ შემიძლია იქ დარჩენა. რათ მიცქერის ტეტრარქი სულ თავის მუდოს თვალე-

ბით აფრიალებულ ქუთუთოებიდან?.. უცნაურია, რომ დედი ჩემის ქმარი ასე მი-

ცქერის... მე არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ეს... მაგრამ... მე ვიცი ეს...

ახალგაზდა სირიელი. თქვენ მიატოვეთ ლხინი, შევიხსნა ასული?

სალომე. რა გრჩილი ჰერია აქ! აქ შესაძლოა სუნთქვა. აქ, შიგნით იუდე-

ველნია იერუსალიმიდან, რომელნიც ერ-

თიმეორეს ჰგლეჯენ თავის სულელურ წე-

სებისათვის, და ბარბაროსნი, რომელნიც სულ სვამენ და ღვინოს ღვრიან იატაკის

ფეკლებზე, და ჰელლენები სმირნიდგან, შეფერილი თვალეებით და ლოყებით და

რგოლებათ დახვეული თმებით, და ეგვიპტელები, მდუმარნი და ცბიერნი, ნეფ-

რიტის ფჩხილებით და ყუვისფერი მო-

ლებით, და რომელები, მათი სიტლანქით, სიმძიმით და გნებებით! ოჰ, როგორ მძულს

მე რომელები! ისინი უბრალონი არიან და თავი დიდ ბატონებათ შოაქვთ.

ახალგაზდა სირიელი. გნებავთ დასჯდეთ, მეფის ასული?

ჭეროდის პატი. რათ უნდა ელაპარაკო მას? რათ უნდა უმზირო მას?..

ჰო, მოხდება უბედურება.

სალომე. რა საამუროა მთვარის ხილვა. იგი გავს პატარა მონეტას. შესაძლოა

ფიქრო: ის სულ პატარა ვეცხლეული ყვავილია. იგი ცივია და უმანკო, მთვარე..

მე მჭერა, რომ იგი ქალწულია: მისი სილამაზე ქალწულისაა. დაახ: ის ქალწულია. მას არაოდეს არ შეურყვნია თავი.

იგი არაოდეს არ დანებებია ვაუებს, როგორც სხვანი ღმერთ-ქალნი.



სმა იოქანაანის. იგი მოვიდა, უფალი! იგი მოვიდა, ძე კაცისა. კენტავრები მდინარეებში მიიშლენ, სირენებმა მდინარენი მიატოვეს და იფარებიან ფოთლებთა შორის ტყეებში.

სალომე. ვინ წამოიყვია ეს?

მეორე მეომარი. ეს წინასწარმეტყველია, მეფის ასულო.

სალომე. ა! წინასწარმეტყველი, რომლისაც ტეტრარქს ეშინია?

მეორე მეომარი. ჩვენ არა ვიცით რა ამის, მეფის ასულო. იგი წინასწარმეტყველია იოქანაანს.

ახალგაზდა სირიელი. გნებავთ, მეფის ასულო, ვუბანო, რომ მოგართვან თქვენი მუაბა? ბაღში სასიამოვნოა.

სალომე. ის ღაპარაკობს ჩემს დედაზე საშინელს, არა?

მეორე მეომარი. ჩვენ არასდროს არ გვესმის, რასაც იგი ღაპარაკობს, მეფის ასულო.

სალომე. დიახ: იგი მასზე საშინელს ღაპარაკობს.

მონა. მეფის ასულო, ტეტრარქი გთხოვთ, დაუბრუნდეთ ღზინს.

სალომე. მე იქ არ დავბრუნდები.

ახალგაზდა სირიელი. მამატივით, მეფის ასულო,—მაგრამ თქვენ თუ არ დაბრუნდით, შესაძლოა მოხდეს უბედურება.

სალომე. იგი მოხუცია, ის წინასწარმეტყველი?

ახალგაზდა სირიელი. არა, მეფის ასულო, იგი სრულიად უმანკილია.

მეორე მეომარი. არავეინ იცის. ზოგიერთნი ამბობენ, რომ იგი ილიაა.

სალომე. ვინ არის ილია?

მეორე მეომარი. უძველესი წინასწარმეტყველი ამ მხარისა, მეფის ასულო.

მონა. რა პასუხი გადავსცე ტეტრარქს მეფის ასულის სახელით.

სმა იოქანაანის. ნუ გაიხარებ, მიწაო პალესტინისაც, რომ შოლტი მისა, ვინცა გშოლტავდა, გადამტერეულია. რა-

მეთუ გველის გვარისაგან ამოვალს ვასილისკი, და ის, რაიც მისგან იშვების, გადაულაპავს ფრინველებს.

სალომე. რა უცნაური სმამ მე მოვისურვებდი მასთან ღაპარაკს.

პირველი მეომარი. მე მეშინია, რომ ეს შეუძლებელია, მეფის ასულო. ტეტრარქს არ უნდა, რომ მას ღაპარაკონ. მან მღვდელმთავარსაც კი აუტრძაღლა მასთან ღაპარაკი.

სალომე. მე მინდა მასთან ღაპარაკი.

პირველი მეომარი. ეს შეუძლებელია, მეფის ასულო.

სალომე. მე მინდა.

ახალგაზდა სირიელი. მართლაც, მეფის ასულო, უმჯობესია ღზინში დაბრუნება.

სალომე. გამოიყვანეთ წინასწარმეტყველი.

პირველი მეომარი. ჩვენ ვერ გავბედავთ, მეფის ასულო.

სალომე (უახლოვდება ქის და შიგ ჩააქვრდება). როგორ ბნელა იქ. უთუოდ საშინელი უნდა იყოს ჭღომა ასეთს ბნელს ჭურღმულში. ეს საფლავს მგავს. (მეომარებს.) თქვენ არ გსმენიათ? გამოიყვანეთ იგი! მე მინდა ვიხილო იგი.

მეორე მეომარი. მე გთხოვთ თქვენ, მეფის ასულო, ნუ მოითხოვთ ამას ჩვენგან.

სალომე. თქვენ მაიძულებთ მე ღზინს.

პირველი მეომარი. მეფის ასულო, ჩვენი სიცოცხლენი თქვენ გაკუთვნიან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ავახრულოთ ის, რასაც თქვენ ჩვენგან მოითხოვთ... და ესტე: არა ჩვენ უნდა მოგვმართოთ თქვენ.

სალომე (უქვერს ახალგაზდა სირიელს). ა!

პეტროლიას პაეი. ო! რა მოხდება ახლა? დარწმუნებული ვარ, რომ უბედურება მოხდება.

სალომე (უახლოვდება ახალგაზდა სირიელს). თქვენ იზამთ ამას ჩემთვის, ნარ-

რაბოთ? თქვენ იზამთ ამას ჩემთვის. მე ყოველთვის კეთილი ვიყავი თქვენთვის. თქვენ მართლა იზამთ ხომ ამას ჩემთვის? მე მინდა მხოლოდ შევხედო ამ უცნაურ წინასწარმეტყველს. მასზე ამდენს ლაპარაკობდნენ. მე ასე ძალიან ხშირად მსმენია, როგორ ლაპარაკობდა მასზე ტეტრარქი. მე ვფიქრობ, რომ მისი ეშინია მას, ტეტრარქს. მე მჯერა, რომ მას ეშინია მისი... შეიძლება თქვენც, ნარრაბოთ, შეიძლება თქვენც გეშინიათ მისი?

ახალგაზღდა სირიელი. მე არ მეშინია მისი, მეფის ასულს. მე არავის არ მეშინია. მაგრამ ტეტრარქმა სასტიკად აკრძალა ამ ქვის თავის გადახდა.

სალომე. ჩემთვის იზამთ ამას, ნარრაბოთ, და ხვალ, როცა მე მუაბით გამატარებენ ალაჟაფის კარებში, საცა კერპების მოვაკრენი არიან, მე დავაგდებ თქვენთვის პატარა ყვავილს, პატარა მწვანე ყვავილს.

ახალგაზღდა სირიელი. მეფის ასულს, მე არ შემიძლია, არ შემიძლია. სალომე (იღიმება). თქვენ ამას ჩემთვის იზამთ, ნარრაბოთ. თქვენ ხომ იცით, რომ ჩემთვის იზამთ ამას და ხვალ, როცა მე მუაბით ხილზე გამატარებენ, საცა მყიდველები არიან კერპებისა, მე გადმოგხედავთ თქვენ თხელი ქსოვილის სახურიდან, მე შემოგხედავთ თქვენ, ნარრაბოთ, მე, შესაძლოა, კიდევ გავიღიმოთ თქვენ. შემომხედეთ, ნარრაბოთ, შემხედეთ მე! ა! თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ იზამთ მას, რასაც მე გთხოვთ თქვენ. თქვენ ეს კარგად იცით ხომ, — არა? მე, მე ეს კარგად ვიცი.

ახალგაზღდა სირიელი (ნიშნის აღღევს მესამე მეომარს). გამოიყვანეთ წინასწარმეტყველი... მეფის ასულს უნდა იმის ნახვა...

სალომე. ა! ჰეროდისას პაჟი. ო! რა უცნაური სახე აქვს მთვარეს. შესაძლოა იფიქრო: იგი ხელია კვდარის, რომელსაც სურს მოიხუროს სულარი.

ახალგაზღდა სირიელი. ძალიან უცნაური სახე აქვს მას. შესაძლოა იფიქრო: იგი პატარა მეფის ასულია, თვალეზობით ქარვისაგან. ღრუბელთა თხელ მარშაშიდან იგი იღიმება, როგორც პატარა მეფის ასული.

(წინასწარმეტყველი ამოდის ჰიდგან, სალომე შეხედავს მას და უკან დაიხეცს). იოქანაან. სად არის იგი, ბილწის თასი, რომელისა უკვე ავსებულა? სად არის იგი, რომელიც ერთხელ ვეცხლის ტანსაცმელში მოკვდება მთელი ხალხის წინაშე. უთხარით მას, რომ მოვიდეს იგი, რათა მას შეეძლოს ისმინოს ხმა მისი, ვინცა უზმობდა მეფეთა უდაბნოებში და სახალებებში.

სალომე. ვიზე ლაპარაკობს იგი? ახალგაზღდა სირიელი. არავინ არ იცის არაოდეს, მეფის ასულს.

იოქანაან. სად არის იგი, რომელმაც, რა იხილა ვაუები, კედელზე ახატულები, ქალდეველთა სახენი, ფერებით ახატულები, თავი მისცა თვალთა სურვას და ელჩები გაგზავნა ქალდეაში.

სალომე. ამას იგი ჩემს დედაზე ლაპარაკობს!

ახალგაზღდა სირიელი. ო, არა, მეფის ასულს.

სალომე. დიას: ამას ჩემს დედაზე ლაპარაკობს.

იოქანაან. სად არის იგი, ვინც ხავენბოდ ნებდებოდა ასურელთა სარდალებს, რომელთა წელზე სარტყელი აქვთ და თავზე მრავალფეროვანი ხოირი? სად არის იგი, ვინც ხავენბოდ ნებდებოდა ეგვიპტის ყმაწვილებს, რომელნიც ჩაცმულნი არიან ტილოსი და მეწამულში, რომელნიც ატარებენ ლახტებსა და ვეცხლის ჩაფხუტებს და რომელნიც დიდნი არიან ტანითა? უთხარით მას, რომ წამოდგეს იგი სარეცილიდგან თავის ურცხვობისა, რათა მას შეეძლოს ისმინოს სიტყვა მისი, ვინც უზმადებს გზას უფაღსა, რათა მას შეეძლოს მოინახოს ცოდვანი თვისნი. და თუ იგი არაოდეს არ მოინახებს და გა-

ნაგრძობს ყოფას თავის სიბილწეში, უთხარით მას, რომ მოვიდეს იგი, ვინაიდან უფალს შოლტი უკვე ხელში უჭირავს. სალომე. მაგრამ ის საშინელია, იგი საშინელია!

ახალგაზღდა სირიელი. ნულა დარჩებით აქ, მეფის ასული, გთხოვო თქვენ.

სალომე. ყველაზე საშინელი — ეს თვალებია. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი თხრილია, ტაროსის ხალიჩაზე უჩნელილით ამოქვეარნი. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი ქვაბულებია, საცა ვეშაბები ნახულობენ შესაფარს. შესაძლოა იფიქრო: ეს შავი ტბებია, ლანდური მთვარეებით აღელვებულნი... ფიქრობთ თქვენ, რომ იგი კიდე ილაპარაკებს?

ახალგაზღდა სირიელი. ნულა დარჩებით აქ, მეფის ასული! გთხოვთ თქვენ, ნუ დარჩებით აქ!

სალომე. და რა გამზმარია იგი. იგი გავს წვრილ გამოსხმულს სპილოს ძვალისაგან. შესაძლოა იფიქრო: ეს გამოსხმულია ვეცხლისაგან. მე მჭერა, რომ იგი ისეთივე უმანკოა, როგორც მთვარე. იგი გავს ვეცხლეულ შუქს. მისი ტანი უთუოდ ცივი უნდა იყოს, როგორც სპილოს ძვალი... მე უნდა მას ახლო შევხედო.

ახალგაზღდა სირიელი. არა, არა, მეფის ასული!

სალომე. მე უნდა ახლო ვიხილო იგი. ახალგაზღდა სირიელი. მეფის ასული, მეფის ასული!

იოქანაან. ვინ არის ეს ქალი, რომელიც მიმწერს მე? მე არ მინდა, რომ მან მიმწიროს. რათ მიცქერს იგი თავის ოქროული თვალებით მოქრული ქუთუთოებისაგან? მე არ ვიცი, ვინ არის იგი. მე არ მინდა ეს ვიცოდე. უთხარით მას: წავიდეს იგი. არა — მასთან მინდოდა მე ლაპარაკი.

სალომე. მე სალომე ვარ, ქალიშვილი ჰეროდისის, მეფის ასული იუდეისა. იოქანაან! შორს! ასული ბაბილონისა! ნუ უახლოვდებით უფალის რჩეულს.

დედა შენმა აავსო მიწა თავის მრუმობათა ღვინოთი და მისი ცოდვების ძახილი მისწვდა უფალის ყურებს.

სალომე. ილაპარაკე კიდეც, იოქანაან. შენი სმა მათრობს მე.

ახალგაზღდა სირიელი. ასული ასული! მეფის ასული! მეფის ასული! სალომე. ო, ილაპარაკე კიდეც! ილაპარაკე კიდეც, იოქანაან, და მითხარი მე, რა უნდა ვქნა მე.

იოქანაან. ნუ მოახლოვდები მე, სოდომის ასული, ხოლო დაიფარეთ სახურით პირი თქვენი, ფერფლი დაიყარეთ თავსა თქვენსა და წადით უღანბნში, საძებნელათ ძიხა კაცისას.

სალომე. ვინ არის ეს, ძე კაცისა? იგი ასევე მშვენიერია, როგორც შენ, იოქანაან?

იოქანაან. შორს! შორს! მე მესმის სახალღეში ფრთქიალი სიკვდილის ანგელოსის ფრთებისა.

ახალგაზღდა სირიელი. მეფის ასული, გვედრებით: დაბრუნდით!

იოქანაან. ანგელოსო უფალისა ღვთისაო, რას აკეთებ შენ აქ ხმალთა შენითა? ვის ეძიებ შენ ამ უწმიდურ სახალღეში?.. დღე იმისა, ვინც უნდა მოკვდეს ვეცხლის ტანსაცმელში, ჭერ კიდეც არ დამდგარა.

სალომე. იოქანაან!

იოქანაან. ვინ ლაპარაკობს?

სალომე. იოქანაან! მე, შევეარებული შენს ტანზე. შენი ტანი თეთრია, ვით შროშანა მდელისი, რომელიც მთიბავს არაოდეს გაუთიბავს. შენი ტანი თეთრია, ვით თოვლი, რომელიც მთებზე ძევს, ვით თოვლი, რომელიც იუდეას მთებზე ძევს და ქალებში არ ჩამოშვებულა. ვარდები არაბეთის დედოფლისა ისე თეთრი არ არიან, როგორც შენი ტანი. არც ყვავილნი არაბეთის დედოფლისა, არცა ტერფები დალის რიფრაჟის, ფოთლებზე რომ გადარბიან, არცა წილი მთვარისა, როცა იგი ისვენებს ზღვის წიაღში... არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაც ისე თეთრი

იყოს, როგორც შენი ტანი... მომეც — შევეხო შენს ტანსა.

იოქანაან. შორს, ასულო ბაბილონისავ! ქალით შევიდა მსოფლიოში ბოროტება. ნუ ღაპარაკობ ჩემთან. მე არ მინდა გისმინო შენ. მე ვუსმენ მხოლოდ სიტყვებს უფლისა ღვთისა.

სალომე. ტანი შენი საზიზღარია — იგი: როგორც კეთროვანის სხეული. იგი: როგორც გაუთერილი კედელი, რომელზედაც გაცოცდენ სვლიკები, როგორც გაუთერილი კედელი, რომელზედაც ბუდე ააგეს მორიელებმა. იგი: როგორც გაუთერილი სავანე, გავსებული შემწარავი ნავთობით. იგი საშინელია, იგი საშინელია, შენი ტანი!.. მე შენს თმებში ვარ შეფარებული, იოქანაან. შენი თმები გვანან ყურძენის მტევნებს, მტევნებს შავი ყურძენისას, რომლებიც ჩამოკიდებულან ედემის ლერწებიდან მხარეში ედომიტელთა. შენი თმები: როგორც კედრები ღიბანისა, როგორც დიდრონი კედრები ღიბანისა, რომლებიც ჩეროს აჩუქებენ ხოლმე ლომებსა და ყაჩაღებს, რომელთაც ხურთ დღისით მიმალვა. გძელნი შავნი ღამენი, ღამენი, როცა მთვარე არ ჩნდება, როცა ვარსკვლავებს ეშინიათ, — ასე შევნი არ არიან. დუმილი, რომელიც მეფობს ტყეებში, — ასე შავი არ არის. არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაც ისე შავი იყოს, როგორც შენი თმები... მონეც — შევეხო მე შენსა თმებსა.

იოქანაან. შორს, ასულო სოდომისავ! არ შემეხო მე! არ შეიძლება შერყვნათ ტაძარი უფლისა ღვთისა.

სალომე. შენი თმანი საშინელია. ისინი დაფარულნია ტალახითა და მტვერით. ისინი: თითქო ეკლის გვირგვინი, შენს შუბლზე ჩამოცმული, ისინი: თითქო მურგვი შავი გველების, დაკლაკუნლების გარშემო შენი ყელია. მე არ მიყვარს შენი თმები... მე შენ ბაგეზე ვარ შეყვარებული, იოქანაან. შენი ბაგე: როგორც მწწამული აშურმა კომზე შესილოს ძვალისა. იგი: როგორც ბროწეული, სპილოს

ძვალის დანით გაჭრილი. ყვავილები ბროწეულისა, რაც ყვავიან ტიროსის ბაღებში და რაც უფრო წითელი არიან, ვიდრე ვარდები, — ასე წითელი არ არიან. წითელნი ყვირილნი საყვირთა, რაიცა აცნობდენ მეფეთა მოსვლას და შიშის ზარსა სცემენ მტერთა, — ასე წითელი არ არიან. შენი ბაგე უფრო წითელია, ვიდრე იმათი ფეხები, ვინცა ყურძენს სწორავს საწნახელებში. იგი უფრო წითელია, ვიდრე ფენი მტრელებისა, რომლებიც ტაძრებში ცხოვრობენ და რომლებსაც კვებავენ ქურუმები. იგი უფრო წითელია, ვიდრე ფეხები იმისა, ვინცა ბრუნდება ტყუებიდან, საცა მან ღოში მოკლა და იხილა ოწროსფერი ვეფხები. შენი ბაგე: როგორც ტოტი მარჯანისა, რაიცა მეფეებებს ზღვის სიბნელებში უნახავთ და გადუნახავთ მეფეთათვის!.. იგი: როგორც სინგური, რასაც მოავიტელები მოავიის მაღაროებში ჰაოულობენ და რომელსაც მეუფენ ართმევენ მათ. იგი: როგორც სპარსეთის შეფის შვილდი, სინგურით მოხატული და მარჯანით ბოლომოქედილი. არა არის ქვეყანაზე არაფერი, რაც ისე წითელი იყოს, როგორც შენი ბაგე... მომეც — ვაკოცო შენს ბაგეს.

იოქანაან. არაოდეს! ასულო ბაბილონისავ! ასულო სოდომისავ! არაოდეს! სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან! მე გადავკოცნი შენს ბაგეს!

ახალგაზ და სირიელი. მეფის ასულო, მეფის ასულო, შენ, თითქო მირსინის კვირტო, შენ, მტრედუნა მტრედუნებში, ნუ უცქერ ამ კაცს, ნუ უშვებ მას! ნუ ეუბნები მას ასეთ რამეებს. მე არ შემიძლია მათი ატანა... მეფის ასულო, მეფის ასულო, ნუ ეუბნები ასეთ რამეს.

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგეს, იოქანაან!

ახალგაზ და სირიელი. ამ (თავს იკლავს და ვარდება სალომესა და იოქანანს შუა).

პერო დიას პატი. ახალგაზდა სი-

რიელმა თავი მოიკლა! ახალგაზდა უს-
 როსმა თავი მოიკლა! თავი მოიკლა მან,
 ვინც იყო ჩემი მეგობარი! მე მას ვაჩუქე
 პატარა კოლოფი სურნელებითა და სა-
 ყურეები ვეცხლისა, და ახლა თავი მო-
 იკლა მან! ახ, განა მან არ წარბოხებდა
 წინასწარ, რომ უბედურება მოხდებოდა?..
 მე თვითონ ვიწინასწარმეტყველე ეს, და
 აი, კიდევ მოხდა იგი. მე ვიცოდი, რომ
 მოვარე კვლავს დაეძებდა, მაგრამ მე არ
 ვიცოდი, თუ იგი მას ეძებდა. ახ, რათ
 არ დავმალე მე იგი მთვარისაგან? მე
 რომ იგი მიმემალა საულაც მღვიმეში, იგი
 ვერ ნახვიდა მას.

პირველი მეომარი. მეფის ასუ-
 ლი! ახალგაზდა უფროსმა ეს არის თავი
 მოიკლა.

სალომე. მომეც — ვაკოცო შენს ბა-
 გებს, იოქანაან.

იოქანაან. არ გეშინისთ თქვენ, ჰე-
 როდიას ასულს? არ კი გიოხარათ მე
 თქვენ, რომ მე ვისინე სასაზღვეში
 ფრთქილი სიკვდილის ანგულის ფრთე-
 ბისა, და განა არ მოვიდა კიდევ ანგე-
 ლოსი?

სალომე. მომეც — ვაკოცო შენს
 ბაგებს.

იოქანაან. მრუშობის ასულს, არის
 მხოლოდ ერთი ვინმე, რომელსაც შეუძ-
 ლია ვისხნას შენ. ეს არის ის, რომელ-
 ზედაც მე შენ გეუბნებოდი. წადით, ემი-
 ეთ იგი. იგი გალილეის ზღვაზეა ნავში
 და ემუხაიფება თუკის მოსწავლეებს. მუხ-
 ლებზე დაჩოქეთ ზღვის ნაპირას და მო-
 ინსმეთ იგი საბედით. როცა იგი მოვა
 თქვენთან, — ენაიდგან იგი მოდის უვე-
 ლასთან, ვინც კი მას იხმობს, — დაეცი-
 მის ფეხთა წინაშე და თხოვეთ მას თქვე-
 ნი ცოდვების მიტევება.

სალომე. მომეც — ვაკოცო ბაგებს.

იოქანაან. იუავით წყეული, ასკლო
 დედის-სისღმშემრეველისა, იუავით წყეუ-
 ლი.

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგებს, იო-
 ქანაან.

იოქანაან. მე არ მინდა გიცქირო
 შენ. მე აღარ შეგებდავ შენ. შენ წყეუ-
 ლი ხარ, სალომე, შენ წყეული ხარ (გაში
 ჩაეშვება).

სალომე. მე ვაკოცებ შენს ბაგებს, იო-
 ქანაან. მე წავაგოცინი შენ ბაგებს.

პირველი მეომარი. იგი ჩემთვის
 ძმა იყო და უახლოესი ძმაზე. მე ვაჩუქე
 მას პატარა კოლოფი, რომელშიაც იყო
 სურნელები და ბეჭედი აგათისა, რომელ-
 საც იგი ყოველთვის ხელზე ატარებდა.
 სადამოთი ჩვენ ვსეირნობდით მდინარის
 პირას და ნუშის ხეების ქვეშ და იგი
 მიყვებოდა მე თავის სამშობლოზე. იგი
 ყოველთვის მეთად წყნარა დაპარაკობდა.
 მისი ღმა გავდა ფლეიტის ხმას მისას,
 ვინც უკრავს ფლეიტაზე. მას უყვარდა
 მდინარეში ცქერა. ხშირათ ვუხაყვედუ-
 რებდი მე მას ამას.

მეორე მეომარი. თქვენ მართალ-
 ნი ხართ. უნდა გადავმალეთ ცხედარი.
 ტეტარაქვა არ უნდა ნახოს იგი.

პირველი მეომარი. ტეტარაქვი
 აქ არ მოვა. იგი არაოდეს არ გამოდის
 ერლოზე. მას მეთათ ეშინია წინასწარ-
 მეთყველისა.

(შემოდინან: ჰეროდე, ჰეროდია და
 დარბაისელები).

ჰეროდე. სად არის სალომე? სად
 არის მეფის ასული? რათ არ დაუბრუნ-
 და იგი ლხინს, როგორც მე ვუბძანე მას?
 ა! აი ისიც.

ჰეროდია. არ უნდა უცქირო მას.
 თქვენ ყოველთვის უცქერთ მას.

ჰეროდე. მეთად უცნაური სახე აქვს
 მთვარეს დღეს საღამოს, არა, მართლა,
 ხომ უცნაური სახე აქვს მთვარეს? იგი
 თითქო ჰისტერიული ქალია, ჰისტერიუ-
 ლი ქალი, რომელიც მიდის და დაეძებს
 ყოველგან საყვარლებს. გარდა ამისა: იგი
 ტიტველია. იგი მთლად ტიტველია. ღრუ-
 ბელნი ცდილობენ დაფარონ იგი, მაგრამ
 მას არ უნდა. იგი დაბარბაცობს ღრუ-
 ბელთა შორის, როგორც მთვარალი ქალი.
 მე მჭერა, რომ იგი საყვარლებს დაეძებს...



მე კვლავ მესმის იგი. თქვენ არ გესმით? ეს საკვებით: როგორც ფრთების ფრთქიალი.

ჭერო დია. მე თქვენ გეუბნებით, რომ არა არის რა. თქვენ ავად ხართ. დავბრუნდეთ.

ჭერო დე. მე არა ვარ ავად. ეს თქვენი ქალიშვილია ავად. მას მეტათ ავადური სახე აქვს, თქვენ ქალიშვილს. მე არას დროს არ მინახავს იგი ასეთი მკრთალი.

ჭერო დია. მე თქვენ გეუბნებოდით, ნუ უცქერით მას-თქო.

ჭერო დე. დაახლოებით ღვინო (მოაქვს). სალომე, მომიხსლოვდით და შესვით ჩემთან ცოტა ღვინო. მე აქ საუცხოვო ღვინო მაქვს. თვითონ კეისარმა გამომიგზავნა იგი. დაახლოებით მასში თქვენი პატარა წითელი ტურები და მერე მე დავსცლი თასს.

სალომე. მე არ მინდა სმა, ტეტრარქ.

ჭერო დე. თქვენ გესმით, როგორ მიპასუხებს იგი მე, თქვენი ქალიშვილი!

ჭერო დია. ჩემი ფიქრით, ის სრულიად მართალია. რად უცქერით სულ მას?

ჭერო დე. მოიტანეთ ხილი (ხილი მოაქვს). სალომე, მოდით და შექამეთ ჩემთან ხილი. მე ძალიან მიყვარს ნახვა ხილზე თქვენი პატარა კბილების კვლების. მოკბინეთ ამ ხილს სულ პაწა ნაწილი — და მერე მე შევკამ მას, რაც დარჩება.

სალომე. მე არ მინდა კამა, ტეტრარქ.

ჭერო დე. აი, როგორ გაზარდეთ იგი თქვენ, თქვენი ქალიშვილი.

ჭერო დია. ჩემი ქალიშვილი და მე მეფის გვარისაგან წარმოვდგებით. რაც შეეხება შენ, ბაბუა შენი აქლემებს წუესდა. გარდა ამისა; იგი უჩაღი იყო.

ჭერო დე. შენ ცრუობ.

ჭერო დია. შენ კარგათ იცი, რომ ეს სიმართლეა.

ჭერო დე. სალომე, მოდი, დაქეჩ ჩემს გვერდით. მე გითმობ შენ დედა შენის ტახტს.

სალომე. მე არ დადლილვარ, ტეტრარქ.

ჭერო დია. თქვენ ხედავთ რომ, თუ რას ფიქრობს იგი თქვენზე.

ჭერო დე. მოიტანეთ... რა მინდა მე? მე არ ვიცი. ახ, ახ, მე მოვიგონე. სმე იოქანანაისი. დადგა დრო ის, რაც მე მოუთხრე, აღსრულდა, — იტყვის უფალი ღმერთი. დადგა დღე, რომელზედაც მე მოუთხრობდი.

ჭერო დია. უბანეთ გაჩუმონ იგი. მე არ მინდა ვისმინო მისი ხმა. ეს კაცი ყოველთვის გამოვას ანთხევს ჩემზე.

ჭერო დე. თქვენზე მას გამოვა არ წარმოუტყვამს. და, ამასთან: იგი დიდი წინასწარმეტყველია.

ჭერო დია. მე არა მწამს წინასწარმეტყველი. გნა შეუძლია კაცს წინათ თქვას ის, რაც უნდა მოხდეს? არავინ არ იცის ეს. გარდა ამისა: იგი მე ყოველთვის შეურაცმყოფს. მაგრამ, მე ვფიქრობ, თქვენ გეშინიათ მისი... დიახ: მე კარგათ ვიცი, თქვენ მისი გეშინიათ.

ჭერო დე. მე არ გეშინია მისი. მე არავის არ გეშინია.

ჭერო დია. დიახ: თქვენ გეშინიათ მისი, თუ თქვენ მისი არ გეშინიათ, რათ არ გაცვით მამინ იგი იუდეველებს, რომლებიც ექვსი თვეა, თქვენ მას გთხოვენ? იუდეველი. მართალია, ხელმწიფე, უკეთესი იქნებოდა ჩვენთვის გაგაცვით იგი.

ჭერო დე. კმარა ამაზე. მე თქვენ უკვე მოგვით ჩემი პასუხი. მე არ მინდა გავცე იგი თქვენდამი. იგი კაცია, რომელმაც იხილა ღმერთი.

იუდეველი. ეს, ეს შეუძლებელია. ღმერთი არავის უნახავს ილია წინასწარმეტყველის დროიდან. იგი უკანასკნელი იყო, რომელმაც ღმერთი იხილა. ჩვენ დროში ღმერთი არ აჩვენებს თავს. იგი იმალება და ამისთვის ქვეყანაზე დიდი უბედურებაა.

მეორე იუდეველი. ბოლოს, ცნობილი არაა ჭერ, იხილა თუ არა მართლა წინასწარმეტყველმა ილიამ ღმერთი. უფ-

რო დასაჩერებელია: მან იხილა მხოლოდ აჩრდილი ღმერთისა.

მესამე იუდეველი. ღმერთი არაოდეს არ იმალება! იგი ცხადდება ყოველთვის და ყოველში. ღმერთი ავშიც არის, როგორც კეთილში.

მეოთხე იუდეველი. ეს არ უნდა თქვა. ეს ძალიან სახიფათო აზრია. ეს აზრი მოდის ალექსანდრიის შკოლებიდან, ხაცა ჰელენეურ ფილოსოფიას ასწავლიან. ჰელენეები კი წარშართებია, ისინი წინდაცვეთილნიც არ არიან.

მესხთე იუდეველი. არასდროს არ შეიძლება ცოდვა, როგორ მოქმედებს უფალი, ესეა მისი გამოუცნობია. შეხატლოა, ის, რასაც ჩვენ ავს ვუწოდებთ, კეთილი არის, და ის, რასაც ჩვენ კეთილის ვუწოდებთ, ავი არის. არაფრის ცოდვა არ შეიძლება. აუცილებელია მხოლოდ ყველაფერს დაემორჩილო. ღმერთი ძალიან ძლიერია. იგი ერთსა და იმავე დროს ანარქებს სუსტებსაც და ძლიერსაც. მისთვის ყველა თანასწორია.

პირველი იუდეველი. ეს მართალია. ღმერთი საშინელია. იგი ამტკრებს ძლიერსაც და სუსტსაც, როგორც ნაყუვენ როდინში მარცვალს. მაგრამ ამ კაცს არასდროს ღმერთი არ უხილავს. არავის უხილავს ღმერთი ილია წინასწარმეტყველის დროიდან.

ჰეროდია. უბძანეთ მათ დაჩუმდენ. მათ მე თავი მომაბეზრებს.

ჰეროდე. მაგრამ მე მსმენია, რომ ამბობენ, ვითომ იოქანანი იყოს კიდეც თქვენი წინასწარმეტყველი ილია.

იუდეველი. ეს შეუძლებელია. ილია წინასწარმეტყველის დროიდან სამას წელზე მეტმა გარაა.

ჰეროდე. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ იგი ილია წინასწარმეტყველია.

ნაზარეველი. მე, მე დარწმუნებულნი ვარ, რომ იგი ილია წინასწარმეტყველია.

იუდეველი. აჰ, არა: იგი არ არის ილია წინასწარმეტყველი.

ხმა იოქანანის. მოვიდა ხელმწიფობა დადე უფალის, და მე მესმის მთებზე ნაჯებები მისი, ვინც იქნება მსხნელი სოფლისა.

ჰეროდე. რას ნიშნავს ეს, მსხნელი სოფლისა?..

ტიგელლინ. ეს კეისარის ერთი ტიტულთაგანია.

ჰეროდე. მაგრამ კეისარი არ ამირებს იუდეაში მოსვლას. მე გუშინ მივიღე წერილი რომიდან. ჩემთვის ამაზე არა უცნობიათ რა. ბოლოს, ტიგელლინ, თქვენ იყავით რომში, ზამთარში, თქვენ ამაზე არაფერი გასმენიათ?

ტიგელლინ. არა, ხელმწიფე. ამის შესახებ მე არა მსმენია რა. მე მხოლოდ ტიტულს ვმარტავ. ეს ერთი ტიტულთაგანია კეისარის.

ჰეროდე. კეისარს არ შეუძლია მოვიდეს. მას ნიკრისის ქარი აქვს. ამბობენ, მას ღებები ისეთი აქვს, როგორც სპილოს. გარდა ამისა: აქ არის სახელმწიფო მოსაზრებაც. ვინც რომს სტოვებს — რაღს ჰკარგავს. ბოლოს, კეისარი ბატონია. იგი მოვა, თუ მოისურვა. მაგრამ მე არა ვფიქრობ, რომ ის მოვიდეს.

პირველი ნაზარეველი. არაკეისარზე ლაპარაკობდა წინასწარმეტყველი, ხელმწიფე.

ჰეროდე. არა კეისარზე?

პირველი ნაზარეველი. არა, ხელმწიფე.

ჰეროდე. მაშ, ვინე ლაპარაკობდა იგი?

პირველი ნაზარეველი. მესხიანზე, რომელიც მოვიდა.

იუდეველი. მესხია არ მოსულა.

პირველი ნაზარეველი. იგი მოვიდა და ყველგან ახდენს სასწაულებს.

ჰეროდია. ოჰ, ოჰ, სასწაულები. მე არა მწამს სასწაულები. მე ისინი მინახავს ძალზე ბევრი. (პაუზა) ჩემი მარაო.

პირველი ნაზარეველი. ეს კაცი ნამდვილ სასწაულებს ახდენს. ასე მაგალითად: ერთს ქორწილში, რომელსაც

ადგილი ჰქონდა გაილიდას პატარა ქალაქში, მან წყალი ღვინოდ გარდაქმნა. შე ეს გადმომცის მათ, ვინც იქ იყვენ. მან აგრეთვე მოარჩინა ერთი შეხებით, ორი კეთროვანი, რომლებიც კაპერნაუმის ბუქსთან ისხდნ.

მეორე ნაზარეველი. არა, კაპერნაუმში მან ორი ბრმა მოარჩინა.

პირველი ნაზარეველი. არა: ესენი იყვენ კეთროვანები. მაგრამ მან აგრეთვე ბრმებიც მოარჩინა, და იგი ნახეს მოაზე, მობაასე ანგელოსებთან.

სადღუკეველი. ანგელოსები არ არსებობენ.

ფარისეველი. ანგელოსები არსებობენ, მაგრამ მე არ ვფიქრობ, ვითომ ამ კაცს ებაასნა მათთან.

პირველი ნაზარეველი. მსველეთა დიდს ბრბოს უნახავს, თუ როგორ ებაახებოდა იგი ანგელოსებს.

სადღუკეველი. არა ანგელოსებს. ჰეროდია. როგორ მახელებს შე ეს ხალხი! ესენი ბრყევიბა. ესენი სრულიად ბრყევიბა. (პაეს.) ჩემი მარაო? (პაეი მიაწოდებს მარაოს.) თქვენ თითქო ოცნებობთ. არ უნდა იცნებოთ. მეოცნებენი ავადმყოფნი არიან (დაარტყამს პაეს მარაოს).

მეორე ნაზარეველი. კიდეც იყო სასწაული იაირის ასულთან.

პირველი ნაზარეველი. დიახ: ეს ყოველ ეკვს გარეშეა. ამის უარყოფა შეუძლებელია.

ჰეროდია. ეს ხალხი კვავზე შეიშალა. ისინი მეტად დიდხანს უტყერიდენ მთვარეს. უთხარით მათ, რომ დაჩუმდენ.

ჰეროდე. რა არის ეს — სასწაული იაირის ასულთან?

პირველი ნაზარეველი. იაირის ასული კვდარი იყო. მან იგი გააცოცხლა.

ჰეროდე. იგი აცოცხლებს კვდრებს?

პირველი ნაზარეველი. დიახ, ხელმწიფე, იგი კვდრებს აცოცხლებს.

ჰეროდე. შე არ მინდა, რომ იგი ამას

სჩადიოდეს. შე ვუტრძალავ მას კვდრების გადნას. შე ნებას არ ვაძლევ კვდრების გაცოცხლებისას. უნდა მოინახოს ეს კაცი და ეთქვას მას, რომ შე არ ვაძლევ ნებას მას კვდრების გაცოცხლებისას. სად არის იგი ახლა, ეს კაცი?

მეორე ნაზარეველი. იგი ყველგანაა, ხელმწიფე, მაგრამ ძალიან ძნელია მისი მოსახვა.

პირველი ნაზარეველი. ამბობენ, იგი ახლა სამარიაში არიო.

იუდეველი. აი, კიდეც, ჩანს, რომ იგი მესსია არ არის, თუ იგი სამარიაშია, არა სამარიტლებთან მოვალს მესსია. სამარიტლნი დაწყევლილნია. იმათ არსდროს არ მიაქვთ ტაძარში მსხვერპლი.

მეორე ნაზარეველი. მან უკვე მიატოვა სამარია რამოდენიმე დღის წინათ. შე ვფიქრობ, იგი ახლა იერუსალიმის მიდამოებში უნდა იყოს.

პირველი ნაზარეველი. არა, ის იქ არ არის. შე ეს არის, რაც იერუსალიმიდან მოვედი. უკვე ორი თვეა, მასზე არა სმენიათ რა.

ჰეროდე. ეს სულ ერთია. ხოლო საქირია მისი მოსახვა და თქმა, რომ შე ნებას არ ვაძლევ მას, კვდრები აცოცხლოს. წყალის გარდაქმნა ღვინოდ, მორჩენა კეთროვანების და ბრმების.. ყველა ეს მას შეუძლია, თუ უნდა. შე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. შე იმასაც კი ვფიქრობ, რომ კეთროვანების მორჩენა კეთილი საქმეა. მაგრამ შე მას ნებას არ ვაძლევ, კვდრები აცოცხლოს.. საშინელება იქნებოდა, კვდრები რო ცოცხლდებოდენ.

ხმა იოქანაანის. ა! მეძაეო! მრუშო! ა! ასულო ბაბილონისავ, ოქოვანი თვალებით და მოოქრული ქუთუთოებით! აი, რას ამბობს უფალი ღმერთი. მიუშვით მასთან ბრბო ხალხისა. დეე, ხალხმა ქვები აიღოს და მოძებგვოს იგი!

ჰეროდია. უბძანეთ მას, გაჩუმდეს.

ხმა იოქანაანის. დეე, გარდაღებ-

მა განგმირონ იგი ხმალებით; დეი, გას-
რისონ იგი თავის ღახტებით.

ჰეროდია. მაგრამ ეს საძაგლობაა!
ხმა იოქანაანის. ახე ამოვუხვრი
შე უწესობას ქვეყანაზე, და ქალები ის-
წავლიან ყველანი, რომ აღარ ბაძავდენ
მის სისაძაგულს.

ჰეროდია. თქვენ არ გესმით, რას ამ-
ბობს იგი ჩემზე? თქვენ ნებას აძლევთ,
შეურაცხელონ თქვენი მეუღლე?

ჰეროდე. მაგრამ მას თქვენი სახელი
არ უხსენებია.

ჰეროდე. ვერა რა? თქვენ კარგათ
იცით, რომ მას უნდა შეურაცხეოს. მე
კი თქვენი მეუღლე ვარ, არა?

ჰეროდე. დიახ: ძვირფასო და ღირ-
სეულო ჰეროდია, თქვენ ჩემი მეუღლე
ხართ და თქვენ უწინ მეუღლე იყავით
ჩემი ძმისა.

ჰეროდია. თქვენ ამომგლიჯეთ მე
მისი ხვეწვისაგან.

ჰეროდე. დიახ: მე მასზე ძლიერი ვი-
ყავი... მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.
მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი. აშის გამო
ამბობდა წინასწარმეტყველი საშინელ
სიტყვებს. შესაძლოა, ამის გამო მოხდეს
უბედურება. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე...
კეთილშობილო ჰეროდია, ჩვენ ვივიწყებთ
ჩვენს სტუმრებს. დამისხი ღვინო, ჩემო
საყვარელო. აავსეთ ღვინით დიდი თასე-
ბი ვეცხლისა და დიდი თასები შუშისა.

მე დავღვევ კეისარის სადღეგრძელოს. აქ
რომაელებია: უნდა შევხვათ კეისარის
სადღეგრძელო.

ყველანი. კეისარი კეისარ!
ჰეროდე. თქვენ ვერ ამჩნევთ, რა
მკრთალია თქვენი ქალოშვილი?

ჰეროდია: თქვენ რა: მკრთალია იგი
თუ არა?!

ჰეროდე. მე არახდროს არ მინახავს
იგი ასეთი მკრთალი.

ჰეროდია. არ უნდა უცქირო მას.
ხმა იოქანაანის. დღესა მას მზე
გაშავდება, როგორც ძაძა, და მთვარი
აწ-თლდება, როგორც სისხლი, და ვარ-

სკვლავნი ჩამოვარდებიან მიწაზე, როგორც
გორც ვარდებიან მწვანე ნაყოფნი კუნ-
ლადგან, და მეფეთა მიწისათა დაუღდე-
ბით საშინელება.

ჰეროდია. ა! ა! ენახო ეს დეი, რო-
მელზედაც იგი ლაპარაკობს, როცა მთვა-
რე აწითლდება, როგორც სისხლი, და
როცა ვარსკვლავნი ჩამოვარდებიან მიწა-
ზე, თითქო მწვანე ნაყოფნი კუნელასი.
ეს წინასწარმეტყველი ლაპარაკობს, რო-
გორც მთვრალი... და მე არ შემძლია
მისი ხმა ავიტანო. მე მძულს მიზი ხმა.
უბძანეთ მას, დაჩუმდეს.

ჰეროდე. არა. მე არ მესმის, რას ლა-
პარაკობს იგი, მაგრამ, ეს შესაძლოა, წი-
ნათქმა იყოს.

ჰეროდია. მე არა მწამს წინათქმანი.
იგი ლაპარაკობს, როგორც მთვრალი.

ჰეროდე. შესაძლოა, იგი მთვრალია
ღვინოთი უფლისა.

ჰეროდია. რა ღვინოა ეს, ღვინო უფ-
ლისა? რომელი ვაჭებიდან? რომელ სა-
წინაზელში შეიძლება მისი შოვნა?

ჰეროდე (აღარ აცილებს თვალს სა-
ლიომეს). ტიგელდინ, როცა შენ ამ ცო-
ტა ხანს უკან რომში იყავ, გეუბნებოდა
შენ თუ არა კეისარი... მმ...

ტიგელდინ. რაზე, ხელმწიფე?

ჰეროდე. რაზე? ა! მე რაღაც გკითხეთ
თქვენ, არა? მე დამავიწყდა, რის გაგე-
ბაც მსურდა.

ჰეროდია. თქვენ კიდევ სულ ჩემს
ასულს უცქერიოთ. არ უნდა უცქირო მას.
მე თქვენ ამას უკვე გეუბნებოდით.

ჰეროდე. თქვენ მხოლოდ მაგას ლა-
პარაკობთ.

ჰეროდია. მე ამას კიდევ გეუბნებით.

ჰეროდე. ტაძარის აღდგენა, რაზედაც
აქ ბევრი ილაპარაკეს?! გამოეა რაიმე
ამისაგან? ამბობენ, ფარდა დააქარგა სა-
კურთხეველისა.

ჰეროდია. შენ თვითონ წამოიღე იგი.
შენ თვითონ არ იცი, რაზედაც ლაპარა-
კობ. მე არ მინდა აქ დარჩენა. დავბრუნ-
დეთ.



ჰეროდე. სალომე, იცეკვეთ ჩემთვის.
 ჰეროდია. მე არ მინდა, რომ მან
 იცეკვოს.

სალომე. მე სრულიად არა მსურს
 ცეკვა, ტეტარქ.

ჰეროდე. სალომე, ჰეროდეას ასულო,
 იცეკვეთ ჩემთვის.

ჰეროდია. დანებეთ მას თავი.

ჰეროდე. სალომე, მე თქვენ გიბრძა-
 ნებთ, იცეკვოთ.

სალომე. მე არ ვიცეკვებ, ტეტარქ.

ჰეროდია (იციწის). აი, როგორ გის-
 მენთ თქვენ იგი.

ჰეროდე. მე რა: იცეკვებს იგი თუ
 არა. ჩემთვის სულ ერთია! ჩემთვის სულ
 ერთია. მე დღეს ბედნიერი ვარ. მე მე-
 ტათ ბედნიერი ვარ. მე არას დროს ასე
 ბედნიერი არ ვყოფილვარ.

პირველი მეომარი. ბნელი სახე
 აქვს ტეტარქს. არა, მართლა, ზომ ბნე-
 ლი სახე აქვს ტეტარქს?

მეორე მეომარი. მას ბნელი სახე
 აქვს.

ჰეროდე. რატომ არ უნდა ვიყო ბედ-
 ნიერი? კეისარს, მფლობელს ჭეყენისას,
 მფლობელს ყოვლისას, მე ძლიერ ვუყ-
 ვარვარ. მან ეს არის გამომიგზავნა მე-
 ტათ ძვირფასი საჩუქარნი. და კიდევ:
 ჩემი დამპირდა მე გაისმოს რომში
 იგი მტერი, მეფე კაპადოკიისა. შე-
 საძლოა, მან რომში ჭვარს აცვას იგი.
 კეისარს შეუძლია ჰქნას ყველაფერი, რა-
 საც კი მოისურვებს. იგი მფლობელია.
 ასე: თქვენ ხედავთ, მე მაქვს უფლება
 ბედნიერი ვიყო. არა არის ჭეყანაზე არა-
 ფერი, რასაც შეეძლოს ჩემი სიხარულის
 დარღვევა.

ხმა იოქანაანის. იგი იჯდომება
 თავის ტახტზე. იგი იქნება ჩაცმული მე-
 წამულში და პორფირში. ხელში ეჭირე-
 ბა მას ოქროს ჭურჭელი, ავსილი მისი
 გამობოთა, და ანგელოსი ღვთისა დაანარ-
 ცხებს მას. იგი შექმული იქნება ჭიების
 მიერ.

ჰეროდია. გესმის, რას ლაპარაკობს

იგი შენზე? იგი ამბობს, რომ შენ შენვე
 ბიჭების მიერ შექმული.

ჰეროდე. არა-ჩემზე ლაპარაკობს იგი.
 იგი არასდროს ჩემს წინააღმდეგ არ ლა-
 პარაკობს. იგი ლაპარაკობს კაპადოკიის
 მეფეზე, ჩემს მტერზე. ის იქნება ჭიების
 მიერ შექმული და არა მე. არასდროს
 არ ულაპარაკებია რაიმე მას ჩემს წინა-
 აღმდეგ, წინასწარმეტყველს, — გარდა
 იმისა, რომ მე უმართლოთ მოვიქეცი,
 რომ ჩემის ძმის ცოლი წამოვიყვანე ცო-
 ლად. შესაძლოა, იგი მართალია. და მართ-
 ლაც: შენ უნაყოფო ხარ.

ჰეროდია. მე ვარ უნაყოფო, მე?!
 და ამას ამბობ შენ, შენ, რომელიც მუ-
 ლამ ჩემს ქალიშვილს უცქერ, შენ, რო-
 მელსაც გასურდა იცეკვა მას შენი სიამო-
 სათვისი სასაცილოა ამის თქმა. მე ბავში
 მყავდა. შენ ერთიც არა გყოლია, არც
 ერთი შენი მონა-ქალისაგანც კი. ეს შე-
 ნა ხარ უნაყოფო და არა მე.

ჰეროდე. გაჩუმიდი. მე ვამბობ, რომ
 შენ უნაყოფო ხარ. შენ არ მჩუქე მე
 ბავში, და წინასწარმეტყველი ლაპარა-
 კობს, რომ ქორწილი ჩვენი არ არის ნამ-
 დვილი ქორწილი. იგი ამბობს, რომ ეს
 არის ქორწილი სისხლის შემრეველი, რომ
 ეს ქორწილი მოიტანს უბედურებას... მე
 მეშინია, მართალია არ იყოს იგი. მე მჭე-
 რა, რომ იგი მართალია. მაგრამ ახლა
 დრო არ არის ამაზე ლაპარაკის. მე ამ
 წამს მინდა ბედნიერი ვიყო. და მე ბედ-
 ნიერიცა ვარ. მე ძალიან ბედნიერი ვარ.
 არა არის რა, რაიცა მე მაკლდეს.

ჰეროდია. მე მოხარული ვარ, რომ შენ
 ასე კარგ გუნებზე ხარ დღეს საღამოს.
 ეს არ არის შენი ჩვეულება. გარნა, უკვე
 გვიანაა. დავბრუნდეთ სახლში. არ დაი-
 ვიწყო, რომ ზვალ განთიადზე ჩვენ ყვე-
 ლანი სანადიროთ მივდივართ. კეისარის
 ელჩებს უნდა ვცეთ უყოველგვარი პატი-
 ვი, — არა!

მეორე მეომარი. რა ბნელი სახე
 აქვს ტეტარქს.

პირველი მეომარი. დიახ: მას
ბნელი სახე აქვს.

პეროდე. სალომე, სალომე, იცეკვე
ჩემთვის. მე გვედრები შენ, იცეკვე ჩემ-
თვის. მე მოწყენილი ვარ. როცა აქ შე-
მოველ, მე სისხლში წავიფერხე, ეს ცული
ნიშანია, და მე მომესმა, მე მჭერა, რომ
მომესმა ფრთების ფრთხილი ჰაერში,
ფრთხილი თითქო გიგანტური ფრთები-
სა. მე არ ვიცი, თუ რას უნდა ნიშნავ-
დეს ეს... მე სევდიანი ვარ დღეს საღ-
მოს. ამიტომ, იცეკვე ჩემთვის. იცეკვე
ჩემთვის, სალომე, მე გვედრები შენ.
თუ შენ იცეკვებ ჩემთვის, შენ შეგძლე-
ბა მომთხოვო ყოველი, რასაც კი მოი-
სურვებ შენ და მე მოგცემ მას. დიახ:
იცეკვე ჩემთვის, სალომე, მე მოგცემ შენ
ყოველს, რასაც კი მოისურვებ შენ, იყოს
ეს თუ გინდ, ნახევარი ჩემი სამეფოსი.
სალომე (წამოდგება). შენ მომცემ მე
ყოველს, რასაც კი მე მოვისურვებ, ტეტ-
რარქ?

პეროდია. არ იცეკვო, ჩემო ასულო!
პეროდე. ყოველს, იყოს ეს თუ გინდ
ნახევარი ჩემი სამეფოსი.

სალომე. შენ ამაში ფიცს იძლევი,
ტეტრარქ?

პეროდე. ფიცს იძლევი, სალომე.

პეროდია. ჩემო ასულო, არ იცეკვო!

სალომე. რითი ფიცულობ შენ, ტეტ-
რარქ?

პეროდე. სიცოცხლით ჩემით, გვირ-
გვინით ჩემით, ღმერთებით ჩემით. ყო-
ველს, რასაც კი შენ მოისურვებ, მოგცემ
მე შენ, იყოს იგი თუ გინდ ნახევარი ჩე-
მი სამეფოსი, თუ შენ იცეკვებ ჩემთვის.
ჰო! სალომე, სალომე! იცეკვე ჩემთვის.
სალომე. შენ ფიცი დახდე, ტეტრარქ.

პეროდე. მე დავიფიცე, სალომე.

სალომე. რაც უნდა მოვისურვო მე,

იყოს ეს თუ გინდ ნახევარი შენი სამე-
ფოსი?

პეროდია. არ იცეკვო, ასულო ჩემო.

პეროდე. იყოს ეს თუ გინდ ნახევარი

ჩემი სამეფოსი. რა ლამაზი იქნები შენ
დედოფალი, სალომე, თუ კი შენ მოგე-
სურვება ნახევარი ჩემი სამეფოსი. არა,
მართლა, იგი მეტად ლამაზი დედოფალი
იქნება. ა! აქ სიცივეს! აქ ქრის მეტათ
ცივი ქარი და მე მესმის... რათ მესმის
მე ჰაერში ეს ფრთხილი ფრთებისა? ჰო,
შესაძლოა იფიქრო: რომელიღაც ფრინ-
ველი, დიდი შავი ფრინველი, ურდოს
იავს დასტრიალებს. რათ არ შემიძლია მე,
ვისილო ეს ფრინველი? მისი ფრთების
ფრთხილი საშინელია. ეს ცივი ქარია...
მაგრამ არა: სრულიად არ ცივა. პირ-ჩიოთ:
ძლიერ ცხელია. მეტათ ცხელია. მე ვიხი-
ბი. დამისხით მე ხელებზე წყალი. მომეცით
მე თოვლი საქმელად. შემისხენით ჩემი
მოსახსანი. ჩქარა, ჩქარა, შემისხენით მო-
სახსანი... არა. დაანებეთ თავი. ეს მე
ტკივილი მაქვს ჩემი გვირგვინისაგან, ჩე-
მი ვარდების გვირგვინისაგან. ეს ყვაო-
ლები თითქო ცეცხლისაგან არიან. მათ
შუბლი დამიწვებს. (ჩამოიხვეს თავიდან
გვირგვინს და დაადებს მას სუფრახე).
ა! ახლა შემიძლია ვისუნთქო. რა წით-
ლები არიან ეს ყლორტები. ისინი: თი-
თქო სისხლის ლაქები სუფრის საფარზე.
ეს არაფერი. შეუძლებელია ჩვენება ეძიო
ყველგან, რასაც ხედავ. ეს შეუძლოთ
ხლის სიცოცხლეს. უმჯობესი იქნებოდა
თქმა, რომ სისხლის ლაქები ისეთივე ლა-
მაზები არიან, როგორც ვარდების ყლორ-
ტები. ფრიალ უკეთესი იქნებოდა ასეთი
თქმა... მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.
ახლა მე ბედნიერი ვარ. მე ძალიან ბედ-
ნიერი ვარ. მე უფლება მაქვს, ვიყო ბედ-
ნიერი, არა? თქვენი ქალიშვილი იცეკვებს
ჩემთვის. მართლა, ხომ იცეკვებთ ჩემ-
თვის, სალომე? თქვენ დამპირდით ჩემ-
თვის ცეკვას.

პეროდია. მე არ მინდა, რომ მან
იცეკვოს.

სალომე. მე ვიცეკვებ თქვენთვის,
ტეტრარქ.

პეროდე. თქვენ ხომ გესმით, რას ამ-



ბოზს თქვენი ასული. იგი იცეკვებს ჩემთვის. ეს კარგია, სალომე, რომ თქვენ იცეკვებთ ჩემთვის. და როცა თქვენ გაათავებთ იცეკვას, არ დაგვიწყდესთ, მოითხოვოთ ჩემგან, რასაც მოისურვებთ. ყველაფერი, რასაც ვი თქვენ მოისურვებთ. მე მოვცემთ თქვენ, იყოს იგი თუ გინდა ნახვარი ჩემი სამეფოსი, — მე დავიფიცებ: არაა!

სალომე. თქვენ დაიფიცეთ, ტეტრარქ. ჰეროდე. და მე არასდროს გამიტყუებია ჩემი სიტყვა. მე იმათგან არ ვარ, ვინც არღვევს თავის სიტყვას. მე არ შემძლია ცრუობა. მე მონა ვარ ჩემი სიტყვის და სიტყვა ჩემი სიტყვაა მეფისა. კაპაადოკიის მეფე ყოველთვის ცრუობს, მაგრამ ის ხომ ნამდვილი მეფე არ არის. იგი მხალღია. გარდა ამისა: მას ჩემი ფული მართებს და არ უნდა გადაიხადოს. მან შეურაცხყო კიდევ ჩემი ელჩები. იგი ამბობს ძალიან შეურაცხმყოფელ რამეებს. მაგრამ კეისარი ჭვარს აცვამს მას, როცა იგი რომში დაბრუნდება. და თუ არა, იგი ისედაც მოკვდება, ჰიებით შექმული. წინასწარმეტყველმა თქვა ეს. ჰე, სალომე, რაღას უცდით?

სალომე. მე ვუცდი, რომ ჩემმა მონაქალებმა მომიტანონ სურნელებანი და შეიდი სახური და გამახადონ ფეხებზე ქალამნები. (მონაქალებს მოაქვთ სურნელებანი და შეიდი სახური და ფეხებზე სალომეს ქალამნებს ხდიან).

ჰეროდე. ა! თქვენ იცეკვებთ ფეხშიშველი! ეს კარგია! ეს კარგია! თქვენი პატარა ფეხები იქნებიან, ვით თეთრი მტრედუნები. ისინი გვანან პატარა თეთრ ყვავილებს, რომლებიც ზეზე ცეკვავენ... ახ, არა! ის იცეკვებს სისხლში. მიწაზე სისხლია. მე არ მინდა, რომ მან სისხლში იცეკვოს. ეს იქნებოდა ცუდი ნიშანი.

ჰეროდია. თქვენ რა: იცეკვებს იგი თუ არა სისხლში? თქვენ ხომ იარეთ სისხლში, თქვენ..

ჰეროდე. მე რა? ახ. შეხედეთ მთავ-

რებს. იგი გახდა წითელი. იგი ^{მეფის სისხლი} ~~მეფის სისხლი~~ თელი, როგორც სისხლი. ა! წინასწარმეტყველმა ეს ხომ იწინასწარმეტყველა. მან სთქვა, რომ მოვარე გახდება წითელი, როგორც სისხლი. არა, მართლა, მან ეს არ იწინასწარმეტყველა? თქვენ ყველამ გაიგონეთ ეს. მოვარე გახდა წითელი, როგორც სისხლი. თქვენ ამას ვერ ხედავთ?

ჰეროდია. მე ამას კარგათ ვხედავ, და ვარსკვლავები ვარდებიან მიწაზე, თითქო მწვენი ნაყოფი კუნელასი, — არა? და მზე იქცევა შავად, როგორც ძაძა და მეფენი მიწისა დაიფლო საშინელებამ. ეს მაინც ნათელია. ერთხელ მაინც სიცოცხლეში წინასწარმეტყველი მართალი აღმოჩნდა... მეფენი მიწისა დაიფლო საშინელებამ... ხოლო დავბრუნდეთ. თქვენ ავად ხართ. რომში იფიქრებენ, რომ თქვენ გეყოფილი. დავბრუნდეთ, გეუბნებით მე თქვენ.

ხმა იოქანაანის. ვინ არის იგი, ვინც მოდის ბოსრიდან ტანსაცმელში, მუწამულად შედებილში, რომელიც ეღვაკრებს თავის საცმელის სიღამაზეში და მიმართუის თავის ძალის ძლიერებაში? რათ არიან ტანსაცმელნი თქვენნი შეფერილნი მეწამულში?

ჰეროდია. დავბრუნდეთ. ხმა ამ კაცისა თავისაგან გამოიყვანს მე. მე არ მინდა. ჩემმა ქალიშვილმა იცეკვოს, სანამ იგი იქ უვირის. მე არ მინდა, მან იცეკვოს, სანამ თქვენ მას ასე უცქერთ. ერთი სიტყვით, მე არ მინდა, მან იცეკვოს.

ჰეროდე. ნუ დგები, მეუღლე ჩემო, დედოფალი ჩემო, ეს უსარგებლოა. მე არ წავალ, სანამ იგი არ იცეკვებს. იცეკვე. სალომე, იცეკვე ჩემთვის!

ჰეროდია. ნუ იცეკვებთ, ასული ჩემო.

სალომე. მე მზავდა ვარ, ტეტრარქ. (სალომე ცეკვავს შვიდი სახურის ცეკვას).

ჰეროდე. ა! ეს მშვენიერებაა! ეს მშვენიერებაა! თქვენ ხედავთ, თქვენმა ასულმა იცეკვა ჩემთვის. მოდით, სალო-

მე! მოდი, რომ მე დაგასაჩუქროთ
თქვენ. პო! მე კარგათ ვამღებ მოცეკვა-
ვებს. შენ მე კარგათ გადგიხდი. მე მოგ-
ცემ შენ ყოველს, რასაც შენ მოისურ-
ვებ. რა გინდა შენ, სტევი.

სალომე დაიჩქებებს მუხლებზე). მე
მინდა, ახლავ მომიტანონ მე ვეცხლის
თასზე..

პეტროლე (იციანის). ვეცხლის თასზე?
პო, რასაკვირვებლია, ვეცხლის თასზე. იგი
მომაჯადოებებელია, არა! რა გინდათ თქვენ,
რომ მოგართვან თქვენ ვეცხლის თასზე.
ძვირფასო და მშვენიერო სალომე, თქვენ,
რაიც უღამაშები ხართ ყველა ქალწუ-
ლებზე იუღებისა? მაშ, რა გნებავთ თქვენ,
რომ მოგართვან თქვენ ვეცხლის თასზე?
მითხარით მე! რაიც უნდა იყოს იგი,
თქვენ მოგცემენ მას. ჩემი საუნჯენი გე-
კუთვინან თქვენ. რა არას ის, სალომე?

სალომე (დგება). თავი იოქანანის.

პეტროლია. ა! ეს კარგათ თქმულია,
ასული ჩემო.

პეტროლე. არა. არა.

პეტროლია. ეს კარგათ თქმულია, ასუ-
ლო ჩემო.

პეტროლე. არა, არა, სალომე. თქვენ
ამას არ მთხოვთ მე. ნუ უსმენთ დედას.
იგი ყოველთვის ცუდს რჩევას გაძლევთ
თქვენ. არ უნდა უსმინოთ მას.

სალომე. მე არ უსმენ დედა ჩემს.
საკუთარი სიამისათვის მე გთხოვთ იო-
ქანანის თავს ვეცხლის თასზე. თქვენ
დაიფიცეთ, პეტროლე: არ დაგავიწყდეთ,
რომ თქვენ დაიფიცეთ.

პეტროლე. მე ვიცე. მე დაიფიცე ჩემი
ღმერთებით. მე კარგათ ვიცი ეს. მაგრამ
მე გვედრებით თქვენ, სალომე, მოითხო-
ვეთ ჩემგან სხვა რამე. მოითხოვეთ ჩემ-
გან ჩემი სამეფოს ნახევარი და მე მოგ-
ცემთ მას თქვენ. მაგრამ მხოლოდ იმას
ნუ მოითხოვთ ჩემგან, რაიც მოითხოვთ.

სალომე. მე ვითხოვ თქვენგან იოქა-
ნანის თავს.

პეტროლე. არა, არა, მე არ მინდა.

სალომე. თქვენ დაიფიცეთ, პეტროლე.

პეტროლია. დიას: თქვენ შეგიწყნარებ
თქვენ ყველა გისმენდათ. თქვენ
ცეთ ყველას წინაშე.

პეტროლე. დაჩუმდით. თქვენთან არ
ვლაპარაკებ მე.

პეტროლია. ასული ჩემი სრულიად
მართალია, როცა იგი ამ კაცის თავს
თხოულობს. იგი ანთქევდა ჩემზე უო-
ველგვარ გამობას, მან სთქვა ჩემზე საში-
ნელი რამეები. სიანს, მას ძალიან უყვარს
თავისი დედა. ნუ დაუთმობთ ასული
ჩემო. მან დაიფიცა, მან დაიფიცა.

პეტროლე. დაჩუმდით, ნუ ლაპარაკობ
ჩემთან. მოისმინეთ, სალომე, გონიერი
უნდა იყოთ, — არა! ხომ მართლა გო-
ნიერი უნდა იყოთ? მე არასდროს სას-
ტიკო არ ვყოფილვარ თქვენდამი. მე ყო-
ველთვის მიყვარდით თქვენ.. შესაძლოა,
მე თქვენ მეტად მიყვარდით. ასე, ნუ
მოითხოვთ ამას ჩემგან. არსებითად, მე
არცა ვეპქრობ, რომ თქვენ ამას სერიო-
ზულ მოითხოვთ. თავი თავმოკვეთილი
კაცისა, ეს ხომ რაღაც მახინჯია, არა?
ეს ის არ არის, რასაც უნდა უცქირდეს
ახალგაზდა ასული. რა სიამე შეუძლია
ამას მოგიტანოს თქვენ? არაფერი. არა,
არა, თქვენ ეს არ გინდათ.. მომისმინეთ
მე ერთი წამით. მე მაქვს ზურმუხტი, დი-
დი რგვალი ზურმუხტი, რაიც გამომი-
გზავნა მე კენისარის რჩეულმა. თუ თქვენ
გაზედავთ ამ ზურმუხტით, თქვენ შეგეძ-
ლებათ, დაინახოთ ყოველი, რაიცა ზღვება
დიდს მანძილზე. თვითონ კენისარაც ასეთს
ატარებს, როცა იგი ცირკში წიღის. მაგ-
რამ ჩემი უფრო დიდია. ჩემი ყველაზე
უფრო დიდი ზურმუხტია ქვეყანაზე. მარ-
თლა, ხომ გინდათ იგი? მომითხოვეთ და
თქვენ მოცემთ მას.

სალომე. მე ვითხოვ თავს იოქანანის.

პეტროლე. თქვენ მე არ მისმენთ.
თქვენ მე არ მისმენთ. მაცალეთ თქმა,
სალომე.

სალომე. თავს იოქანანისას.

პეტროლე. არა, არა, თქვენ ეს არ გინ-
დათ. თქვენ ამას ამბობთ მხოლოდ მის-



თვის, რომ მაწამოთ მე, რომ მე მთელი საღამო გიცქერდით თქვენ. ჰო, ეს ასეა. მე გიცქერდით თქვენ მთელი საღამო. თქვენმა სილამაზემ ამრია მე. თქვენმა სილამაზემ ამშალა მე და მე გამწერდით თქვენ მტრად. მაგრამ აწი მე ამას აღარ ვივამ. არ უნდა უმზირო არცა ხალხს და არცა ნივთებს. უნდა იცქირებოდეთ მხოლოდ სარკეებში. რადგან სარკენი გვაჩვენებენ ჩვენ მხოლოდ მასკებს... ჰო, ჰო, ღვიწი! შინდა დავლიო... სალომე, სალომე, ვუყუთ მეგობრები. ბოლოს, მოიხედეთ... რა მინდოდა მეტყვა! რა არის? ჰა! მოვიგონე... სალომე! არა, მოდით უფრო ახლო ჩემსკენ. მე შემინია, რომ თქვენ მე ვერ მომისმენთ... სალომე, თქვენ იცით ჩემი თეთრი ფარშავანგები, ჩემი ლამაზი თეთრი ფარშავანგები, რომლებიც დასეირნობენ ჩემს ბაღში მირსინებისა და საროების შორის. მათი ნისკარტები მოოქრული არიან, და მარცვლები, რომელსაც ისინი კენკავენ, მოოქრული არიან აგრეთვე, და ფეხები მათი შეფერილი არიან მეწამულში. როცა ისინი ევრიან, წვიმა მოდის, და, როცა ისინი თავის კულებს გაშლიან, ცაზე მთვარე გამოჩნდება. ისინი წყვილად დადიან საროებისა და შავ მირსინების შორის, და ყოველს მათგანს მონა ჰყავს, რომელიც თვალს ადევნებს მათ. ხანდახან ისინი ხეტა შორის ფრინავენ, ხანდახან ისინი წვებიან კორღზე და ტბის გარშემო. არ არიან ჰვეყანაზე უფრო საუცხოვო ფრინველები. არ არის ჰვეყანაზედ მეფე, რომელსაც ჰყავდეს ასეთი საოცარი ფრინველები. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ კეისარსაც არა ჰყავს ასეთი მშვენიერი ფრინველები. და მომისმინეთ! მე გაჩუქებთ თქვენ ორმოცდაათ ჩემს ფარშავანგს. ისინი გამოყვებიან თქვენ ყველგან და მათ შორის თქვენ იქნებით, თითქო მთვარე დიდს თეთრს ღრუბელში... მე ყველას გაჩუქებთ თქვენ. მე მხოლოდ ასი მყავს ისინი, და არ არის ჰვეყანაზე მეფე, რომელსაც

ჰყავდეს ფარშავანგნი მსგავსნი ჩემნი. მაგრამ მე თქვენ ყველას გაჩუქებთ. მხოლოდ განმათავისუფლეთ მე ჩემი სიტუვისაგან და ნუ მოითხოვთ ჩემგან მას, რაც მოითხოვთ. (ცლის თასს).

სალომე. მომეცით მე თავი იოქანანის.

ჰეროდია. კარგათაა თქმული, ასული ჩემო. თქვენ სასაცილო ხართ, თქვენი ფარშავანგებით.

ჰეროდე. გაჩუქდით, თქვენ ყოველთვის ყვირით. თქვენ ყვირით, როგორც მტაცებელი ნადირი. არ უნდა იყვიროთ ასე. თქვენი ხმა მშლის მე. დაჩუქდით, მე თქვენ გეუბნებით... სალომე, მოიფიქრეთ მაზე, რასაც თქვენ ჩადისართ. ეს კაცი, შესაძლოა ღვთისგანაა მოკვლენილი. მე მჭერა, რომ იგი ღვთისგან გამოგზავნილია. იგი წმიდა კაცია. ხელი ღვთისა შეეხო მას. ღმერთმა ჩაუღო მას პირში საშინელი სიტყვები. სასახლეში, როგორც უღაბნოში ღმერთია მასთან განუყურებლად... მაინცა და მაინც ეს შესაძლებელია. არაიენ იცის, მაგრამ შესაძლოა, რომ ღმერთი მისთვისაა და მასთან ამისათვის შესაძლოა, თუ ის მოკვდა, ვინმეს შეემთხვევა უბედურება. ეს, შესაძლოა, შემემთხოს მხოლოდ მე. მოიგონეთ, როცა შემოკვლიოდი აქ მე, წავიფერე მე სისხლში. გარდა ამისა: მე მომესმა ფრთხილი ფრთებისა შაერში, ფრთხილი გიგანტური ფრთების. ეს ძალიან ცუდი ნიშანია. და იყო კიდევ სხვაც. მე დარწმუნებული ვარ, რომ იყო კიდევ სხვა ნიშანიც, თუმცა მე არ მინახავს. ახლა ასე: სალომე, თქვენ არ გინდათ ხომ, რომ მე შემემთხვეს უბედურება? თქვენ ხომ არ გინდათ ეს? ჰო, მომისმინეთ მე. სალომე. მომეცით მე თავი იოქანანის.

ჰეროდე. აი, თქვენ ხედავთ, რომ თქვენ არ გინდათ მისმინოთ მე. მაგრამ იყავით დამშვიდებული, მე თვითონ ძალიან მშვიდათა ვარ. მე სრულიად მშვიდათა ვარ. ისმინეთ! მე აქ მიმალული

მაქვს ძვირფასი სამკაულები, რომლებიც დედა თქვენსაც არ უნახავს, სიძვირფასენი სრულიად უჩვეულონი. მე მაქვს მარგალიტის საყელური ოთხს წყებათ. შესაძლოა იფიქრო: ეს მთვარეებია, აქედელი ვეცხლეული შუქებით. შესაძლოა იფიქრო: ეს ორმოცდაათი მთვარეა ოქროს ბაღში დაჭერილები. რომელიღაც დედოფალი ატარებდა მას თავის თეთრს, თითქო სპილოს ძვლის მკერდზე. და შენ, როცა დაიკიდებ მას, ისეთივე ლამაზი იქნები, როგორც დედოფალი. მე მაქვს ორი გვარის ამეთვისტონი. ერთნი შავნი არიან ღვინოსავით, სხვანი წითელნი არიან, წყალნარვე ღვინოსავით. მე მაქვს ბეჟმენდები, ყვითელნი, როგორც ვეფხის თვალები, და ბეჟმენდები ვარდისფერნი, როგორც მტრედის თვალები; და ბეჟმენდები მწვანეები, როგორც კატის თვალები. მე მაქვს ოპალები, რომლებიც ინთებიან მუდამ მებთათ ცივი ალით. მაქვს ოპალები, რომლებიც მწუხარებას ასხამენ სულს და ეშინიათ სიბნელისა. მე მაქვს ანჭვითები, მზგავსები კვდარის თვალის გუგასი. მე მაქვს მთვარის ქვები, რომლებიც იცვლებიან, როცა მთვარე იცვლება, რომლებიც მკრთალებიან, როცა ისინი ხედავენ მზესა. მე მაქვს საფორონები, დიდები, როგორც კვერცხები, და ლურჯები, როგორც ლურჯი ყვავილები. მათში ღელავს ზღვა, და მთვარე არასდროს არ რევს მათი ტალღების სიციხურებს. მე მაქვს ქრიზოლიტები და ზივრილები, მე მაქვს ქრიზოპრასები და ლალები, მე მაქვს სარდონისები და ჰიაცინტები, და ჰალციედონები, და მე თქვენ მოგცემთ ყველას, დიას, ყველას და მივუმატებ კიდევ სხვა ნივთებს. ინდიელთა მეფემ ეს არის, გამომიგზავნა ოთხი მარაო, თუთიყუშის ფრთებისაგან გაკეთებული; მეფემ ნუშიდისამ კი — საცმელი სირაქლემას ფრთებისაგან. მე მაქვს კრისტალი, რომლის შეხედვა ქალებს დაშლილი აქვთ და რომლის შეხედვა ყმაწვილებსაც კი მხოლოდ მა-

შინ შეუძლიათ, როცა მათ გაამატარებენ საღაფის კოლოფში მე მაქვს სამი საუცხოვო ფირუზი. თუ ისინი ჩამოიკიდე შუბლზე, შესაძლოა წარმოიდგინო ნივთები, რომლებიც არ არსებობენ; თუ კი ისინი ატარე ხელზე, შესაძლოა ქალები გახადო უნაყოფოდ. ეს საუნჯენი დიდი ფასეულობისაა. და ეს ყველა არაა. სპილოს ძვლის კოლოფში მე მაქვს ორი ქარვის თასი, რომლებიც ოქროს ვაშლებს გვანან. თუ მტერმა ამ თასებში ჩაუშვა შხამი, ისინი დამიზგავსებიან ვეცხლის ვაშლებს. ქარვით მოქედელი კოლოფში მე მაქვს ქალამნები შუშებით მოქედილნი. მე მაქვს საცმელი სერრის მხარადან და სამაჯურნი წითელი ლალებით და წვანილაებით ეფრატის ქალაქიდან... ბოლოს, რა გასურს შენ, სალომე? მითხარი მე, რა გასურს შენ, და მე მოგცემ შენ. მე მოგცემ შენ ყოველს, რასაც კი შენ მოითხოვ, გარდა ერთისა. მე მოგცემ შენ ყოველს, რაც კი მაქვს, გარდა ერთი სიცოცხლისა. მე მოგცემ შენ მღვდელმთავარის შესამოსელს. მე მოგცემ შენ ფარდას წმიდათა წმიდისას.

იუ დე ვე ლე ბი. ო! ო!

სალომე. მომეც მე თავი იოჰანანის. ჰეროდე (დაეშება თავის საჯდომზე). მიეც მას, რასაც იგი თხოულობს. ქეშმარიტად, იგი ასულია თავის დედისა. (პირველი მეომარი ახლოვდება. ჰეროდია ხსნის ტეტრარქს ხელზე ბეჭედს სიკვდილისას და გადასცემს მას მეომარს, რომელიც მამინვე მიუტანს მას ჯალათს. ჯალათს შეშინებული სახე აქვს). ვინ წაიღო ჩემი ბეჭედი? მე ბეჭედი მქონდა მარტვენა ხელზე. ვინ დალია ჩემი ღვინო? მე თასში ღვინო მქონდა. თასი სავსე იყო ღვინით. ვილაცამ დალია იგი! ო! მე მჯერა, რომ ვინმეს შეემთხვევა უბედურება. (ჯალათი ჩაეშება ქაში). ახ! რათ მოგეცი მე სიტყვა? მეფენი არასდროს არ უნდა აძლევდენ სიტყვას. თუ ისინი სიტყვას ვერ იკავენენ, ეს საშინე-

ლებდა. თუ ისინი დაიქვრნენ მას, ესეც იმდენათვეა საშინელება.

ჰეროდია. მე მგონია, ჩემი ქალიშვილი კარგათ მოიქცა.

ჰეროდე. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოხდება უბედურება.

სალომე (გადაეყუდებოდა ქას და ყურს უგდებდა). არავითარი ხმაური. მე არაფერი ჩემსის. რათ არ ყვირის იგი, ის კაცი? ა! ჩემს მოკვლას რომ ვინმე ცდილიყო, მე ვიკვილებდი, მე არ მენდობოდა ტანჯა... დაარტყი, დაარტყი, ნამან. დაარტყი, შე გეუბნები შენი.. არა, მე არაფერი მესმის. იქ საშინელი დუმილია. ა! რაღაცა დაეცა მიწაზე. მე გავიგონე, როგორ დაეცა მიწაზე. მე გავიგონე, როგორ დაეცა რაღაცა. ეს ხმალია ჭალათის. მას ეწონია, ამ მონას. მას გაუფარდა თავის ხმალი. იგი ვერ ბედავს მოჰკლას იგი. იგი მხდალია, ეს მონა! უნდა გაიგზავნოს მეომრები. (იგი ბედავს ჰეროდის პეცს და მიმართავს მას). მოდი აქ! შენ მეგობარი იყავ იმისა, ვინც მოკვდა, არა? ჰერ კიდევ არ არიან საქმოდ მკვდრები. უთხარით მეომრებს, რომ ისინი ჩაეშვან იქ და მომიტანონ მე ის, რასაც მე ვითხოვ, რასაც დამპირდა მე ტეტარაქი, რაც მე შეეუთვნის. (პაეი უკან იხევს. იგი მიმართავს მეომრებს). მოდიოთ აქ, მეომარო, ჩაეშვით ამ ქაში და ამომიტანეთ მე იმ კაცის თავი. (მეომრები უკან დაიხევენ). ტეტარაქი, ტეტარაქი, უბრძანეთ. თქვენს მეომრებს, მომიტანონ მე თავი იოქანანის. (დიდი შავი ხელი, ხელი ჭალათის, გამოჩნდება ქიდან: უკავია ვეცხლის ლანტზე იოქანანის თავი. სალომე ხელს წაავლებს მას. ჰეროდე სახეს იხურავს მოსახამით. ჰეროდია იღიმება და აქნევს მაროს. ნაზარეველნი მუხლებზე ეშვებიან და იწყებენ ლოცვას). ა! შენ არ გინდოდა, ნება მოგეცა ჩემთვის, მეოცნა შენი ბაგე, იოქანან. მაშ, აი ასე! მე ამ წამს ვაკოცებ მას. მე უკბენ მას ჩემი კბილებით, როგორც კბენენ მწიფე ხილს. დიან, მე ვაკოცებ შენს

ბაგეს, იოქანან! ხომ გითხარი მე ეს შენ, არა? მე შენ გითხარი ეს. მაშ, ასე! მე ვაკოცებ მას ახლა!. მაგრამ რათ არ მიცქერი შენ მე, იოქანან? შენი თვალები, რაიც ასე საშინელი იყვენ, რაიც ასე იყვენ სავსენი რისხვითა და ზიზღით, ისინი ახლა დახუჭულნია? გაახილე შენი თვალები! ასწიე შენი ქუთუთოები, იოქანან! რათ არ მიმწერ შენ მე, იოქანან? შენ გეშინია ჩემი, იოქანან, და მისთვის არ გინდა მიცქირო მე!.. და შენი ენა, რაიც იყო თითქო წითელი გველი, გელის გადმომთხევი, იგი აღარ მოძრაობს, იგი ახლა არაფერს ლაპარაკობს, იოქანან, ეს წითელი იქედნა, რაიც ანთხევდა ჩემზე თავის შხამს. ეს უცნაურია, არა? რათ არ მოძრაობს მეტათ ეს წითელი ხელი? შენ არ გინდოდი მე, იოქანან. შენ უარმყავი მე. შენ მეუბნებოდი მე საშინელ სიტყვებს. შენ მომეკეცი მე, როგორც მეძავს, როგორც მრუშს, მე, სალომეს, ჰეროდისას ასულს, მეფის ასულს იუდეისას? მაშ, ასე: იოქანან, მე კიდევ ვცოცხლობ, შენ კი მკვდარი ხარ და თავი შენი მეკუთვნის შე. მე შემიძლია მას ის ვუყო, რაც მე მომესურვება. მე შემიძლია იგი ძაღლებს გადაუვუგლო და ან ჰაერის ფრინველებს. ის, რასაც ძაღლები დატოვებენ, შესჭამენ ფრინველები ჰაერში... ახ, იოქანან, იოქანან, შენ ერთად ერთი იყავი, რომელიც მიუვარდა მე. ყველანი სხვა ვაჟები ზიზღს იწყევდნენ ჩემში. მაგრამ შენ, შენ მშვენიერი იყავი. შენი ტანი სვეტი იყო სპილოს ძვალისა ვეცხლის საფეხურზე. ეს იყო ბაღი, სავსე მტრედებით. და ზამბახებითა. ეს იყო ვეცხლეული კოში, შემკული სპილოს ძვლის დახატებით. არა იყო რა ქვეყანაზე ისეთი თეთრი, როგორც შენი ტანი. არა იყო რა ქვეყანაზე ისეთი შავი, როგორც შენი თმები. მთელს ქვეყანაზე არა იყო რა ისეთი წითელი, როგორც შენი ბაგე. შენი სმა იყო საცეცხლური, გამომცემი უცნაური სურნელებისა, და როცა გიცქერდი შენ, მე



მესმოდა უცნაური მუსიკა! ახ, რათ არ შემომხედე შენ, იოქანაან? შენს თვალებს იქით და შენს გმობას იქით შენ დამალე შენი სახე. შენ აიფარე თვალები იმის აშურმით, ვისაც უნდა ხილვა თავის ღმერთისა. და აი შენ იხილე იგი, შენი ღმერთი, იოქანაან, მე, მე კი... მე შენ არას დროს არ გიხილავარ. შენ რომ გეხებ მე, შენ შემეყვარებდი მე. მე, მე გიხილე შენ, იოქანაან, და მე შეგიყვარე შენ... მე მწყურია შენი სიღამაზე. მე მშოა შენი ტანი. და არც ღვინოს, არცა ხილს არ ძალუძთ, მოჰკლან ჩემი სურვილი. რა ვქნა მე ახლა, იოქანაან? არც მდინარეებს, არცა დიდრონ წყალებს არ ძალუძთ დააცხრონ ჩემი ვნება. მე ვიყავი მეფის ასული, შენ უარყავი მე. მე ვიყავი ქალწული, შენ წამართვი მე ქალწულობა. მე ვიყავი უმანკო, შენ ცეცხლი შეაფხი ჩემს ძარღვებში... ახ! ახ! რათ არ შემომხედე შენ მე, იოქანაან? შენ რომ ჩემთვის შეგებდა, შემეყვარებდი მე. მე ვიცი, რომ შენ შემეყვარებდი, და საიდუმლო სიყვარულისა უფრო დიდია. ვიდრე საიდუმლო სიკვდილისა. მხოლოდ სიყვარულის საიდუმლოს უნდა უცქირო.

ჰეროდე. იგი საშინელებაა, შენი ასული, იგი სრულიად საშინელებაა. ის, რაც მან ჩაიღინა, ჰემარიტათ, დიდი დანაშაულია. მე მწამს, რომ ეს დანაშაული უცნობი ღმერთის წინააღმდეგაა.

ჰეროდია. მე დასტურს ვდებ მას, რაც ჩაიღინა ჩემმა ასულმა, და მინდა ახლა დავრჩე აქ.

ჰეროდე (ღებდა). ა! იწყო ლაპარაკი მუღლემ — სისხლის შემრეველმა! წავიდე! მე აღარ მინდა დავრჩე აქ. წავიდე, მე შენ გეუბნები. მე მჭერა, მე მჭერა, რომ მოხდება უბედურება. მანასე, ისახარ, ოსია! დააქრეთ ყინულილები! მე არა მინდა რა ვიხილო. მე არ მინდა, რომ რაიმე მხედავდეს მე. დააქრეთ ყინულილები! დამალეთ მთვარი! დამალეთ ვარსკვლავები! მივიმლოთ ჩვენს სასახლეში, ჰეროდია. მე უკვე შიში მიტანს, (მონები აქრობენ ეინელიებს. ვარსკვლავები ქრებიან. დიდი შავი ღრუბელი გაიარს მთვარის წინ და სრულიად მიფარავს მას. სცენაზე სრული სიბნელე ისადგურებს. ტეტრარქი იწყებს ასვლას კიბეზე). ხ მ ა ს ა ლ ო მ ე ს ი. ა! მე ვაკოცე შენს ბაგეს, იოქანაან, მე გადავკოცნე შენი ბაგე! იყო მძაფრი გემო შენს ტუჩებზე. იყო თუ ეს გემო სისხლისა?.. მაგრამ, შეიძლება ეს იყო გემო სიყვარულისა. ამბობენ, სიყვარულს მძაფრი გემო აქვსო... მაგრამ სულ ერთია. სულ ერთია. მე ვაკოცე შენს ბაგეს, იოქანაან, მე გადავკოცნე შენი ბაგე.

(მთვარის შუქი დაეცემა სალომეს და ანათებს მას).

ჰეროდე (მოიხედავს და შეხედავს სალომეს). მოჰკალით ეს ქალი.

(მეომარნი დაეცემიან და ლახტებით გასრესენ სალომეს, ჰეროდეას ასულს, მეფის ასულს იუდეისას).

მხატვარი სოფიო სალუქვაძე



Редактор ГУРАМ БАТИАШВИЛИ

გარეკანის პირველ გვერდზე:
რეჟისორი გიზო ჟორდანიას.

გარეკანის მეორე გვერდზე:
სცენა კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი-
დან „ნაცარქექია“. ი. ბრუხტი — ე. ყიფშიძე, ყაფლანი — თ. მაისურაძე.

გარეკანის მესამე გვერდზე:
სცენა სანდრო აბმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი-
დან „ნაცარქექია“.

გარეკანის მეოთხე გვერდზე:
სცენა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან
„მოქალაქე, მოქალაქე, ჩემო კარგო“. სიენი — ლ. ვაშაყიძე, დიეხა — ნ. საღარაძე,
კონტროლიორი — ა. ტორთაძე.

ტექნიკური რედაქტორი
შადიმან ბიჭიაძე

მხატვარი
სოფიო სალუშვაძე

კორექტორები:

თამარ ციხაპურიძე, გულნარა გოგოლაძე

გადაეცა წარმოებას 14. 12. 90 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 02. 91 წ.
სააღრიცხვო-საგაწომცემლო თაბახი 6,35
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 6,5
ქალაქის ზომა 60X90^{1/16}.
შეკვეთა № 2880
ტირაჟი 1500

ფასი 1 მან.

ინფორმაცი 76143

რედაქციის მისამართი: თბილისი - 380007, გ. ლეონიძის ქ. № 11-ა. ტელ. 99-90-96.

საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის სტამბა, თბილისი, კლ. ცეტკინის ქ. № 133.
Типография Союза театральных деятелей Грузии, Тбилиси
ул. Кд. Цеткин № 133.



40/2/8

ინტენსიური
გრაფიკული

